PRIME Time

N33 (231) ორშაბათი 19 აგვისტო 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ქართულ მედიასივრცეში ახალი გადანაწილებაა

ნანა ლეჟავა

თეა სიჭინავა

მამუკა ღლონტი

ნინო ჟიჟილაშვილი

ეკა კვესიტაძე

დათო პაიჭაძე

„მაესტროს“ მთავარი ხერხემალი „იმედმა“ გამოაცალა

მამუკა ღლონტი: „ზეწოლაში ვგულისხმობდი მუშაობაში ხელის შეშლას და ჩვენი დამორჩილების მცდელობას. ამის საბუთებიც გვაქვს“

სააკაშვილმა იცის, რომ დაიჭერენ

კახი კახიშვილი: „სააკაშვილი პირველი იქნება, ვინც თვითმფრინავში ჩაჯდება და საზღვარგარეთ გაფრინდება“

სკანდალური ექსკლუზივი

ვინ დაბლოკა ჟვანიას გარდაცვალებაზე გადაღებული სკანდალური ვიდეო

EXCLUSIVE

პეტრე მამრაძე: „ჟვანიას დედა აცხადებდა, რომ არ იყო სასურველი ამ ვიდეოს ჩვენება, ვინაიდან ეს მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა ზურაბის შვილებზე. ამის გამო გადაიდო ეს გადაწყვეტილება“

დავით საგანელიძე: „ერთ პირობას გაძლევთ, მე ნამდვილად არ ვიქნები იმ ხელისუფლებაში, სადაც შეიძლება ახალაია გამართლდეს და თავისუფლად დადიოდეს ქუჩებში“

EXCLUSIVE

ალასანიას პარტია ივანიშვილის კარზე მოღალატეებს ეძებს

გიორგი ჩიქოვანი: „პრემიერ-მინისტრს საკუთარი გარემოცვიდან რამდენიმე ადამიანი ღალატობს“

EXCLUSIVE

პაატა ზაქარეიშვილი: „ვირი გინდ ღობის აქეთ დააბი, გინდ – ღობის იქით, ვირი მაინც ვირია. „ნაციონალურ მოძრაობას“ გინდ ფრანგული ასწავლე, გინდ – ინგლისური, ის მაინც ისეთივე ანტისახელმწიფოებრივი აზროვნებისა დარჩა“

ზურაბ ხარატიშვილის უკან ვანო მერაბიშვილი დგას?

EXCLUSIVE

ლევან ალაფიშვილი: „არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს ნაციონალებში მიმდინარე კონფლიქტის გამოძახილი...“

ეკა ბესელია: „მას ჩაუდეს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა ტიპის ვაზნები. ეს იყო პირველი პოლიტიკური თავდასხმა. მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პირველი იერიში სწორედ თამაზ თამაზაშვილზე მიიტანეს“

EXCLUSIVE

ვინ გასცა თამაზაშვილის უკანონოდ დაპატიმრების ბრძანება ცნობილია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ დაბლოკა ჟვანიას მარდაცვალებ



პეტრე მამრაძე ხელს ზურაბ ჟვანიას დედას აღებს

მარიამ ნადირაძე

რაც უფრო მატულობს პოლიტიკური ტემპერატურა, მით ინტენსიური ხდება საუბარი ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. ჩნდება ახალ-ახალი ვერსიებიც. მამუკა არეშიძემ ახალი მუხტი შესძინა მითქმა-მოთქმას ამ საქმის გარშემო, როდესაც ჩვენი გაზეთის საშუალებით მკითხველს უამბო, რა გაუმხილა მას FBI-ს ყოფილმა თანამშრომელმა. ამ ინფორმაციით მიხეილ სააკაშვილი სულ მცირე პრემიერის გარდაცვალების ადგილას უნდა ყოფილიყო.

სანამ თავად ჟვანიას უახლოესი გარემოცვის პოზიციებს გაგაცნობთ ამ თემის გარშემო, იმასაც მოგახსენებთ, რომ მითქმა-მოთქმა გააძლიერა კიდევ ერთმა ფაქტმა: მოგეხსენებათ პარლამენტში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელმაც დეკემბერში ჟვანიას 50 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება უნდა გასწიოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი პარლამენტის წევრებისგან არის დაკომპლექტებული, მის შემადგენლობაში არ გახლავთ გარდაცვლილი პრემიერის ძმა, გოგლა ჟვანია.

თავად ბატონ გოგლას ამ თემაზე ჯერჯერობით არანაირი განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა, მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, რას ფიქრობენ სხვები ჟვანიას უახლოესი წრიდან.

პრემიერის კანცელარიის ყოფილი უფროსი, პეტრე მამრაძე ამაში ვერაფერს ხედავს საგანგაშოს: „მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრი პარლამენტის წევრიც არის, არაფერი ისეთი არ ხდება. შესაძლოა, საკუთარ თავს აცილებაც მისცა. ბევრჯერ მაქვს მიღებული მონაწილეობა სხვადასხვა დონის სახელმწიფო კომისიების შექმნაში, კომისიის წევრიც ვყოფილვარ და ოჯახის წევრის შეყვანის აუცილებლობა არასდროს ყოფილა. 20 წელი ვმონაწილეობდი მსგავს საქმეებში და გეტყვით, რომ არაფრის მანიშნებელი ეს არ არის“.

თუმცა, პრეზიდენტის შეწყალების კომისიის წევრი და ზურაბ ჟვანიას ოჯახის ერთ-ერთი ახლო მეგობარი, ელენე თევდორაძე გაკვირვებას მაინც გამოთქვამს ამ საპარლამენტო ჯგუფის ასეთი სახით დაკომპლექტების გამო: „მე ცოტა გაკვირვებული ვარ, რატომ არ გაიარეს კონსულტაცია ოჯახთან? მე ქალბატონი რემას პოზიცია ვიცი ამ ჯგუფის ზოგიერთი წევრის მიმართ. მან არაერთხელ განაცხადა მისი დამოკიდებულების შესახებ მიხეილ მაჭავარიანის და ხათუნა გოგორიშვილის მიმართ. ამ შემთხვევაში, როცა უნდა ჩატარდეს ასეთი მაღალი დონის ღონისძიება, ოჯახის წევრებისთვის შეკითხვა მაინც უნდა დაესვათ, მათთვის რამდენად მისაღებია ამ ჯგუფის კონკრეტული წევრების კანდიდატურა. უამრავი სხვა ადამიანი ბოლომდე ერთგული დარჩა ზურაბ ჟვანიასი და ვთვლი, რომ მათი შეყვანა ამ ჯგუფში უფრო ობიექტური იქნებოდა. ეს შესაძლებელია არ ყოფილიყო გოგლა ჟვანია, ვინაიდან ძმა არის და ცოტა უხერხული იქნებოდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ჟვანიას მეგობრები შეერჩიათ, თუნდაც ისინი არ ყოფილიყვნენ დღევანდელი პარლამენტის წევრები? მე არ ვგულისხმობ ჩემს თავს, მაგრამ ვიცნობ ბევრ სხვა პიროვნებას, რომლებიც, ჩემი აზრით, უნდა ყოფილიყვნენ ამ კომისიაში.

მაგრამ კომისიის დაკომპლექტება დღეს არ არის ერთადერთი აქტუალური საკითხი, რომელიც ზურაბ ჟვანიას სახელს უკავშირდება. წინ, როგორც ჩანს, საკმაოდ მძაფრი პროცესები გველოდება. პროკურატურა ორ ცეცხლს შუაა - თუ ის განაცხადებს, რომ პრემიერი უბედური შემთხვევის მსხვერპლია, მას ისედაც განრისხებული ხალხის რისხვა არ აცდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სწორედ ამის გამო გაჩნდა ვერსია, რომ ჟვანიას საქმის გამოძიებას გახსნილად საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოაცხადებენ და არა მანამდე, რათა ამან „ოცნების“ კანდიდატი არ დააზიანოს ამ არჩევნებში. ამ ფონზე კი ხალხს სულ სხვა მოლოდინი აქვს და გამოძიებისგან საქმის გახსნას სწორედ ამ პოლიტიკური მოვლენის შემდეგ იმიტომ ელოდება, რომ მიიჩნევს - მაშინ სააკაშვილს იმუნიტეტი ვეღარ უშველის და მას გისოსებს მიღმა იხილავს.

ასეა თუ ისე, მოდით, ვნახოთ, რა მოლოდინი აქვთ გამოძიებისგან ჩვენი მკითხველისთვის დღეს წარმოდგენილ რესპონდენტებს.

პეტრე მამრაძე:

- ჩემთვის ამ საქმეში მთავარი დატვირთვა აქვს კბილაშვილის ოფიციალურ განცხადებას. არა იმიტომ, რომ მთავარი პროკურორია, არამედ იმიტომ, რომ კარგად ვიცნობ, როგორც პატიოსან ადამიანს, ადამიანს, რომელიც სხვას არაფერს იტყვის, სრული სიმართლის გარდა. კბილაშვილი ამბობს, რომ ამ საქმეში არის სერიოზული პროგრესი. არა მგონია, ვინმე მოაზროვნე ადამიანი იყოს საქართველოში და არ ესმის, რომ აუცილებელია გამოძიება და მისი გონივრულ ვადებში დასრულება. მეორე მხრივ, კანონმდებლობა გამორიცხავს, რომ გამოძიება, რომელიც დამოუკიდებელი პროცესია, მისი შედეგების გამოცხადება არ შეიძლება იყოს შეფარდებული რაიმე ღონისძიებასთან. ეს ასე არ შეიძლება ხდებოდეს. ჩვენი საზოგადოების ნანილი წინა ხელისუფლების მმართველობის დროს მიეჩვია იმას, რომ არა მარტო გამოძიების დასრულება-არდასრულება, არამედ ადამიანების დაპატიმრებაც კი, თუნდაც სრულიად უდანაშაულოსი, ხდებოდა პიარმოსაზრებების გამო. სააკაშვილის რეჟიმის დროს შეეძლოთ დაეპატიმრებინათ უშიშროების პოლკოვნიკი, როდესაც თვითონაც იცოდნენ, რომ ის იყო უდანაშაულო და პიარის გამო დაებრალებინათ ჯაშუშობა. სული ამოეხადათ და მოეკლათ წამებით, რადგან სჭირდებოდათ ხმაური, რომ დაიჭირეს რუსეთის ჯაშუში. იცით ეს შემთვევა, როცა ამ ადამიანმა გმირულად მოითმინა საშინელი წამება და ბოლოს გული გაუსკდა, მაგრამ ხელი არ მოაწერა იმ ბრალდებას, რომ ვითომ შპიონობდა. ახლა ასე არ არის და მტკიცე იმედს ვიტოვებ, რომ გამოძიებაში არავინ ჩაერევა. ივანიშვილი არავის აკადრებს იმას, რომ სამართალდამცველებს უკარნახოს, როგორ უნდა ნაიყვანოს გამოძიება. ძიძიგურმა, ამას წინათ, გააკეთა განცხადება, არანაირად არ გვჭირდება ჩვენ ჟვანიას საქმის გამოძიება, როგორც ერთგვარი ბომბი, რომელსაც ავაფეთქებთ არჩევნებისთვისო.

- მაგრამ ჟვანიას საქმე ბომბი ხშირად ყოფილა...

- 2008 წლიდან, როგორც კი შეურიგებელ ოპოზიციაში გადავედი, ჩემი ინტერვიუები ყოველთვის ეძღვნებოდა იმას, რომ ამ თემით სპეკულაცია არის ბინძური თამაში.

- თუმცა კარგად გვახსოვს არჩევნების წინ „ოცნების“ დასკვნით აქციაზე თავისუფლების მოედანზე შეყრილი ხალხი, რომელიც სკანდალური ვიდეო-მასალის საყურებლად იყო იქ მისული, იქიდან კი იმედგაცრუებულები დაბრუნდნენ...

- იყო ასეთი რამ, რომ იყო ვიდეო და ამ ვიდეოდან ჩანს, რომ ცხედარი შეჰყავთ საბურთალოს ბინაში. ამის შემდეგ გამოქვეყნდა ინტერვიუ ქალბატონ რემასთან, რომელიც აცხადებდა, რომ არ არის სასურველი ამ ვიდეოს ჩვენება, ვინაიდან ეს მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს ზურაბის შვილებზე. ამის გამო გადაიდო ეს გადაწყვეტილება, ვინაიდან პატივი სცეს გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიას დედის თხოვნას. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ბრძოლის იარაღიც იქნებოდა, ვინაიდან ძალიან დიდი დანაშაულია, როდესაც რაღაც ინფორმაციას ფარავს სააკაშვილის რეჟიმი, როცა პარალიზებულია გამოძიება და მრავალი წელი ისე გადის, რომ ძვრა არ არის და აშკარა ფაქტებზე პასუხი არ არის გაცემული. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამ თემაზე - უსუპოვი ცალი ფეხსაცმლით.

- ალბათ, იცით, მამუკა არეშიძე ღიად აცხადებს, რომ სააკაშვილი პრემიერის გარდაცვალების ადგილზე მინიმუმ იმყოფებოდა.

- გამოძიების მასალებს მე არავინ მაცნობდა, მაგრამ ზურაბის უახლოესმა მეგობრებმა და გარდა ამისა, ზურაბის ახლო მეგობარმა უცხოელმა დიპლომატებმა და მოღვაწეებმა, არაერთხელ გამიზიარეს ინფორმაცია, რასაც თავად ფლობდნენ და მე ამ ინფორმაციის საფუძველზე დღესაც არავითარი ეჭვის უფლება არ მაქვს, რომ ეს იყო მკვლელობა და მით უმეტეს, მასში მონაწილეობდა სააკაშვილი. გარდა იმისა, რომ ეს იყო მხოლოდ უბედური შემთხვევა და ამას არავინ გეგმავდა და სააკაშვილს არაფერი აქვს საერთო, არც გარდაცვალების ადგილთან და არც იმ ფაქტთან,

რატომ არ შეიყვანეს გოგლა ჟვანია ძმის იუბილისთვის შექმნილ საპარლამენტო ჯგუფში?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ზე გადაღებული სკანდალური ვიდეო

პეტრე მამრაძე:

„ჟვანიას დედა აცხადებდა, რომ არ არის სასურველი ამ ვიდეოს ჩვენება, ვინაიდან ეს მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს ზურაბის შვილებზე. ამის გამო გადაიდო ეს გადაწყვეტილება“

ზურაბ ჟვანიას დედა გოგორიშვილის და მაჭავარიანის წინააღმდეგ

რომ ჟვანია ასე ტრაგიკულად დაიღუპა. ყოველთვის ვიმეორებ, რომ მე ვარ ადამიანი, რომელიც მხოლოდ არსებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს განცხადებებს.

- გამოდის, რომ პროკურატურა ისევ უბედური შემთხვევის ვერსიას შემოგვთავაზებს?

- სააკაშვილის ხელისუფლებამ მხოლოდ თავიდან გააკეთა განცხადება და გამოძიება არ დაასრულა. ეს იმიტომ მოხდა, რომ დაემატა ფაქტები, რომლებიც არ უნდოდათ აშკარად გამოეძიებიათ და ეს საზოგადოებისთვის ღიად ეთქვათ.

- იმაზე მეტად რის თქმას უნდა მორიდებოდნენ, რაც თქვეს?

- როგორ შეიძლება გამოძიებამ უპასუხოდ დატოვოს ის ფაქტი, რომ უსუპოვი პრემიერთან ცალი ფეხსაცმელით მივიდა იმ ბინაში, 2 თებერვალს? პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზეც რომ არ მისულიყო, ასე ქუჩაში ხომ არ ივლიდა, ცალი გეხსაცმლით? თითეების ანაბეჭდი რომ ჭურჭელზე არ იყო, ეს თავად გამოძიებამ გამოაცხადა. კითხულობ: ვთქვათ, ზურაბ ჟვანიას და უსუპოვს მართლაც არ მოუკიდია ხელი ამ თეფშებისთვის და ჭიქებისთვის, მაგრამ ვიღაცამ ხომ მოიტანა და დადო? იმ ვიღაცას თითები ხომ ჰქონდა? შეაბამისად უნდა ყოფილიყო ანაბეჭდიც.

- გამოდის, რომ ამ გამოძიებისგან ასეთი დეტალების დაზუსტებას ელოდებით მხოლოდ და სხვას არაფერს?

- ეშმაკები ხშირად დეტალებშია. როგორც ნამდვილი პროფესიონალი, მე თავისუფალი ვარ წინასწარი განწყობებისგან და დოგმებისგან. მე ვამბობ, რომ ჩემი ინფორმაციით იყო უბედური შემთხვევა. თუმცა, გამოძიებამ ყოველთვის შეიძლება მოიპოვოს მტკიცებულება სულ სხვა გარემოების დასადასტურებლად. უფრო მეტი დროც გასულა და ყოფილა შემთხვევები, რომ ის, რაც მკვლელობა ეგონათ, უბედური შემთხვევა აღმოჩნდა და პირიქით, ის, რაც ეგონათ უბედური შემთხვევა, ყოფილა რაღაც ჩახლართული, ჩაფიქრებული მკვლელობა. ასეთი რამ ხდება და ჩემი ხნის და გამოცდილების ადამიანს არაფერი გააკვირვებს. მაგრამ ჩემი ინფორმაციით ჯერჯერობით ასეა. რაც შეეხება არეშიძის განცხადებას, მე კატეგორიულად გამოვრიცხავ იმას, რომ FBI-ს რამე სცოდნოდა და ინფორმაცია დაემალა. ის არასდროს წავა შეერთებული შტატების კონსტიტუციის და კანონმდებლობის დარღვევაზე.

- მაგრამ საქმე გვაქვს არა შტატების, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარ შემთხვევასთან...

- თუკი ფედერალური ბიურო ჩაერთო ამ საქმეში, მათი ყველა ინფორმაცია მიეწოდებოდა ხელმძღვანელებს, გახდებოდა ცნობილი შეერთებული შტატების ადმინისტრაციისთვის და კატეგორიულად ვაცხადებ: გამორიცხულია, იოტისოდენა ეჭვი ჰქონოდათ, რომ იყო მკვლელობა და ამ მკვლელობაში ჩართული იყო მაღალი თანამდებობის მქონე პირი, მით უმეტეს პრეზიდენტი და ეს დაემალათ.

- არეშიძის ინფორმაციით ჟვანიას თავში ჩაარტყეს საფერფლე და ეს თუ სააკაშვილმა არ გააკეთა, ის, სულ მცირე, მისი გარდაცვალების ადგილას უნდა ყოფილიყო...

- მე მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება რეალობას. ვიცნობ რა მამუკა არეშიძეს, გამოვრიცხავ, რომ მან შეგნებულად გააყენერა არასწორი ინფორმაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არეშიძეს მიაწოდეს სიცრუე. ამ ჯაჭვში, ვინ აწვდის ასეთ ინფორმაციას, ეს მსჯელობის სულ სხვა თემაა და ახლა არ განვავრცოს მას.

- ვერსია იმის თაობაზე, რომ FBI-ს დასკვნა გაყალბდა, რამდენად რეალურად გეჩვენებათ?

- მე გავეცანი ამერიკულ დასკვნას ინგლისურ ენაზე, დედანს და იქ არავითარი ეჭვები, გაზით მოწამვლის გარდა, არ ჩნდება. მინდა გთხოვოთ ერთი რამ: ჩვენთან საზოგადოების დიდი ნაწილი აღიქვამს მხოლოდ შავს და თეთრს. თუ ვამბობ, რომ არ იყო მკვლელობა, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს ხელს ვაფარებ. უკვე რამდენი წელია ვაცხადებ, რომ სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა და სააკაშვილის სადისტური სისტემის რამდენიმე სხვა თავკაცმა იმდენი დანაშაული ჩაიდინეს ერის და კონკრეტული ადამიანების წინაშე, მათ შორის სამშობლოს ღალატის ჩათვლით, რომ ნაწილიც რომ დაუმტკიცდეთ, მათ არ უნდა ასცდეთ უვადო პატიმრობა. თუ მე ვაცხადებ, რომ ჟვანია არავის მოუკლავს და ეს იყო უბედური შემთხვევა, ეს სააკაშვილს და მის გუნდ სულაც არ ათავისუფლებს იმ დანაშაულებისგან, რაც მათ რეალურად ჩადენილი აქვთ.

- თითქმის დაზუსტებულია ფაქტი, რომ იმ ბინაში ადამიანის ცხედარი შეიტანეს. თქვენ მაინც ჯიუტად აცხადებთ, რომ ეს არ იყო ჟვანია...

- მე ვიცი, რომ ჟვანია იმ ბინიდან არც გაუტანიათ და არც შემოუტანიათ...

- მაშინ ეს უსუპოვი იყო?

- ვერ გეტყვით. მე ვერსიების გამავრცელებელი არ ვარ. ფაქტი კი ის არის, რომ უსუპოვს ცალი ფეხსაცმელი არ ეცვა. სადაც ჩვენ 8 წელიწადი ვიცდიდით, როდის გაიხსნებოდა ეს საქმე, ახლაც ცოტა ხანს შეგვიძლია მოვიცადოთ, მით უმეტეს, მთავარი პროკურორი გვატყობინებს, გამოძიება მალე დასრულდება. რამდენიმე თვის წინ მაჭავარიანმა გააკეთა განცხადება - მე მესმის მოქალაქეებს ებადებათ სხვადასხვა შეკითხვა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მაგრამ გოგლა ჟვანიას, რომელმაც იცის ყველაფერი, მას არ უნდა ჰქონდეს ეს შეკითხვები. ახლა ისმის უკვე სერიოზული შეკითხვა: კაცი, რომელიც ასე ახლოს იყო ჟვანიასთან და მაშინაც კი, როცა ის დაიღუპა, იყო სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოწმის სახით არ უნდა დაკითხულიყო და არ უნდა აეხსნა, რას გულისხმობდა ამ განცხადებაში?

- ალბათ იმას, რომ ერთ-ერთი ვერსიით, ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ სააკაშვილმა დაიბარა ოჯახის წევრები და მათ ამ საქმის პიკანტური დეტალები გააცნო...

- ვერ გეტყვით, რას გულისხმობდა მაჭავარიანი...

- გიორგი ბარამიძეც აცხადებს, რომ ის დაადასტურებს ჟვანიას გარდაცვალებას უბედური შემთხვევით...

- ბარამიძემ ისიც თქვა, დამთავრდეს გამოძიება და თუ ის სინამდვილეს აცდება, იმ შემთხვევაში ვიტყვი ყველაფერსო.

- თუ გამოძიება იგივე ვერსიას დაადასტურებს, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ამდენი ხნის განმავლობაში გვეუბნებოდა, რომ პრემიერი უბედური შემთხვევის მსხვერპლია, საზოგადოებაში ეს როგორ აღიქმება, თანაც მაშინ, როდესაც ახალ ხელისუფლებას უკვე ხმამაღლა აკრიტიკებენ კობიტაციის გამო? მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ სულ სხვა ძალიან მაღალ მოლოდინს ამ საქმის მიმართ...

- ეს არის პოლიტიკური მომავლისთვის ყველაზე საინტერესო შეკითხვა. იმის გამო, რომ გამოძიება ძალიან გაჭიანურდა და დღემდე არ გახსნილა საქმე, იმი გამო, რომ ამ საქმეში ძალიან ამკარა საეჭვო დეტალებია, თუნდაც უსუპოვის ფეხსაცმლის სახით, ანაბეჭდები და სხვა, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ეს იყო მკვლელობა და ეს მკვლელობა არ მოხდებოდა, თუ ქვეყნის უზენაესი ხელისუფლება არ იქნებოდა ჩართული ამა თუ იმ ფორმით. ზოგი ფიქრობს, რომ სააკაშვილმა ჩაარტყა საფერფლე, ზოგიც ამბობს, რომ მოკვლა არ უნდოდა, მაგრამ საფერფლე პრემიერს მოხვდა საფეთქელში და გარდაიცვალა... ერთი წუთით, გონებრივი ექსპერიმენტის სახით დავუშვათ, რომ ჟვანია მოკლული არ არის და მართლაც უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. სხვათა შორის, ჟვანიას გარდაცვალებიდან ერთი თვეც არ იყო გასული და გაზით თბილისში ცნობილი ოჯახი ამოწყდა, სტუმრებთან ერთად. ვთქვათ გამოძიებამ დადო ეს „სიმართლე“. რა იქნება? იქნება ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილში, რომელიც ისედაც განწბილებულია იმით, რომ სამართლიანობის აღდგენა არ ხდება, რომ სამართალი ნამეტანი ნელი ურმით მიჭრიალებს, ეს გაცილებით მძაფრ რეაქციებს გამოიწვევს, ვიდრე ახალაიას გამართლება იყო წარდგენილ ბრალდებებში. ეს გამოიწვევს ძალიან მწვავე რეაქციას. სულაც არ ვგულისხმობ, რომ დაიწყება მასობრივი დემონსტრაციები. სამწუხაროდ, კობიტაცია ჩვენი ხალხისგან აღიქმება შეკრულობად სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმთან. თუ ეს გამოძიებაც ხსენებულ ვერსიას დადებს, ეს ხალხში ამ მოსაზრებას გაამყარებს. მეორე მხრივ, ღმერთმა ნუ ქნას გამოძიება აცდეს სიმართლეს, მაშინაც მძიმე შედეგი გვექნება. ეს ნიშნავს იმას, რომ გამოძიება დაეყრდნობა გაყალბებულ ფაქტებს და ჩვენებებს და ეს უსათუოდ გასკდება. იქ ბარამიძე მოყვება ყველაფერს და სხვათა შორის ის პირველი იყო, ვინც შემთხვევის ადგილზე მივიდა. ალაპარაკდებიან სხვებიც და საბოლოოდ უფრო მძიმე შედეგი გვექნება.

მიუხედავად იმისა, რომ ელენე თევდორაძეს არ სჯერა უბედური შემთხვევის შესახებ ვერსიისა, არც ის აცხადებს კატეგორიულად, რომ ვინმე კონკრეტული პიროვნებაა მკვლელი.

- თავიდანვე მქონდა ეჭვი, რომ ზურაბ ჟვანია არ მოკვდა იმ ვითარებაში, რაც იმ დღესვე გაცხადდა. ამის მიუხედავად, მაინც დაველოდები, რას იტყვის პროკურატურა. მე არ ვიზიარებ მოარული ხმების პათოსს. როცა რაღაც ჩემი თვალით არ მინახავს და ჩემი ყურით არ გამიგონია, მირჩევნია მკვეთრი პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შევიკავო.

- ალბათ, გაეცანით მამუკა არეშიძის მიერ გაჟღერებულ სკანდალურ ინფორმაციას სააკაშვილის კავშირის შესახებ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან და FBI-ს დასკვნის გაყალბებასთან დაკავშირებით...

- მე არ ვთვლი, რომ მამუკა არეშიძე არის ოჯახის ახლობელი. მე ზურაბ ჟვანიას მეუღლისგან არაფერი ამგვარი არ გამიგია. მე ყოველთვის ვეყრდნობი ოჯახის წევრებს.

- გულისხმობთ, რომ არ გსმენიათ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზად საფერფლის ჩარტყმის ვერსიის შესახებ?

- დიახ. არაფერი ამის შესახებ არ გამიგია ოჯახისგან. ის, რომ პროკურატურამ ამდენი ხნის განმავლობაში საქმე არ დახურა, უკვე ბადებდა ეჭვს, რომ ის ვერ იღებდა თავის თავზე ტყუილების გავრცელებას. ეს იყო მათი გამოსავალი, რომ არც არაფერი ეთქვათ და არც საქმის დახურვა მომხდარიყო. ეს მე კიდევ ერთხელ მაძლევდა უფლებას, მემტკიცებინა ჩემი ვარაუდი, რომელიც მე გამოვთქვი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების პირველივე დღეებში, რომ ის არ იყო უბედური შემთხვევის მსხვერპლი.

- მაგრამ ბარამიძე საპირისპიროს ამტკიცებს და აცხადებს, რომ ყველაფერს იტყვის, თუ გამოძიება სხვა ვერსიას დადებს...

- გია ბარამიძესთან დაკავშირებით შემიძლია მოვიყვანო ერთი ეპიზოდი. ზურა ჟვანია უკვე დაკრძალული იყო. ცოტა ხნის შემდეგ მე და გია ბარამიძე პარიზის აეროპორტში შევხვდით ჩემს საქმესთან დაკავშირებით. მაშინ მე მას პირდაპირ ვკითხე - გია, რა მოხდა? მისი პასუხი იყო ძალიან მოკლე - მიშა ძალიან უხერხულ და ცუდ მდგომარეობაშია. მე მისი დაკითხვა აღარ დამიწყია. მაგრამ ეს წინადადება გონებაში დამრჩა. მას შეეძლო ეთქვა ცოტა სხვანაირად. ვთქვათ - მიშამ ძალიან განიცადა...

- ამ გამოძიებისგან ელოდებით, რომ ის არ დაადასტურებს ჟვანიას გარდაცვალების მიზეზად უბედურ შემთხვევას?

- მე, უბრალოდ, მინდა გავიგო სიმართლე.

- თუ გამოძიება ისევ უბედურ შემთხვევას გამოავლენს, თქვენი აზრით, რა მოხდება? საზოგადოებას რა რეაქცია ექნება?

- ამ საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას, სამწუხაროდ, ნამდვილად არ აინტერესებს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების რეალური მიზეზი. მათ მხოლოდ სააკაშვილის კავშირი აინტერესებთ ამ ფაქტთან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნანა ლეჟავა

თეა სიჭინავა

ნინო ჟიჟილაშვილი

„მაესტროს“ მთავარი ხერხემა

ნანა შონია

ქართულ მედიასივრცეში ახალი გადანაწილებაა. კვირის მთავარი სკანდალი ტელეკომპანია „მაესტროდან“ არხის მთავარი სახეების -ნინო ჟიჟილაშვილის და თეა სიჭინავას წასვლა იყო. ჟიჟილაშვილი ბოლო წუთამდე არ ადასტურებდა ამ ამბავს, თუმცა ცნობილია, რომ მას გადაწყვეტილება „მაესტროდან“ „იმედში“ გადასვლაზე უკვე მიღებული აქვს. გავრცელებული ინფორმაციით, ორივე წამყვანი „მაესტროდან“ საკუთარ გუნდთან ერთად წავიდა... მათ შორის „მაესტროს“ თოქ-შოუების მთავარ პროდუსერი მაია თაბაგარიცაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მაესტროს“ მთავარი ხერხემალი „იმედმა“ გამოაცალა... როგორც ამბობენ, „მაესტრო“ ზუსტად ერთ დღეში დატოვა ორივე გადაცემის ყველა წევრმა. ერთადერთი, ვინც ჩვენი ინფორმაციით(შეთავაზების მიუხედავად) არხზე დარჩა, „სუბიექტური აზრის“ წამყვანი დიანა ტრაპაიძეა. როგორც ამბობენ, ტრაპაიძე ამბობს, რომ ვინაიდან „მაესტრომ“ მას ეთერი იმ დროს დაუთმო, როცა ყველგან დაბლოკილი იყო, მას გადაწყვეტილი აქვს, არასოდეს დატოვოს ეს ტელევიზია, თუმცა, სარწმუნო წყაროები იუწყებიან, რომ ჟიჟილაშვილთან და სიჭინავასთან მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი პირი ტრაპაიძის მეუღლე - ჯონი კალანდაძე იყო, რომელიც ცოტა ხნის წინ გადავიდა „მაესტროდან“ „იმედის“ საინფორმაციოს პროდიუსერად. „მაესტროს“, დამფუძნებელი მამუკა ღლონტი ამბობს, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა ამჟამინდელი ხელისუფლების ერთმა ფრთამ დაიწყო. ეს განცხადება ღლონტმა პარასკევს გააკეთა. ჩვენთან ინტერვიუში მას არ დაუკონკრეტებია ვის გულისხმობდა ხელისუფლების ერთ ფრთაში.

მამუკა ღლონტი, „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი:

- უფრო კონკრეტულად ვისაუბრებ განცხადებაში, რომელსაც „მაესტრო“ გაავრცელებს, თუმცა „მაესტროზე“ მიმდინარე პროცესებში ვხედავ კავშირს ხელისუფლებასთან, უფრო კონკერეტულად კი ერთმა ხელისუფლებამ „იმედს“ აჩუქა 16 მილიონი, მეორე ხელისუფლებამ ამაზე თვალი დახუჭა.

- გარდა ფინანსებისა, თქვენ საუბრობდით იმაზეც, რომ „მაესტრო“ იბლოკება ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, ვის დაინტერესებას ხედავთ ტელევიზიის „ჩაძირვის“ მცდელობაში?

- ჩვენ, ამ ეტაპზე, ველოდებით პასუხს ერთ-ერთი სახელმწიფო უწყებიდან და ამ პასუხის მიხედვით შეიძლება საჩივარიც კი შევიტანოთ სასამართლოში.

- ირმა ინაშვილმა დაადანაშაულა კოკა ყანდიაშვილი... თქვენ შემთხვევაში რა ხდება?

- ჩემი აზრით, კვალი შეიძლება უფრო მაღლაც კი წავიდეს.

- ბიძინა ივანიშვილამდე?

- არა. პირიქით, ეს არის ადამიანი, რომელსაც მე პატივს ვცემ. ბიძინა ივანიშვილი სარგებლოს ჩემი ძალიან დიდი ნდობით, მე ამ ადამიანს პირადად ვიცნობ და ვიცი მისი მსოფლმხედველობის შესახებ და მას ვუცხადებ ნდობას.

- პირადად მასთან შეხვედრა არ გიცდიათ ამ საკითხებზე რომ გესაუბრათ?

- კარგი იქნება თუ ქვეყანაში საზოგადოება მიეჩვევა, რომ თავისი პრობლემები თავადვე მოაგვაროს. ბიძინა ივანიშვილს ისედაც ბევრი პრობლემა აქვს, ჩვენ ვეცდებით თავად მოვაგვაროთ ჩვენი პრობლემები, თუ საშველი არ იქნება, შემდეგ უკვე ხელისუფლებასაც შევხვდებით.

- რამდენად შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი ხუხაშვილი, მასზეც ბევრი საუბრებია...

- მე რომ მინდოდეს რამე დამატებითი განცხადების გაკეთება, ამისთვის, პირველ რიგში, ჩემს მედია საშუალებას გამოვიყენებდი. „მაესტრო“ მალე გააკეთებს განცხადებას, რასაც ახლა ვსაუბრობ, ეს პირადად ჩემი მოსაზრებებია.

- სანამ აღნიშნული მოვლენები განვითარდებოდა და „მაესტროს“ მთელი პოლიტიკური გუნდი დატოვებდა, მანამდე იყო საუბარი, რომ ტელევიზიას ფინანსური პრობლემები აქვს, ითქვა, თითქოს ხელფასების გაცემის პრობლემაც კი შეიქმნა...

- კი, იყო. ჩვენ არაფერი დაგვიმალავს, არც ადრე ვმალავდით. „მაესტროში“ მიმდინარეობს ფინანსური რესტრუქტურიზაცია, რადგან ჩვენ მართვის ახალ სისტემაზე გადავდივართ. ამან გამოიწვია ორ-სამთვიანი შეფერხება, ასევე ფინანსების გადასროლა სხვადასხვა სეგმენტებში, ჩვენ გამოვუცხადეთ „მაესტროს“ თანამშრომლებს, რომ ეს პროცესი სექტემბერში, მაქსიმუმ ოქტომბერში დასრულდებოდა. საქმე კარგად მიდის და იმედი მაქვს სექტემბერში უკვე შევძლებთ უხელფასო შვებულებაში გაშვებული ადამიანების სამსახურში დაბრუნებას. ასევე შევძლებთ „მაესტროს“ თანამშრომლების ნაწილისთვის ხელფასების მომატებას.

- ეს იმიტომ გკითხეთ, რომ არსებობს ინფორმაცია, თითქოს თქვენ გადაეცით გარკვეული წილი ჟიჟილაშვილს და სიჭინავას...

- დიახ, ასე იყო, ჩვენ გადავეცით საპარტნიორო 3-3%-იანი წილი ჟიჟილაშვილს, სიჭინავას და ხატია ქვათაძეს. ამით ჩვენ მათ მადლობა გადავუხადეთ და დავუფასეთ ის ღვაწლი, რომელიც „მაესტროსთვის“ გაწიეს.

- ანუ, წასვლის შემთხვევაში მათ ეს წილი არ დარჩებათ?

- არ დარჩებათ, რადგან ეს იყო საპარტნიორო წილი. საპარტნიორო წილი ნიშნავს იმას, რომ ის იქნება კონკრეტული პირის საკუთრებაში, სანამ ის ადამიანი მუშაობს იმ ორგანიზაციაში.

- „მაესტროს“ ხშირად ჰქონია მსგავსი ექსტრემალური სიტუაციები, პრობლემები, თუმცა რამდენად ფიქრობთ ფართომასშტაბიანი ღონისძიებების დაგეგმვას?

- არა მგონია ფართომასშტაბიანი ღონისძიებები დაიგეგმოს. მე განვაცხადე კიდეც, დაახლოებით ორი თვის წინ, რომ არჩევნების შემდეგ მოხდებოდა გარკვეული შტოების მხრიდან ზეწოლები მედიაზე და ამისთვის ჩვენ უნდა გაგვეძლო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს პროცესი უფრო ფართო ხასიათს არ მიიღებს. დარწმუნებული ვარ, რომ „მაესტრო“ გაუმკლავდება ამ პრობლემას და ძალიან მალე დაინახავთ, რომ ყველაფერი იმაზე უკეთ არის, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

- როდესაც საუბრობთ ზეწოლაზე, თქვენ არ ასახელებთ კონკრეტულ პიროვნებებს, შეიძლება ზეწოლაში გულისხმობთ იმას, რომ თქვენგან მოითხოვდნენ გარკვეული პოლიტიკის გატარებას?

- მე ზეწოლაში ვგულისხმობდი მუშაობაში ხელის შეშლას და ჩვენი და-

მამუკა ღლონტი: „ზეწოლაში ვგულისხმობდი მუშაობაში ხელის შეშლას და ჩვენი დამორჩილების მცდელობას. ამის საბუთებიც გვაქვს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი ახალი გადანაწილებაა

ეკა კვესიტაძე

დათო პაიჭაძე

ლი „იმედმა“ გამოაცალა

მორჩილების მცდელობას. ამის საბუთებიც გვაქვს და კიდევ დამატებით ველოდებით დოკუმენტებს.

თუმცა ჩვენი ინფორმაციით მამუკა ღლონტმა კომენტარისგან თავი შეიკავა, რადგან მოსკოვიდან, საგანგებოდ, კოტე გოგელიას ჩამოსვლას ელოდებოდა. შეგახსენებთ, გოგელია მაკა ასათიანის მეუღლე და არხის ერთ-ერთი მეწილეა... გოგელიას ჩამოსვლის მიზანი, როგორც ამბობენ, არხის დაფინანსებას, ჟიჟილაშვილთან მოლაპარაკებებსა და არხზე ახალი სახეების მიყვანას უკავშირდება. გოგელია თბილისში შაბათს ჩამოვიდა და სავარაუდოდ დღეს გახდება ცნობილი, რას აპირებენ „მაესტროს“ დამფუძნებლები იმისთვის, რომ არხი გადაარჩინონ. ვიდრე „მაესტროს“ ცნობილი სახეები დატოვებდნენ, მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ფინანსური კრიზისის გამო, თანამშრომელთა ნახევარზე მეტი უხელფასო შვებულებებში გაუშვეს, ნაწილს კი-ხელფასები გაუნახევრეს. „ცნობილი იყო ისიც, რომ არხის მენეჯმენტი აპირებდა მთლიანად სერიალებზე გაეკეთებინა მთავარი აქცენტები და ყველა გადაცემა კვირაში მხოლოდ ორჯერ გაეშვა, მათ შორის ჟიჟილაშვილის და სიჭინავას ყოველდღიური ეთერი. დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ „მაესტრო“, რომელიც თავის დროზე სწორედ 24-საათიანი საინფორმაციოთი და პოლიტიკური თოქ-შოუებით გახდა პოპულარული, ნელ-ნელა კარგავდა პოლიტიკურ გავლენას.

ასეა თუ ისე, დღეს „მაესტრო“ ფაქტობრივად პარალიზებულია და მისი მთავარი ბირთვი „იმედზე“ წავიდა... „იმედის“ ეთერში სიჭინავა პოლიტიკურ თოქშოუს წაიყვანს, ჟიჟილაშვილი კი -„დროების“ მსგავს კვირის ანალიტიკურ გადაცემას გააკეთებს. კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია, რომელსაც ჯერ ხმამაღლა არ ადასტურებენ, „იმედი“ სერიოზულად ფიქრობს მთავარი საინფორმაციოს გადატანას საღამოს რვა საათიდან ცხრა საათზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მიდის ძალების მობილიზება „რუსთავი 2“- ის ჩასაძირად, რომლის რეიტინგი დღეს ქართულ მედიასივრცეში ჯერჯერობით უალტერნატივოა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, როგორი კონკ-

ურენციაა დაგეგმილი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „რუსთავი 2“ მაინცდამაინც მშვიდად ვერ შეხვდება ამ სეზონს, რადგან ორშაბათის „ნიჭიერს“ „დააჯდება“ „ცეკვავენ ვარსკვლავები“, ნინო შუბლაძის სამშაბათის „პოზიციას“ - სიჭინავას პოლიტიკური შოუ, ოთხშაბათის „ნანუკას შოუს“ დაახლოებით იმავე კონცეფციის ეკა ხოფერიას შოუ, ხუთშაბათის „პროფილს“ „იმედის“ „ახალი ხმა“, პარასკევის შუბლაძის პოზიციას - ვახო სანაიას შოუ... აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რომ ახალ რეალობაში „იმედით“ აპირებენ „რუსთავი 2“- ის ჩაჩოჩებას რეიტინგებში... სავარაუდოდ, ამ გეგმას უნდა უკავშირდებოდეს „იმედის“ გაძლიერება.

ჩვენი ინფორმაციით საზოგადოებრივ მაუწყებელზე აქვთ გეგმა, ეთერიდან მოიხსნას ეკა კვესიტაძის და დავით პაიჭაძის პოლიტიკური შოუები. ცოტა ხნის წინ არხი დატოვა ინგა გრიგოლიამ, რომელიც ამბობს, რომ გაუგებარ დროში გაიწელა მისი ეთერში გასვლა, გრიგოლია ოფიციალურად არ ადასტურებს, თუმცა პირად საუბრებში ვარაუდობს, რომ მოხდა მისი დაბლოკვა... ყოველ შემთხვევაში, საპზიდენტო არჩევნებამდე. როგორც ცნობილი ხდება, „პირველი არხის“ პოლიტიკური შოუების ნაცვლად დღის სტუმრების მიწვევა „მოამბის“ ეთერში იგეგმება, რაც გადაცემის ფორმატიდან და ქრონომეტრაჟიდან გამომდინარე, გამორიცხავს დებატებს. ერთ-ერთი ინფორმაციით, შესაძლოა, კვირის პოლიტიკური შოუს წამყვანად „მოამბის“ ახლადდანიშნული ხელმძღვანელი - სოფო მოსიძე მოგვევლინოს. რომელიც ამ პოზიციაზე ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაინიშნა. არის თუ არა ეს ყველაფერი ახალი ხელისუფლების მხრიდან მედიაზე გავლენების მოპოვების მცდელობა, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა ფაქტია, რომ დღევანდელი მოცემულობითა და ფაქტებით ბევრი კითხის ნიშანი ჩნდება. კიდევ ერთი საინტესო ინფორმაცია. ჯერ ოფიციალურად არ თქმულა, თუმცა გავრცელებული ცნობით „ტვ 9“-ზე პოლიტიკურ გადაცემას ჟურნალისტი ნანა ლეჟავა წაიყვანს და იგი დღეგამოშვებით, შესაძლოა, ჩაანაცვლოს ეკა ბერიძეს, რომლის მეუღლემ, არხის ყოფილმა დირექტორმა, ნათია ლაზაშვილთან,

თამარ რუხაძესთან და ბევრ სხვა ჟურნალისტთან ერთად, ნახევარი წლის წინ, ხმაურით დატოვა „მეცხრე არხის“ ეთერი. როგორც ამბობენ, მაშინ ეკა ბერიძეც აპირებდა მეუღლეს გაჰყოლოდა, მაგრამ იგი გააჩერეს. დღეს, მისი ჩანაცვლება, შესაძლოა ნანა ლეჟავათი მოხდეს, რომელიც გაურკვეველი მიზეზებით აქამდე გაჩერებული იყო და რომელსაც არცთუ კარგი ურთიერთობა ჰქონდა „მეცხრე არხის“ ამჟამინდელ დირექტორ ლუბა ელიაშვილთან. ასევე, არხზე იგეგმება ნათია მიქიაშვილის გადაცემა, ხოლო შოუ, რომელიც ძალვა რამიშვილს უნდა წაეყვანა, თავისთავად შეჩერდა მისი მარგველაშვილის პიარში გადასვლის გამო. აქტიურად საუბრობენ იმაზეც, თითქოს სულ მალე გაცხადდება, რომ „მეცხრე არხი“ გაიყიდა. ამბობენ იმასაც, რომ ივანიშვილმა შეწყვიტა საკუთარი ვაჟის - ბერას ტელევიზიის დაფინანსებაც. წავა თუ არა მთელი დაფინანსება „იმედზე“, სადაც მიდის მუშაობა „რუსთავი 2“- ის ჩასაძირად, ამას ახალი სატელევიზიო სეზონი გვიჩვენებს.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა კულუარული ინფორმაციები გადაემოწმებინა, ჩვენ ტელეკომპანიების პირველ პირებსა და წამყვანებს დავუკავშირდით:

ბაია ცანავა „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:

- თეა სიჭინავას გადმოსვლას ვადასტურებ და ახალი სატელევიზიო სეზონიდან ახალ პროექტს ვაკეთებთ ჩვენ არხზე. სიჭინავას გადაცემის ფორმატზე ჩვენ ვფიქრობთ და აქტიურად ვმუშაობთ. 15 სექტემბრიდან ვფიქრობთ, რომ ნელ-ნელა ჩაეშვება ახალი პროექტები. რაც შეეხება ნინო ჟიჟილაშვილს, გიდასტურებთ იმასაც, რომ მასთანაც გვაქვს მოლაპარაკება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებამდე ჯერ არ მივსულვართ. ძალიან ბევრი ახალი პროექტი იქნება, რომელთა შესახებაც შესაძლოა, იცით, არხზე დაგეგმილია მეგაპროექტები და უკვე ტრიალებს ამის პრომო. მე, როგორც არხის მენეჯმენტის წარმომადგენელმა შემიძლია გითხრათ, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ბრუნდება ამ არხზე და იქნება პროექტები. რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, გარდა იმისა, რომ თეა სიჭინავას პროექტი გავა, იქნება ასევე ვახო სანაიას გადაცემა. ასევე ვაკეთებთ ძალიან კარგ თოქ-შოუს ეკა ხოფერიასთან ერთად. „იმედის გმირები“ რჩება არხზე და დანარჩენს კიდევ მომავალში გაიგებთ.

- რას შეეხება საინფორმაციო სამსახურს, საუბარია იმაზე, რომ „იმედის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება საღამო 21 საათზე გავა ეთერში...

- იცით რა, ჩვენთან ახლა მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სატელევიზო ბადეზეც და სეზონზეც, ამიტომაც ამ ინფორმაციას ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ. ასე დანამდვილებით იმის თქმა, რომ რაღაც გავა 21 საათზე, ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ახალ სატელევიზო სეზონზე, ვიღებთ პრომოებს და არის ჩვეულებრივი სამუშაო სამზადისი, ალბათ როგორც ყველა სხვა ტელეკომპანიაში.

ლუბა ელიაშვილი, ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:

- ახალი სეზონიდან ძალიან ბევრი ახალი სიახლე გვექნება, დღეს ძალიან აქტიურად მიდის ამაზე მუშაობა. თუმცა ერთის თქმა დანამდვილებით შეგვიძლია, რომ ნანა ლეჟავა უკვე ჩვენი თანამშრომელია. ის ამ ეტაპზე საპრეზიდენტო დებატებს წაიყვანს ჩვენს არხზე, ხოლო შემდეგ პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანი იქნება. ეს გადაწყვეტილია, მაგრამ კიდევ ბევრ სხვა სიახლეს ვგეგმავთ და ამას აუცილებლად გაიგებთ.

- რაც შეეხება ეკა ბერიძეს, რამდენად შესაძლებელია მოიხსნას მისი გადაცემა?

- ეკა ბერიძის გადაცემის მოხსნა დღის წესრიგში არ დგას. ეკა ბერიძის გადაცემას მაღალი რეიტინგი აქვს და ის აუცილებად იქნება ეთერში.

ეკა კვესიტაძე, გადაცემა „აქცენტების“ წამყვანი საზოგადოებრივ მაუწყებელზე:

- მეც გამიგია ის ამბავი, რომ ჩემი გადაცემა შესაძლოა არ იყოს ეთერში, მაგრამ არ ვიძლევი კომენტარს მანამ, სანამ უშუალოდ ბარათაშვილისგან არ მოვისმენ ოფიციალურ კომენტარს. მე კი მას აუცილებლად შევხდები მომავალ კვირაში.

დავით პაიჭაძე, წამყვანი:

- ჩემთვის დღის წესრიგში ჩემი გადაცემის ეთერში გასვლის საკითხი არ დგას. როდესაც მე შვებულებაში გავედი, შევთანხმდით, რომ სექტემბრიდან ჩვეულებრივად გაგრძელდებოდა სატელევიზიო სეზონი. როგორც რადიოში, ასევე ტელევიზიაში. შვებულება აგვისტოში მიმთავრდება, პირველი სექტემბერი არის კვირა და 2 სექტემბერი არის ჩვეულებრივი სამუშაო დღე ჩემთვის.

ნიკა გვარამია, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი: „ორშაბათს ჩამოვალ თბილისში და შემდეგ დაგელაპარაკებით ამ ყველაფერზე“.

რესტორანი
VICTORIA
ქეთევან წამებულის ქ. N11

სასტუმრო
Victoria
პეტრიაშვილი ქ. N42

Tel: (99532) 2 251235;
2 290304.
Fax: 2 294450

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ გასცა თამაზ თამაზაშვილის უკანო

ნანა შონია

„ეს იყო საკმაოდ ნაყოფიერი თანამშრომლობა, იმ თვალსაზრისით, რომ მათ დაასახელს ის ზემდგომი პირები, რომელთაგანაც მოდიოდა ბრძანება“

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გენერლის საქმეზე გამოძიება ცოტა ხნის წინ დაასრულა. პოლიციის თანამშრომლების: გივი კრავჩენკოს, გრიგოლ კვინიკაძის, ზაზა ჭაიას, ვლადიმერ გამრეკელაშვილის, გოჩა ჩიტაიას და გოჩა ბაღათრიშვილი ჩვენებების მიხედვით ირკვევა, რომ თამაზაშვილს იარაღები ჩაუდეს. ამის ბრძანება კი შსს–ს მაშინდელმა მაღალჩინოსნებმა გასცეს. თამაზაშვილის დაკავებიდან პირველივე დღეებში კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ამ დაკავების პოლიტიკურ მიზნებზე საუბრობდნენ და მოხმდარზე პასუხისმგებლობას საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს ვანო მერაბიშვილს აკისრებდნენ. დღეს კი გამოძიებისთვის იმ მაღალჩინოსნების სახელები და გვარებია ცნობილი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა გენერალ თამაზაშვილის უკანონო დაპატიმრებაში. რა ჩვენებები აქვს გამოძიებას, რას ამბობენ წინასწარ დაკავებიდან გირაოთი გათავისუფლებული პოლიციელები და ვის შეიძლება წაუყენონ ბრალი. „პრაიმტაიმი“ თამაზ თამაზაშვილის ადვოკატს დაუკავშირდა:

ლილი გელაშვილი, თამაზ თამაზაშვილის ადვოკატი:

- თამაზ თამაზაშვილის დაკავება 2011 წლის 11 ოქტომბერს მოხდა. ზუსტად ოთხი დღით ადრე, მანამ, სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში წასვლის შესახებ გააკეთებდა განცხადებას. პოლიციის მაღალჩინოსნები პირდაპირ იყვნენ ჩართული მის დაკავებასა და იარაღის ჩადების საქმეში. თამაზაშვილს დაკავების მომენტშივე წაუყენეს პირობა, თუ მისი ოჯახის წევრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც მაშინ „ქართუ ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოში იყო, დაუპირისპირდებოდა ბიძინა ივანიშვილს, თამაზაშვილს მეორე დღესვე გაათავისუფლებდნენ. ღარიბაშვილმა ეს არ გააკეთა და თავად თამაზ თამაზაშვილმაც კატეგორიული უარი თქვა. ამდენი ხნის მანძილზე ჩვენ ვაცხადებდით, რომ ეს იყო „შეკერილი“ საქმე და თამაზაშვილს დაკავების მომენტში იარაღი არ ჰქონია, თუმცა უშედეგოდ. სასამართლო სამივე ინსტანციაში გვქონდა, გამოძიებას ვთხოვდით, გარკვეული პიროვნებების დაკითხვას, თუმცა გამოძიება უარს ამბობდა მათ დაკითხვაზე. დღეს სიმართლე გამოდგა ეს ყველაფერი და დადგინდა იმ პოლიციის მაღალჩინოსნების ბრალეულობის საკითხი, რომელთა დაკითხვასაც ჩვენ ადრეც ვითხოვდით. ეს იყო პოლიტიკური საქმე და ამას ადასტურებს საქმეში მყოფი ყველა მტკიცებულება. მოსამართლე დარწმუნებული იყო თამაზაშვილის უდანაშაულობაში, უბრალოდ, ისიც სისტემის ერთ-ერთი „ჭანჭიკი“ იყო და ვერ ბედავდა სხვა გადაწყვეტილების მიღებას. გამომძიებლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ე.წ. პატაკის შედგენაში, თამაზაშვილის დაკავებაში, მათ მიმართ წაყენებული იყო ბრალი მტკიცებულებების ფალსიფიკაციაზე და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე. არც ერთ მართგანს იარაღის ჩადებაზე არ ჰქონდა წაყენებული ბრალი. იქ იყო გაყალბებული მტკიცებულებები, გამოძიება ყოველგვარი საფუძვლის გარეშე იყო დაწყებული, „პატაკი“ და ნებართვა სხვა დროით იყო აღებული და გაცემული. დღეს დაკავებულმა პოლიციელებმა ითანამშრომლეს გამოძიებასთან და ამან შესაბამისი ასახვა ჰპოვა მათ მიერ წაყენებული ბრალის ლმობიერებასთან. ეს იყო საკმაოდ ნაყოფიერი თანამშრომლობა, იმ თვალსაზრისით, რომ მათ დაასახელოს ის ზემდგომი პირები, რომელთაგანაც მოდიოდა ბრძანება. ჩვენ, ამ შემთხვევაში, სამი პიროვნების დასახელება შეგვიძლია მხოლოდ, ვისაც ბრალი ოფიციალურად წაუყენა პროკურატურამ, ეს არის მაშინდელი პოლიციის სამმართველოს უფროსი გიორგი ხიზანიშვილი, კახეთის კუდ-ის უფროსი ლალიაშვილი და ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომელი პოპილაშვილი, ეს ის პიროვნებაა, რომელმაც უშუალოდ მიიტანა იარაღი. დასახელებული იქნა ასევე ერთი პიროვნება, ჩიტაია, რომელმაც ჩადო იარაღი. მათ მიმართ აღმკვეთი ღონისძიების საკითხი იქნა განხილული, აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება და მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით.

- პროკურატურის განცხადებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მისი დაკავების ბრძანება შს სამინისტროში გაიცა, შსს-ს კი მაშინ ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა. დღეს არსებული რეალობა იძლევა თუ არა იმის საფუძველს, რომ მას ბრალი დაუმძიმდეს?

- ჩემ მიერ დასახელებული პირები შსს მაღლაჩინოსნები იყვნენ. ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი, ერთ-ერთი საკვანძო თანამდებობაა, დანარჩენი კი გამოძიების პრეროგატივაა. მე ვარ დაზარალებულის ადვოკატი და ადვოკატს დღევანდელი პროცესით გარკვეული უფლებები შეზღუდული აქვს, ამიტომ არ შემიძლია გიპასუხოთ კონკრეტულად ჩვენებების დეტალებზე, რომელიც თანამშრომლებმა მისცეს. რაც მე გითხარით, უკვე საჯარო გახდა და ამიტომ არის ჩემთვის ცნობილი. როგორც თამაზაშვილის ადვოკატს, უბრალოდ, შემიძლია შეფასება გავაკეთო და განვაცხადო, დარწმუნებული ვარ, რომ შუალედური პირების, თუნდაც სამმართველოს უფლებების დონეზე, არ გადაწყდებოდა, გენერალ-მაიორის პოლიტიკური ნიშნით დაკავების საქმე. ეს არ იყო რიგითი ადამიანი, იყო კახეთის რეგიონის პოლიციის უფროსი, საკმაოდ ცნობილი სახე კახეთის რეგიონში, ასევე, ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი. ღარიბაშვილი კი, როგორც ბიძინა ივანიშვილმა შემდგომში განმარტა, მისი მარჯვენა ხელი იყო.

არ შემიძლია ამ ეტაპზე ვთქვა, რომ აუცილებლად დადგება პირველი პირების, ვანო მერაბიშვილის, პრეზიდენტის და ა.შ. პასუხისმგებლობის საკითხი. ეს არის პროკურატურის პრეროგატივა და უნდა არსებობდეს საკმარისი საფუძველი, რომ მათ წაუყენონ ბრალი. მე არ მაქვს საქმის მასალებზე წვდომა და ამას ვერ განვაცხადებ, მაგრამ შინაგანი რწმენით, მაშინაც და ახლაც ვაცხადებ, რომ ასეთი პოლიტიკური ნიშნით პირველი პირი ეს რიგითების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე არ მოხდებოდა. მე კითხვას პირიქით ვსვამ, თუნდაც დაკავება და მცდელობა, რომ მომხდარიყო მისი სახელის მიბმა ციხის კადრებთან, არ იყო პროვოცირებული პირველი პირებისგან? ამაზე საზოგადოებას ცალსახა პასუხი აქვს და ამ კითხვას პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს.

ირმა ჭკადუა, პოლიციელ გოჩა ბაღათრიშვილის ადვოკატი:

– თავიდანვე ვიცოდით, რომ ბატონი თამაზაშვილის მიმართ განხორციელდა უკანონო დაკავება. როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, ასევე დანარჩენები, თავიდანვე ბრალს არ აღიარებდნენ, რის გამოც მათ აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა, რადგანაც ისინი მუშაობდნენ ძალოვან სტრუქტურებში და შეეძლოთ ზეგავლების მოხდება მოწმეებზე. დაახლოებით ოთხი დღის წინ, 13 აგვისტოს, ყველა ბრალდებული, მათ შორის გოჩა ბაღათრიშვილი, დაიკითხა დამატებით ბრალდებულის სახით, სადაც მათ კონკრეტულად მიუთითეს ყველა გარემოებაზე და ითანამშრომლეს გამოძიებასთან. თავი ცნეს დამნაშავედ და აღიარეს დანაშაული. მათ პირდაპირ მიუთითეს თავიანთ ჩვენებებში იმ მაღალჩინოსნებზე, რომელთა დავალებითაც მოქმედებდნენ.

- ვინ არიან ეს მაღალჩინსონები, შეგიძლიათ ამაზე საუბარი?

- ქალაქის სამმართველოს უფროსი ბატონი ხიზანიშვილი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ყველაფერს და რომლის დავალებითაც ეს ბატონები მოქმედებდნენ. ვინ დაავალა ბატონ ხიზანიშვილს ეს ყველაფერი, ამაზე უკვე მან უნდა ილაპარაკოს. დღეს ხიზანიშვილს ბრალი წაყენებული აქვს რამდენიმე პირთან ერთად, ამ საქმის მასალებს კი ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცნობთ.

დაკავებულმა პოლიციელებმა სრულად აღიარეს დანაშაული, რის გამოც პროკურატურისთვის გახდა შესაძლებელი, რომ ემსჯელათ უფრო მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიების შეცვლაზე. ამიტომაც მათთვის მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიება არის აბსოლუტურად სწორი და გამართლებული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქმე არ გაგრძელდება. საქმე გაგრძელდება და ვნახოთ მერე სასამართლო რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

- პროკურატურის განცხადებაშიც საუბარია, იმაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა გასცეს ეს ბრძანება...

- თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ გენერალ თამაზაშვილის დაკავება ქვედა რგოლებში არ გადაწყდებოდა. თამაზ თამაზაშვილს ჰქონდა იარაღი, რომლის ტარებისთვისაც ჰქონდა კანონიერი უფლება და უსუსური იყო ის ბრალდებები, რომლითაც თამაზაშვილი 9 წელი იქნა დაკავებული. ბუნებრივია, რომ რიგითი თანამშრომელი ბაღათრიშვილი, თუნდაც რამდენიმე ბრალდებული, ვინც იყვნენ წარმოდგენილნი, ესენი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ თამაზაშვილის დაკავებას. რა თქმა უნდა, რანგით და ჩინით მაღალმა თანამდებობის პირებმა გასცეს ბრძანებები. ის პირები, რომლებიც ამ ადამიანე-

ლილი გელაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნოდ დაპატიმრების ბრძანება ცნობილია

„დაკავება და მცდელობა, რომ მომხდარიყო მისი სახელის მიბმა ციხის კადრებთან, არ იყო პროვოცირებული პირველი პირებისგან? ამაზე საზოგადოებას ცალსახა პასუხი აქვს და ამ კითხვას პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს“

თამაზ თამაზაშვილი

EXCLUSIVE

ეკა ბესელია: „მას ჩაუდეს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა ტიპის ვაზნები. ეს იყო პირველი პოლიტიკური თავდასხმა... მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პირველი იერიში სწორედ თამაზ თამაზაშვილზე მიიტანეს“

ბის მიერ იყვნენ დასახელებულნი, თუ კი მისცემენ ჩვენებას, რომ ისინი ასრულებდნენ დავალებას, მაგალითად, ბატონი ვანო მერაბიშვილის, შესაძლებელია ვანო მერაბიშვილს ამ შემთხვევაში ბრალი დაუმძიმდეს. თუ კი ისინი იტყვიან, რომ ბატონ ვანოს არ გაუცია ეს ბრძანება და გასცა სხვა პიროვნებამ, მაშინ სხვა პიროვნება მიეცემა პასუხისგებაში. წინასწარ ამაზე საუბარი ძალიან გამიჭირდება, თუმცა ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ იმ რგოლებში გადაწყდა, რომლებიც თქვენს მიერ იქნა დასახელებული და შესაძლებელია, ეს პრეზიდენტის დონეზეც ყოფილიყო გადაწყვეტილი.

ეკა ბესელია, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი: „თამაზ თამაზაშვილის საქმე ჩემთვის კარგად არის ცნობილი, ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც ის დააკავეს. მე ინტენსიურად ვესწრებოდი მის სასამართლო პროცესებს და ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესები. მას ჩაუდეს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა ტიპის ვაზნები. ეს იყო პირველი პოლიტიკური თავდასხმა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პირველი იერიში სწორედ თამაზ თამაზაშვილზე მიიტანეს. ძალიან კარგად ვიცი მოწმეები, რომლებიც ამ პროცესზე გამოდიოდნენ და ცრუ ჩვენებებს იძლეოდნენ. გარდა ამისა, ბევრი საპროცესო დარღვევა იყო საქმეში და ძალიან კარგად მახსოვს ისიც თუ როგორ ირღვეოდა უდანაშაულობის პრეზუმფცია. მასხოვს, მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციებიც აქტიურად ეხმაურებოდნენ ამ ფაქტებს. ეს საქმე იყო ერთ-ერთი აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური საქმე, რომელიც მხოლოდ თამაზაშვილის წინააღმდეგ არ იყო მიმართული. ეს ყველაფერი მიზნად ისახავდა მისი ახლობლების

ეკა ბესელია

წინააღმდეგ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ის უკავშირდებოდა ირაკლი ღარიბაშვილის პიროვნებას. ის ფაქტი, რომ ამ საქმეზე დაკავებული პოლიციელები ადასტურებენ, რომ მათ თამაზაშვილს მართლაც ჩაუდეს იარაღი, მიუთითებს იმ განცხადებების სიზუსტეზე, რომელსაც ჩვენ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, არჩევნებამდე აქტიურად ვაკეთებდით. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვფიქრობ, რომ ის იყო სწორი და ადეკვატური, რადგან ამ პირებმა ითანამშრომლეს გამოძიებასთან. ამ ყველაფრის შემდეგ კი უკვე სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას. თუმცა ამ დროისთვის გამოკვეთილი ფაქტობრივი მასალებით დადასტურებულია, რომ ეს იყო პოლიტიკური საქმე. თქვენ კარგად გახსოვთ, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები გეგმავდნენ, ციხის სკანდალი მისთვის გადაებრალებინათ, მაგრამ ამის განხორციელება ვერ მოასწრეს, რადგან პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა სრულად შეცვალა რეალობა.

- ქალბატონო ეკა, პროკურატურის განცხადებაში პირდაპირ არის ნაქვამი, რომ შსს მაღალჩინოსნების ხელმძღვანელობით ხდებოდა ეს ყველაფერი. ვინ იყვნენ ის მაღალჩინოსნები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ამ ყველაფერს და შესაძლოა თუ არა დადგეს მათი პასუხისმგებლობის საქმე?

- ასეთი ტიპის საქმეზე გადაწყვეტილებას რომ ვერ მიიღებდა რიგითი პოლიციელი, განყოფილების უფროსი ან რიგითი თანამშრომელი, ეს არ საჭიროებს განსაკუთრებულ მტკიცებულებებს. მე მგონია, რომ მაღალი თანამდებობის პირების გარეშე და პირველ რიგში მოიაზრება შინაგან საქმეთა იმდროინდელი მინისტრი, ეს გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული. ეს არის ჩემი მოსაზრება და ვერსია, რომელიც სრულიად ადეკვატური და რეალურია, თუმცა მეორეა, რა იკვეთება საქმეში. მნიშვნელოვანია გავიგოთ, ვისი დავალებით მოქმედებდნენ პოლიციელები. მე არ მაქვს ინფორმაცია ვინ დაავალა პოლიციელებს ასეთი რამ, მაგრამ შესაძლოა, გამოძიებას ეს ინფორმაცია ჰქონდეს. უნდა დადგეს იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი ვინც ასეთი უკანონო გადაწყვეტილებით, ბრძანებებით გეგმავდა და ორგანიზებას უკეთებდა ამ ყველაფერს. სავსებით შესაძლებელია ეს ყველაფერი გამოვავლინოთ იმ პოლიციელების ჩვენებებით, რომლებიც დღეს აღიარებენ ჩადენილ უკანონო ქმედებებს.

„ბევრი საპროცესო დარღვევა იყო საქმეში და ძალიან კარგად მახსოვს ისიც, თუ როგორ ირღვეოდა უდანაშაულობის პრეზუმფცია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ შლის „ქართულ ოცნებას“?

მარიამ ნადირაძე

„თავის დროზე დავით საგანელიძემ და არმაზ ახვლედიანმა მოახერხეს ის, რომ მოეტყუებინათ ბიძინა ივანიშვილი და აბაშისა და რუსთავის ორგანიზაციების წევრებისთვის დაებრალებინათ, რომ ისინი იყვნენ ჩანერგილები“

რა მოატყუეს ბიძინა ივანიშვილს დავით საგანელიძემ და არმაზ ახვლედიანმა?

პარტია „ქართული ოცნებიდან“ წევრების მასობრივ გადინებას ზოგი ივანიშვილის იმიჯის ვარდნას უკავშირებს, ზოგიერთი – ხელისუფლებისგან გაცრუებულ მოლოდინებს სამართლიანობის აღდგენის სფეროში, ზოგი –კოჰაბიტაციას და ზოგიც – ამ ფონზე სხვა ლიდერების გამოკვეთილ რადიკალურ, შეურიგებელ პოზიციებს.

თუმცა, არ გამორიცხავენ არც იმას, რომ ეს საერთო თამაშის ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც სახელად მიშას გადარჩენის გეგმა ჰქვია.

სანდრო ბრეგაძეს ამ მიმართულებით საკუთარი მკვეთრად ჩამოყალიბებული მოსაზრებები აქვს და „ოცნების“ რღვევის პროცესში დამნაშავეებიც ჰყავს გამოვლენილი. თუმცა, სანამ მთავარ თემაზე მასთან ინტერვიუზე გადავალთ, როგორც ირკვევა, მასაც გაუცრუვდა იმედები და ამის შესახებ ის თავად გვიამბობს:

– საქართველოს მოსახლეობა პოლიტიკურად ბევრად უფრო გაიზარდა, ვიდრე ეს იყო სააკაშვილის მმართველობის დროს. ვფიქრობ, „ქართული ოცნების“ იმ პარტიულ ბოსებს, რომლებიც ბიძინა ივანიშვილთან ხალხის აზრს ბლოკავენ, კარგი დღე არ ელით. იგივე არმაზ ახვლედიანმა ჩემს თვალწინ სამეგრელოს მოსახლეობა მოატყუა, რომლებსაც ივანიშვილთან შეხვედრა უნდოდათ. მან ბიძინა ივანიშვილის სახელით უთხრა, რომ ეს შეხვედრა შედგებოდა, რადგან ეს შეთანხმებული იყო, მერე კი გადააგდო ისინი. შთაბეჭდილება დარჩა, რომ მოიტყუა ივანიშვილმა. „ქართულ ოცნებაში“ თუ არ მოხდა პარტიული გაჯანსაღება, მე ამ პარტიის პერსპექტივას მუქ ფერებში ვხედავ, სიმართლე გითხრათ.

– ამ სვლებს საგანელიძე და ახვლედიანი გათვლილად აკეთებენ?..

– ამას ვერ დავაბრალებ მათ. თუმცა ვერც იმაზე დავდებ თავს, რომ არ არის გათვლილი ნაბიჯები. მაგრამ მთავარია, რომ საქმე გაფუჭდა, თანაც სერიოზულად. 7 თვეში რომ ამდენს მოახერხებ... რომ ბიძინა ივანიშვილის პარტიიდან, რომელმაც „ნაცმოძრაობა“ დაამარცხა, პირველი ოქტომბრის გამარჯვება მოიპოვა, რომელსაც უდიდესი ქველმოქმედის სახელი აქვს, ხალხი გაიქცევა, ამას „დიდი ნიჭი“ სჭირდება.

– რატომ საგანელიძე და ახვლედიანი?.. თავად ივანიშვილი არ გახდებოდა პარტიიდან გადინების მიზეზი თავისი განცხადებით, რომ ახალ წლამდე პოლიტიკიდან მიდის?

– ამ პროცესებზე, მერწმუნეთ, ძალიან დიდი გავლენა იქონია საკადრო პოლიტიკამ. ეს სწორედ საგანელიძესა და ახვლედიანს ჰქონდათ დავალებული. მათ კი სამეგრელოს რაიონში მხედრიონელები მოიყვანეს პარტიული ორგანიზაციის ლიდერებად, თბილისში – „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერი დაანიშვნინეს საკრებულოს თავმჯდომარედ. საგანელიძე ჩემთვის უცხო კი არ არის. თუ გაიგებს, რომ ამ ყველაფერს მეგობრის პოზიციიდან ვლაპარაკობ, კარგია, თუ ვერ გაიგებს, არც ამაზე მოვიკლავ თავს, შეუძლია, ცივი წყალი დალიოს დილას, საღამოს და შუადღისას. ბევრი ადამიანი, რომელიც დღეს „ქართული ოცნების“ ლიდერებად არიან წარმოჩენილნი, პირველ ოქტომბრამდე ჩვენს მხარეს თვალითაც არ მინახავს, მოწინააღმდეგის მხარეს კი ზონდერებად მინახავს. ნაციონალებით გაავსეს პარტიული სტრუქტურები და ეს არის შეცდომა, რომელიც დანაშაულის ტოლფასია. ეს ძალიან დიდ დარტყმას აყენებს „ქართული ოცნების“ იმიჯს.

– იმ დროს, როცა ყველამ იცის შიხაშვილის, მისაბიშვილისა და ხაჩირაშვილის პოლიტიკური წარსული და დღეს ისინი „ქართულ ოცნებაში“ წამყვან პოზიციებზე არიან, ამას თქვენ, უბრალოდ, შეცდომას ეძახით?

– აქ არის ნეპოტიზმის ნიშნებიც. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ შიხიაშვილის არჩევა საკრებულოს თავმჯდომარედ – ეს არის გაუგონარი ტიპის დანაშაული. ის გია უდესიანთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა „ქართული ოცნების“ წინაღმდეგ მიმდინარე მოქმედებებში. მინდა მივმართო ბიძინა ივანიშვილს: უბრალოდ, „გუგლში“ ჩაწერეთ ირაკლი შიხიაშვილი, ნიკო ხაჩირაშვილი, გურამ მისაბიშვილი და ეს პროგრამა ამოგიგდებთ მათს შარშანდელ „საგმირო საქმეებს“. ესენი არიან ავაზაკები და ასეთი ხალხით „ქართული ოცნების“ გავსებაც ავაზაკობაა. რა დამავიწყებს საკნების აქციების პერიოდს, როდესაც შიხიაშვილისა და ხაჩირაშვილის გამოგზავნილი ზონდერების საშუალებით, რომლებიც ტაქსის მძღოლების ქურქში იყვნენ გახვეულნი, ოპოზიციის წარმომადგენლებს იპარავდნენ, მიჰყავდათ, ზოგს ტყეში სცემდნენ, ასახიჩრებდნენ, იჭერდნენ და ა.შ. ნუთუ, იმისთვის იბრძოლა საქართველოს მოსახლეობამ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ტრანსფორმირებული სახით დაგვბრუნებოდა ხელისუფლებაში. როცა „ნაცმოძრაობის“ ზონდერს მინიშნავ დედაქალაქის მმართველად, ეს შეურაცხყოფაა, ნუ დამინიშნავ სამეგრელოში ლიდერად გურამ მისაბიშვილს, ამ ყაჩაღს, მექრთამეს, ახალაიასა და გოროზიას ბრძანებების უტყვ შემსრულებელს და მათ დამფინანსებელს. რა უნდა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გვერდით წარდგენის დროს გურამ მისაბიშვილს, როცა მისი ადგილი ციხეშია? ეს მორალური საკითხია, პირველ რიგში. პატიოსანი ადამიანი ამას ვერ შეეგუება.

– სკეპტიკოსებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ეს პროცესები, რაც „ოცნებაში“ ხდება, ნაციონალებთან გარიგების პროდუქტია...

– მე არ მაქვს ეს ინფორმაცია. დავით საგანელიძის მხრიდან შემიძლია, გამოვრიცხო ასეთი გარიგება.

– მაგრამ რესპუბლიკელებზე დაბეჯითებით საუბრობთ და დაზუსტებული ინფორმაცია გაქვთ?

– დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს, რომ რესპუბლიკელებს უნდათ, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გავიდნენ გიორგი მარგველაშვილი და დავით ბაქრაძე. მათ პირდაპირ განაცხადეს, რომ ნინო ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლას ბაქრაძის გასვლა ურჩევნიათ. არადა, საქართველოსთვის ყველაზე დიდი შეცდომა იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ადგილზე გასვლა და მისი დაფიქსირება ერთადერთ ოპოზიციურ ძალად. ეს გახდება ნაციონალების, რესპუბლიკელებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებული ახალი, ე.წ. ლიბერალური კოალიციის საფუძველი, რომელსაც დააფინანსებს ჯორჯ სოროსი და რომლის არქიტექტორი და რუხი კარდინალი საქართველოში არის გიგა ბოკერია. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. ჩვენ ვიბრძოლეთ იმისთვის, რომ საქართველო განთავისუფლებულიყო სააკაშვილის ჭირისგან და ჩვენ ახალ ჭირს არ მოვითმენთ. დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს იმაზეც, რომ ახალი ხელისუფლების შედარებით ქვედა რგოლებში შექმნილი მაფიოზურ-ფინანსური კლანი, რომელიც ნაციონალებს აძლევს საშუალებას, დაალაგონ სიტუაცია ახალ ხელისუფლებასთან. დალაგებაში იგულისხმება მცდელობა, წილში ჩაუჯდნენ ამ ბიზნესმენებს. ერთ მაგალითს გეტყვით: როგორც იცით, აზერბაიჯანიდან სომხეთში ნავთობის გატანა შეუძლებელია და ამიტომაც სომხებს საქართველოს პორტები ამარაგებენ ნავთობით. ეს არის ბათუმისა და ფოთის პორტი. თავის დროზე ეს ბიზნესი მონოპოლიზებული ჰქონდა დავით კეზერაშვილს. ჩემთვის ცნობილია, რომ თვეში 40 მილიონამდე დოლარია ამ საქმიდან მოგება. ხელისუფლების ცვლის შემდეგ რამდენიმე ხანში დავით კეზერაშვილმა მავანთან, რომლის დადგენაც მიმდინარეობს, მოახერხა საერთო ენის გამონახვა, მას გადაულოცა სომხეთში ნავთობის მიწოდების ბიზნესიდან სოლიდური წილი, თვითონ კვლავ დარჩა ამ ბიზნესში და დღესაც რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი აქვთ შეხმატკბილებული შემოსავალი. ამას გარდა, ერთ-ერთ ბრიტანულ-გერმანულ ფირმას სურდა საწვავის ბაზარზე შემოსვლა. „სოკარმა“, სააკაშვილის ოჯახის კონტროლირებადმა „ვისოლმა“, „რომპეტროლმა“ და კეზერაშვილისგან კონტროლირებადმა „გალფმა“ არ მისცეს ამ კომპანიას ბაზარზე შემოსვლის საშუალება. გია უდესიანი, ცნობილი ზონდერი, რომლის მიმართ კოჰაბიტაციის შედეგად სისხლის სამართლის საქმე აღძრულიც არ არის, დღესაც ავტომობილების ექსპორტ-იმპორტის მონოპოლისტია. რუსთავის ავტობაზრობა არის გია უდესიანის ხელში. ამ ჩამონათვალს რომ გავყვე, კიდევ უამრავ მაგალითს მოვიყვან იმის დასადასტურებლად, რომ ნაციონალები კვლავ მილიონებს შოულობენ საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე. ეს არანაირად არ არის სამართლიანობის აღდგენა. პირიქით, ეს არის ნაციონალებისთვის ხელის შეწყობა, რომ განავითარონ თავიანთი ბიზნესი და კიდევ შეჭამონ საქართველოს მოსახლეობა თავიანთი უკანონო საქმიანობით. ეს მოვლენები, სამწუხაროდ, ხდება დღეს ბიზნესსფეროში და სხვათა შორის, ამ კუთხით ბევრი კითხვა არსებობს პრემიერის მრჩეველთან, გია ხუხაშვილთან. მისი მოვალეობაა, ამ კითხვებს უპასუხოს. თუ ამომწურავ პასუხს გასცემს ამ კითხვებს, პირადად მე გულზე ლოდი მომეხსნება, თუ დაგვარწმუნებს, რომ ის არაფერში გარეული არ არის. ეს მე უზომოდ გამიხარდება.

– რა კითხვებს უნდა გასცეს ხუხაშვილმა პასუხი?

– ამაზე ყველა ლაპარაკობს, რომ ხუხაშვილის გარეშე მთავრობაში დამლაგებლად არავინ ინიშნება. ათეულობით მილიონიანი ბიზნესპროექტები მისია, რკინიგზა მისია, ფოსტა მისია, აზერბაიჯანის ნავთობის ტრანზიტი მისია, სომხეთისთვის მიწოდებული ნავთობი მისია, „გალფი“ მისია, თამბაქოს სფეროს სეგმენტი მისია, მისია და მისია და მისია ყველაფერი... და თუ ასე არ არის, დაგვიმტკიცოს. მე გია ხუხაშვილის ჯინი კი არ მჭირს, პირიქით, ვთვლი, რომ ძალიან ნიჭიერი მრჩეველია, მაგრამ ხმები მილიონი ადამიანისგან რომ მომდის, რა ვქნათ. კვამლი კი უცეცხლოდ არ ჩნდება.

– ხედავთ, რამდენი უსამართლობაა? თქვენ კი ამბობთ, ხალხი „ოცნებიდან“ სტრუქტურული მოუწყობლობის გამო გარბისო...

– ეს ყველაფერი ერთმანეთთან კომპლექსურად არის შერწყმული. რა თქმა უნდა, მიზეზი არის არაორგანიზებულობა, ნაცზონდერებით „ქართული ოცნების“ რიგების გატენა, არის ბევრი ის კითხვის ნიშანიც, რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ არის კიდევ ერთი, რაც ყველაზე მთავარია: ის, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ მიმდინარეობს. ასე რომ, სახეზეა ნაკლოვანებების მთელი კომპლექსი, რომელიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი ალასანიას პარტია ბიძინა ივანიშვილს აფრთხილებს

ხათუნა მგალობლიშვილი

EXCLUSIVE

ვინ ღალატობს პრემიერს

კოალიციაში აზრთა სხვადასხვაობას, ერთმანეთის კრიტიკასა და სიტყვიერ დაპირისპირებასაც კი ბუნებრივ პროცესად აღიქვამენ. ლიდერები ამბობენ, რომ იდეოლოგიურად განსხვავებული პარტიებისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და რაც მთავარია, ასეთ ურთიერთობას საკუთარ თავს დემოკრატიის უმაღლეს გამოვლინებად უთვლიან. ამ ტერმინებს „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ახალი შემატეს. ალასანიას გუნდის წევრი, გიორგი ჩიქოვანი ცდილობს, ბიძინა ივანიშვილს თვალები აუხილოს და დაანახოს, რომ მის გარემოცვაში მოღალატეები არიან. ინტრიგა პოლიტიკაში, როგორც წესი, ყოველთვის დაფარული რჩება. ჩიქოვანი დაკონკრეტებისგან თავს იკავებს. არც იმაზე საუბრობს, ვინ არის მოღალატე, ან კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს ღალატი. ამბობს, რომ განცხადება უკვე გაკეთებულია და მასზე საუბარი აღარ ღირს. თუმცა ფაქტია, რომ მისი სიტყვები ღალატთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას დაემთხვა – ითქვა, რომ კოალიციის წევრების საკმაოდ დიდი რაოდენობა ნინო ბურჯანაძის პარტიაში გადავიდა. ფაქტს კოალიციიდან გამოეხმაურნენ და, ბუნებრივია, უარყვეს. ერთადერთი, რასაც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ადასტურებს, არის ის, რომ კოალიციის ბევრი ლიდერი კოჰაბიტაციის სერიოზული წინააღმდეგია. ეს ღიადაც ჩანს. ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესებმა „ოცნებაში“ სერიოზული რყევები გამოიწვია. პროცესი რღვევის დაწყებად შეფასდა. შესაბამისად, დაპირისპირება რომ სახეზეა, ეს ფაქტია. უბრალოდ, ერთობა პრობლემებს მალავს და ეს ლოგიკურიცაა.

ახალაია, კოჰაბიტაცია, ამომრჩევლისთვის მიცემული და შეუსრულებელი პირობები, პირადად ლიდერებისთვის მიცემული სიტყვები – ბუნებრივია, ეს ყველაფერი უსიამოვნებებს იწვევს. თუმცა ღალატი სულ სხვა პრობლემაა. სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციით, „ოცნების“ ლიდერები კანონიერ ქურდებთან კავშირშიც ამხილეს ივანიშვილთან და როგორც ამბობენ, პრემიერს ურეკში საკმაოდ ხმაურიანი შეხვედრაც მოუწყვია საკუთარი გუნდისთვის...

გიორგი ჩიქოვანი, „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრი:

– პრემიერ-მინისტრს საკუთარი გარემოცვიდან რამდენიმე ადამიანი ღალატობს. დასანანია, რომ ბატონი ბიძინა აშკარად ვერ ხედავს რეალურ სურათს. ამაში დამნაშავეა მისი გარემოცვა, რამდენიმე კაცი, რომლებსაც, რატომღაც, ბატონი ბიძინა თვალდახუჭული ენდობა. სინამდვილეში, მას ღალატობენ. მეტი რა არის ღალატი, თუ არა რეალური სურათის დაფარვა, საკუთარი ინტერესების ლობირება, თანამდებობებზე ისეთი ხალხის მოყვანა, რომლებსაც არანაირი ავტორიტეტი არ აქვთ და რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ. ძალიან არ მომწონს, გუშინდელი „ნაციონალების“ ვითომ გადმობარგება „ოცნებაში“. რა ღირებულებების მატარებლები არიან ისინი? როგორ შეიძლება მათი ნდობა? გუშინ ისინი ყველა ხერხით ებრძოდნენ ჩვენს ხალხს, რომლებიც დღემდე ქუჩაში არიან. ტყუილია, რომ საქართველოში არ არიან პროფესიონალები. პროფესიონალებიც არიან, პატრიოტებიც არიან, პატიოსნებიც არიან, მაგრამ ვინ ეძებს ასეთ ხალხს? ყველას და ყველაფერს საკუთარი სახელი უნდა დაერქვას. დამნაშავე ციხეში უნდა იჯდეს. ქვეყანას უნდა მართავდნენ საუკეთესო კადრები, რომლებმაც ეს ცხოვრების წესით დაიმსახურეს და არა თაღლითობით. ასეთი ხალხი არის, ოღონდ ისინი არ აქტიურობენ და არც ცდილობენ, მოიპოვონ თანამდებობები.

გიორგი ჩიქოვანი: „პრემიერ-მინისტრს საკუთარი გარემოცვიდან რამდენიმე ადამიანი ღალატობს“

ლევან ალაფიშვილი: „ბოლო პერიოდში ინტენსიური გახდა ამბიციურ ადამიანთა მხრიდან მსგავსი განცხადებები“

რა მიზანი ჰქონდა ჩიქოვანის განცხადებას ამის შესახებ, მხოლოდ მსჯელობა შეიძლება. არ არის გამორიცხული, ამ განცხადებით „თავისუფალი დემოკრატები“, უბრალოდ, რესპუბლიკელების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, თუმცა, ექსპერტ ლევან ალაფიშვილის განცხადებით, მსგავსი მწვავე შეფასებების გაკეთება ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ითვლებოდა ყურადღების მიქცევის საუკეთესო მეთოდად...

ლევან ალაფიშვილი, ექსპერტი:

– ბოლო პერიოდში ინტენსიური გახდა ამბიციურ ადამიანთა მხრიდან მსგავსი განცხადებები. სხვათა შორის, მსგავსი რამ ჩვენი პოლიტიკური სისტემისთვის უცხო არ არის. თუნდაც იგივე შევარდნაძის პერიოდი რომ გავიხსენოთ, მაშინაც ამდაგვარი გზით ცდილობდნენ პირველობის მოპოვებას მთავარი ლიდერის ირგვლივ. იგივე მეთოდებით მოქმედებდნენ მაშინ სოციალისტური პარტია, მისი ლიდერი, „მოქალაქეთა კავშირის“ შიდა დაჯგუფებები. ეს ტრადიციად ჩამოყალიბდა და რეალურად ეს პოლიტიკურად გაუმართავი სისტემის ინდიკატორია. ამ მეთოდით ხდება ყურადღების მიქცევა განმცხადებლის მხრიდან, ერთგულების დამტკიცების მცდელობა, მით უფრო, თუ არ კონკრეტდება, ვინ ვის ღალატობს, ან რაში გამოიხატება ეს ღალატი. ამას, ალბათ, ხელს უწყობს კოალიციიდან კულუარული ინფორმაციების გამოჟონვაც. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამ ყველაფერმა გარკვეული პროცესები გამოიწვიოს.

– ჩიქოვანმა განაცხადა, რომ ივანიშვილს გარემოცვიდან ღალატობენ. ცნობილია, რომ ივანიშვილთან ყველაზე ახლოს სწორედ რესპუბლიკელები არიან, შეიძლება რომ „თავისუფალი დემოკრატები“ ამით რესპუბლიკელებს „ურტყამდნენ“?

– არ გამოვრიცხავ, ყველა ყველაფერს შეეცდება პირველობის მოსაპოვებლად. ბევრი რამ მიმანიშნებს, რომ კოალიციის შიგნით არის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა და მათ შორის მნიშვნელოვანი ფასეულობითი განსხვავებებიც.

– საუბარი იყო ყოფილი ნაციონალების გადასვლაზეც ახალ უმრავლესობაში სხვადასხვა რაიონულ ორგანიზაციებში, საკრებულოებში. როგორ ფიქრობთ, ასეთ დროს გადაწყვეტილებას ადგილობრივი ხელმძღვანელი იღებს, თუ ეს ყველაფერი ივანიშვილთან თანხმდება?

– ასეთი ადამიანები საკუთარ წარმატებას კონკრეტულ პარტიებს უკავშირებენ, ისინი ყოველთვის გადადიან გამარჯვებულ პარტიაში და ამას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიც უწყობენ ხელს, რადგან მათთვის რიცხოვნობას აქვს მნიშვნელობა და ბუნებრივია, აწყობთ გამრავლება. კადრების დეფიციტია და მარტივად ხდება მათი შევსება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დატოვებს თუ არა სავარძელს მ

მარიამ ნადირაძე

უკანასკნელ ხანს, თავდასხმებს, საკუთარ პარტიასთან ერთად, რესპუბლიკელი მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილიც ინტენსიურად იგერიებს. უფრო მეტიც, მოარული ხმებით, მას მალე პოსტსაც დაატოვებინებენ.

რა არის ამის საფუძველი, ვინ და რა მიზნით უმღვრევს წყალს ივანიშვილის ერთ-ერთ ფავორიტს? „პრაიმტაიმი“ თავის მკითხველს იმასაც შეახსენებს, რომ ხსენებული პარტიიდან ზაქარეიშვილი პირველი იყო, ვინც ივანიშვილის გვერდით გამოჩნდა და ზოგიერთი ინფორმაციით, სწორედ ამ ურთიერთობის წყალობით აღმოჩნდა „რესპუბლიკური პარტია“ დღევანდელი მმართველი კოალიციის რიგებში. რა პროცესები განვითარდა მას შემდეგ?

ექსკლუზიურად „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვის ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრთან რეინტეგრაციის საკითხებში, პაატა ზაქარეიშვილთან:

– თქვენი განცხადება აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის შესახებ, მით უმეტეს, როცა იგივე განაცხადა რუსეთის პრემიერმა მედვედევმა, დეპუტატმა გიორგი კანდელაკმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ მოღალატეობრივ პოზიციად შეაფასა. რა განმარტებას გააკეთებთ ამასთან დაკავშირებით?



„ველოდები, როდის მოაწერს ხელს სააკაშვილი ჩემი სამინისტროსთვის სახელის შეცვლას. ვიდრე სახელი არ შეიცვლება, წინ ვერ წავიწევთ... ისინი არ ელაპარაკებიან ჩემი სამინისტროს სახელის მატარებელ არც ერთ პიროვნებას“

– თქვენ გულისხმობთ „ნაციონალურ მოძრაობას“? მე მათ ოპოზიციად არ მივიჩნევ, რადგან მათ დააქციეს ქვეყანა. ადამიანი რაც არ უნდა ათეისტი იყოს, არსებობს რაღაც ეპიზოდები სახარებიდან, რაც ყველამ ზეპირად იცის. ეპიზოდი, თუნდაც იოანეს სახარებიდან, როდესაც ქრისტესთან მოჰყავთ ცოდვილი ქალი და ეუბნებიან, ეს ქალი ცოდვილია, მოსეს სჯულით ის უნდა ჩაიქოლოს და როგორ მოვიქცეთო. უფალს თავი არც აუწევია, ისე თქვა, პირველი ქვა იმან ესროლოს, ვინც თქვენს შორის ყველაზე უცოდველიაო. როცა თავს აწევს, მის გარშემო იმ ქალის გარდა, არავინ აღარ არის. ეს ეპიზოდი ყველამ იცის. აქ მთავარი აზრი ის არის, თუ ვის აქვს უფლება სხვა განიკითხოს. „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს უფლება, სხვას ჭკუა ასწავლოს, რადგან მათ ჩააბარეს რუსეთს ყველაფერი. მათგან კრიტიკა ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ქართველმა ხალხმა მათ უთხრა თავისი სათქმელი პირველ ოქტომბერს. სააკაშვილი, როგორც წესი, ძალიან იშვიათად ლაპარაკობს სიმართლეს. მან ერთხელ თქვა სიმართლე: პირველ ოქტომბერს ნოკდაუნი მივიღეთო. ახლა, 27 ოქტომბერს, ისინი ნოკაუტს მიიღებენ. შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე კი „ნაციონალურ მოძრაობას“ „დიდი სპორტიდან“ მოვუწყობთ გაცილებას. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ორ ეტაპად გიპასუხებთ: არის ერთი კარგი კახური გამოთქმა, – ვირი გინდ ღობეს აქეთ დააბი, გინდ – ღობის იქით, ვირი მაინც ვირია. „ნაციონალურ მოძრაობას“ გინდ ფრანგული ასწავლე, გინდ – ინგლისური, ის მაინც ისეთივე ანტისახელმწიფოებრივი აზროვნებისა დარჩა, როგორიც სახელმწიფო მმართველობაში ყოფნის დროს იყო. მან, სხვა რომ არაფერი ვთქვა, ისიც კი არ იცის, რომ ქვეყანას ახლა მთავრობა მართავს და არა ერთი ადამიანი. რუსეთის საკითხები საგარეო საქმეთა სამინისტროს ეხება. მე მეხება საშინაო საკითხები – აფხაზები და ოსები. ამიტომ ჩემს განცხადებებში მე რუსებს არ ვახსენებ. ეს საკითხი სხვა სტრუქტურებს ეხება. ამის გამო შეიქმნა სპეციალური ინსტიტუტიც კი – პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში. ამ თემაზე მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი განყოფილებები – არის კონტრდაზვერვა, დაზვერვა... იმ პრიმიტივებმა ისიც კი არ იციან, რომ მთავრობა სხვადასხვა დარგებზე გადანაწილებული სტრუქტურებია. ეს იგივეა, სერგეენკოს უთხრან, შენ რომ წითელაზე ლაპარაკობ, ჯერ რუსეთის ოკუპაციაზე უნდა ილაპარაკოო. მათ საერთოდ ჩაგდებული ჰქონდათ საქმე აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის, ახლა კი გამწარებულები არიან, რომ ჩვენ ამ საქმეს ნელ-ნელა მაღლა ვწევთ და მე კარგად ვიცი, რა უნდა ვთქვა. ახლა მეორე მიმართულება: ფსიქოლოგიაში არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტი – როგორ უყვარდება მსხვერპლს მოძალადე. ხშირად ხდება, რომ ცოლს, რომელსაც ქმარი ყოველდღე სცემს, ეს ქმარი უყვარდება. პრაქტიკულად, „ნაციონალური მოძრაობა“ შეყვარებულია რუსეთზე იმ ძალადობის გამო, რაც მან განახორციელა მათი უგუნური, ვოლუნტარისტული და ავანტიურისტული პოლიტიკის გამო. როგორც გველი მონუსხავს მსხვერპლს, ისე არიან მონუსხულები პუტინისგან და მედვედევისგან. როგორც კი ეს ორი ადამიანი ხმას ამოიღებს, მთელი „ნაციონალური მოძრაობა“ შეშდება. ეს მათი პრობლემაა. მე მესმის მათი, რომ, როგორც კი მათზე მოძალადე რუსეთის ხმას გაიგებენ, განსაკუთრებული ემოციები უჩნდებათ. ჩვენ კი არ ვაფანატებთ რუსეთზე. ჩვენ არ გვჭირდება მასზე ლოცვა დილა-საღამოს. რუსეთით არ ვიღვიძებთ და არ ვიძინებთ, განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობისგან“. 27 ოქტომბერს კი ეს ყველაფერი დასრულდება და სააკაშვილიც ვეღარ შეგვიშლის ხელს. ამიტომ ყველა მათი ასეთი გამოხტომა არის ძალიან სასაცილო. ჩვენ მას არ ვუსმენთ და თუ ვუსმენთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ რეაქციებზე შევამოწმოთ, რამდენად სწორად ვმოქმედებთ. რაშიც მაკრიტიკებს „ნაციონალური მოძრაობა“, სწორედ იქით მივდივარ. მათმა განცხადებამ გააძლიერა ჩემი განცხადება, რადგან აფხაზებმა დაინახეს, ვინ არის მათი მტერი – არა საქართველო და ქართველი ხალხი, არამედ „ნაციონალური მოძრაობა“. კანდელაკის განცხადება ამის კიდევ ერთი დადასტურება იყო, ისევე როგორც მათი ისტერიული რეაქცია კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ცვლილებების მიმართ. ასე რომ, კარგია, რაც უფრო მეტ ისტერიკაში ჩავარდებიან, მით მეტად გაგვაძლიერებენ.

– მაგრამ თქვენი განცხადება, აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის შესახებ, დაემთხვა პრეზიდენტ მედვედევის პოზიციას – ხელს არავინ გიშლით, მიდით, ელაპარაკეთ პირდაპირო...

– დიალოგის ასეთი ფორმის შესახებ მე წინასაარჩევნო კამპანიაში მიწერია. ამაზე საუბარი ახლა არ დამიწყია. ამას მე სულ ვამბობდი. სააკაშვილის პოლიტიკასაც სწორედ ამიტომ ვაკრიტიკებდი. წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც იყო ჩვენი მისამართით კრიტიკა, – აფხაზებსა და ოსებს მხარეებად აღიარებენო. ეს ჩვენი პოლიტიკის ნაწილია. რაც შეეხება დროში დამთხვევას, როდესაც ყოველდღე ერთსა და იმავეს ლაპარაკობ, ერთხელაც იქნება და ვიღაცა რაღაცას გაარტყამს. ერთ ჩემს შორეულ ნათესავს სულ ესიზმრებოდა მკვდარი ნათესავები. ერთხელაც თვითონაც მოკვდა და შეიცხადეს, იმიტომ მოკვდა, ასეთ სიზმრებს რომ ნახულობდაო. ის კაცი 5 წელი ამაზე ლაპარაკობდა და ერთხელაც თვითონაც მოკვდა.

– ამ ცოტა ხნის წინ ცხინვალთან გასროლის შესახებ რას იტყვით? ამაზეც სკანდალი ატყდა, სიტუაცია იძაბებაო...

– არაფერი ასეთი არ ხდება. მადლობა ღმერთს, ყველაფერი ჩაწყნარდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ გამოიკვლია და მოუწოდა მხარეებს სიმშვიდისკენ. ვფიქრობ, შემთხვევითობას ჰქონდა ადგილი. არც ოსურ და არც ქართულ მხარეებს არ გაუმძაფრებიათ მდგომარეობა. ეს ბუნებრივია: სადაც არის კონფლიქტი და მოუგვარებელი გამყოფი ხაზები, იქ ყოველთვის ხდება ასეთი რამ – ჰაერში გასროლა. ყარაბახში რომ წახვ-

„ფსიქოლოგიაში არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტი – როგორ უყვარდება მსხვერპლს მოძალადე. ხშირად ხდება, რომ ცოლს, რომელსაც ქმარი ყოველდღე სცემს, ეს ქმარი უყვარდება. პრაქტიკულად, „ნაციონალური მოძრაობა“ შეყვარებულია რუსეთზე იმ ძალადობის გამო, რაც მან განახორციელა მათი უგუნური, ვოლუნტარისტული და ავანტიურისტული პოლიტიკის გამო. როგორც გველი მონუსხავს მსხვერპლს, ისე არიან მონუსხულები პუტინისგან და მედვედევისგან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინისტრი პაატა ზაქარეიშვილი?

„წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც იყო ჩვენი მისამართით კრიტიკა – აფხაზებსა და ოსებს მხარეებად აღიარებენო. ეს ჩვენი პოლიტიკის ნაწილია“

„ხშირად ხდება, რომ ცოლს, რომელსაც ქმარი ყოველდღე სცემს, ეს ქმარი უყვარდება. პრაქტიკულად, „ნაციონალური მოძრაობა“ შეყვარებულია რუსეთზე იმ ძალადობის გამო, რაც მან განახორციელა მათი უჭკუო, უგუნური და ანტიურისტული პოლიტიკის გამო“

„წინა არჩევნებზე კენჭს რომ ვიყრიდი, როგორც კი ივანიშვილმა წყალტუბოს რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დამასახელა, მეორე დღიდანვე დაიწყო ჭორები, რომ ივანიშვილი მოხსნის ზაქარეიშვილს და სხვას დანიშნავს. ისე ჩაიარა მთელმა წინასაარჩევნო კამპანიამ, ეს ჭორები არ ცხრებოდა. საბოლოოდ, ივანიშვილმა კი არ შეცვალა ზაქარეიშვილი, მას მინისტრის ადგილი შესთავაზა“

EXCLUSIVE

იდეთ, იქ ყოველდღე მოისმენთ ასეთ გასროლებს. უარესი ღმერთმა დაგვიფაროს.

– ე.ი. თვლით, რომ ეს შემთხვევითობაა? იქნებ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი.

– ჯერჯერობით ეს ინციდენტი, შემთხვევითობის გარდა, სხვა რამეზე ფიქრის საფუძველს არ იძლევა. არა მგონია, მომავალში ასეთი რამ მოხდეს, მაგრამ, მსგავსი რამ თუ მაინც განმეორდება, მერე შეიძლება ეს რაღაცას დააკავშირო. ცალკე განხილული ეს ინციდენტი სხვა საფუძველს არ იძლევა.

– პატრიარქის რუსეთში ვიზიტის შემდეგ თქვენ თითქოს სკეპტიკური პოზიცია გაქვთ დევნილების დაბრუნების თაობაზე. რა არის ამის მიზეზი?

– ვიღაცები დაინტერესებულები არიან, ჩემი განცხადება მუდმივად ისე წარმოაჩინონ, როგორც რეალურად არ არის და შექმნან გარკვეული დაძაბულობა. მე პუტინისგან არ მახსოვს რამე დადებითი. მართალია, მედვედევმა ხელი მოაწერა 6-პუნქტიან შეთანხმებას, მაგრამ ყველას კარგად გვესმის, რომ ამის უკან რეალურად პუტინი იდგა. ამიტომ მე ეჭვით ვუყურებ პუტინის მიერ რაღაც ვალდებულების შესრულებას. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. ამიტომ ჩვენ არ ვერევით საპატრიარქოს საქმეებში. მოვუწოდე კიდეც პოლიტიკოსებს, რომ ნუ გავიმეორებთ იმ შეცდომებს, რაც სააკაშვილმა გააკეთა, პერევიდან რომ გაიყვანა პატრიარქმა რუსეთის ჯარები, ხოლო სააკაშვილმა დაიბრალა, ეს ჩემი გაკეთებულიაო. ძალიან გაგვიხარდება, თუ პუტინი პატრიარქისთვის მიცემულ პირობას შეასრულებს. მინდა წარმატება ვუსურვო ამ შეთანხმებას.

– თუმცა ამ წარმატებაზე მაინც ეჭვობთ...

– ეჭვის უფლებაც არ მაქვს? მე ხომ არ ვამბობ, რომ ეს არ გამოვა? მე ვამბობ, ეჭვი მეპარება, რომ პუტინმა თავისი პირობა შეასრულოს. მით უმეტეს, ამ პირობის ტექსტი არსად ჩანს, არავის მოუსმენია. ასე რომ, ვნახოთ... ჩვენი მწარე გამოცდილება მაინც მაძლევს ეჭვის საფუძველს.

– იქნებ გვითხრათ, ახლა რა ეტაპზე ვართ კონფლიქტების დარეგულირების კუთხით? თქვით, რომ ნელა, მაგრამ მაინც მივიწევთ წინ...

– ველოდები, როდის მოაწერს ხელს სააკაშვილი ჩემი სამინისტროსთვის სახელის შეცვლას. ვიდრე სახელი არ შეიცვლება, წინ ვერ მივიწევთ, ვინაიდან აფხაზები და ოსები არ ელაპარაკებიან ჩემი სამინისტროს სახელის მატარებელ არც ერთ პიროვნებას.

– რკინიგზის თემაზე ხომ არ შეგიცვლიათ პოზიცია?

– ჩვენ ვამბობთ, რომ არ ვიქნებით მიზეზი რკინიგზის არგანახლების. სააკაშვილის მკვახე და გამომწვევი პოლიტიკა ყველა პროცესის პარალიზებას ახდენდა, იქაც, სადაც შეიძლებოდა რუსეთის მხარე ყოფილიყო ბრალში. მე თუ კარს არ გაგიღებთ, მე არ ვიცი თქვენ მე კარებს გამიღებთ თუ არა. თუ ორ მეზობელს შორის დაძაბულობაა, არც ერთი არ ენდობა ერთმანეთს და ორივეს კარი ჩაკეტილი აქვს, ვერც ერთი ვერ შევა მეორესთან. საკმარისია, ერთმა მაინც გააღოს ეს კარი, მეორე აღმოჩნდება ბრალში. ჩვენ გავაღეთ ეს კარი და ვთქვით, რომ ჩვენთვის რკინიგზის თემა არ არის დახურული. ჩვენ მზად ვართ, ამაზე ვისაუბროთ, თუ იქნება ეს ეკონომიკურად მომგებიანი დაინტერესებული მხარეებისთვის. ეს არის საქართველო და რუსეთი. რუსეთი არ გვეპასუხება. ეს საინტერესოა... ჩვენი კარი ღიაა, მისი დაკეტილია. ეს მთელმა მსოფლიომ ნახა. ჩვენში პრობლემა არ ყოფილა თურმე. დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ასე იქნებოდა, მე ეს ვიცოდი, მაგრამ სხვებსაც უნდა ენახათ. ომის დროს, როცა თვითმფრინავი ჩაიფრენს, დაიწყებენ მისი მიმართულებით სროლას. გამოვლინდება წერტილები, საიდანაც ესვრიან. მერე სხვა გამოიფრენს და უკვე ამ გამოვლენილ წერტილებს დაბომბავს. ჩვენ ეს გვჭირდებოდა, რათა გამოვლენილიყო ეს წერტილები. ყველამ უცებ გამოავლინა პოზიცია – ევროპამ, თურქეთმა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, აფხაზურმა მხარემ და რუსეთმა. ეს უკანასკნელი საერთოდ გაჩუმდა. ზოგჯერ სიჩუმე გაცილებით მეტია, ვიდრე პოზიციის ხმამაღლა გამოხატვა. ასე რომ, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ასეთ სვლებს – ერთი ანკესის გადაგდებით ხუთ თევზს იჭერ.

– ხშირად რჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენი სამინისტროს მხრიდან ორ კონფლიქტურ რეგიონზე საუბრის დროს აფხაზეთი უფრო მეტი დამოუკიდებლობის მქონე სუბიექტად წარმოჩინდება, ვიდრე ოსეთი. რატომ არის ასეთი სხვაობა?..

– სულაც არა. ორივე ერთნაირი სტატუსის მატარებელია. ორივე კონფლიქტის მხარეა. ორივე ოკუპირებული და აღიარებულია რუსეთის მხრიდან. ანუ ორივეს ერთნაირი კონფლიქტური სტატუსი აქვს. პოტენციალი, ბუნებრივია, სხვადასხვაა, შესაბამისად, რესურსიც სხვადასხვაა. აფხაზეთი წალკოტია და ძალიან ბევრი დაინტერესებული მხარის და ბიზნესის ინტერესშია, სამხრეთ ოსეთი არავის აინტერესებს, მიტოვებულია, მიგდებულია, ოსებიც კი გადიან იქიდან, როცა აფხაზები ხელით აჩერებენ ყველას – მოქალაქეობას არ აძლევენ, მინას არ ყიდიან, უძრავ ქონებას არ ყიდიან. კონფლიქტების მოგვარების კუთხით კი ისინი თანაბარ პირობებში არიან. ორივე საქართველოს ტერიტორიაა... ორივე ოკუპირებულია... ორივე აღიარებულია რუსეთის მხრიდან.

– ახლა, რაც შეეხება მოახლოებულ მთავარ პოლიტიკურ მოვლენას. თქვენი საპრეზიდენტო კანდიდატისთვის ერთ-ერთი სერიოზული კონკურენტია ნინო ბურჯანაძე. ამბობენ, რომ დიდი ინტენსივობით გადადის მის პარტიაში ხალხი „ოცნებიდან“...

– როცა ამის შესახებ ვისმენ, მერე ვიგებ სულ სხვა რამეს. ეს არაა ზუსტი ინფორმაცია...

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ფონზე 26 მაისის საქმის გამოძიების ფარგლებში ნინო ბურჯანაძის ბრალეულობის წარმოჩინების შესაძლებლობა პროცესებს სულ სხვა მიმართულებით დაალაგებს? ჩნდება ეჭვი, რომ ამ თემის ფარგლებში „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ოცნების“ ინტერესები ემთხვევა...

– რადგან მთავრობის წევრი ვარ, ნამდვილად არ მინდა სხვა კანდიდატებზე ვილაპარაკო. მე ვარ გუნდში, რომელსაც თავისი კანდიდატი ჰყავს მარგველაშვილის სახით და კორექტულები უნდა ვიყოთ წინასაარჩევნო კამპანიის დროს. არ მინდა, ჩემი ნათქვამი რომელიმე კანდიდატის წინააღმდეგ გამოთქმულ პოზიციად შეფასდეს. თუმცა, შემიძლია, გითხრათ, რომ არანაირი სპეციალური გამოძიება არ ტარდება ვიღაცის წინააღმდეგ. ყველაფერს თავისი დრო აქვს. თუ მეხსიერება არ მღალატობს, 26 მაისის გამოძიებას ქალბატონი ნინო ყოველთვის ითხოვდა.

– თუმცა, ბოლო ხანს წამოტივტივდა ვერსია, თითქოს ამერიკელი მონიტორების დასკვნით, ბურჯანაძის მხარდამჭერებმა თავად შექმნეს რკინის ბარიერები, რომ ხალხს იქიდან ვერ გამოეღწია.

– ეს საკითხი ძალიან დაწვრილებით შესწავლას მოითხოვს. გამიჭირდება ამ თემაზე კატეგორიულად საუბარი. მე რომ ექსპერტი ვიყო და ჩემი მოსაზრება რჩებოდეს ჩემთან, სულ სხვა იქნებოდა. დღეს მე არ შემიძლია თამამად ვისაუბრო იმაზე, რასაც ვფიქრობ, რადგან ჩემს სიტყვებს მთავრობას მიაწერენ, მთავრობის პოზიციად აღიქმება. ამიტომაც არის საკითხები, რაზე საუბრისგანაც თავი უნდა შევიკავო, მით უმეტეს, როცა გამოძიება მიდის ამ კონკრეტულ საქმეზე.

– საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფი მოსალოდნელ ძალთა გადანაწილებას სხვადასხვა სქემით ალაგებს. ერთ-ერთი ასეთი სქემის მიხედვით, მოსალოდნელია რესპუბლიკელების, ალასანიას გუნდისა და ბაქრაძის კოალიცია. რამდენად რეალურად წარმოგიდგენიათ ეს სქემა?

– ძალიან მაინტერესებს, საიდან მოდის ასეთი რაღაცები. წინა არჩევნებზე კენჭს რომ ვიყრიდი, როგორც კი ივანიშვილმა წყალტუბოს რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დამასახელა, მეორე დღიდანვე დაიწყო ჭორები, რომ ივანიშვილი მოხსნის ზაქარეიშვილს და სხვას დანიშნავს. ისე ჩაიარა მთელმა წინასაარჩევნო კამპანიამ, ეს ჭორები არ ცხრებოდა. საბოლოოდ, ივანიშვილმა კი არ შეცვალა ზაქარეიშვილი, მას მინისტრის ადგილი შესთავაზა.

– ახლაც არის ასეთი ჭორები თქვენი მინისტრის პოსტიდან გადადგომის შესახებ. ამ ლოგიკით ახლაც უნდა ველოდოთ თქვენს დაწინაურებას?

– არა, არ უნდა ველოდოთ არაფერს. ეს ზღაპარია.

– და მაინც, ეს სქემა რამდენად რეალურია?

– არც ეს არის მართალი. ძალიან ბევრი ჭორი დადის და თითქმის ვხვდები, საიდან მოდის ის.

– საიდან?

– პრიმიტიული, დაბოლმილი, ხელმოცარული ხალხისგან, რომელიც ხედავს რაღაც წარმატებას და უნდათ დისონანსი შეიტანონ ამ ყველაფერში.

– უსუფაშვილმაც თქვა, რომ „რესპუბლიკური პარტია“ ყველა მხრიდან იგერიებს დარტყმებს. გამოდის, რომ ის „დაბოლმილი და ხელმოცარული ხალხი“ „ნაციონალური მოძრაობის“ ფარგლებს ცდება...

– ეს, პირველ რიგში, „ნაციონალური მოძრაობაა“, მათ გარდა კი, ნაციონალისტები, თავისი იდეოლოგიით, ესენი არიან რელიგიური ფუნდამენტალისტები. ანუ ეს არის ხალხი, ვისაც სძულს ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები.

– ამ კონკრეტული სქემის ავტორი არის კახა კუკავა...

– კუკავა ნამდვილად არ არის ის ადამიანი, იმაზე ვიფიქრო, ნეტავი ის ამ ჩამოთვლილთაგან რომელ უჯრედში იმყოფება.

– ანუ, კატეგორიულად აცხადებთ, რომ „რესპუბლიკური პარტიის“, ალასანიასა და ბაქრაძის გაერთიანება სრული აბსურდია?

– აბსოლუტურად. ეს იგივეა – „რესპუბლიკური პარტია“, მარსი და მთვარე დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზასა...

– მაშინ, რას უნდა მივაწეროთ ინტენსიური „თავდასხმები“ „რესპუბლიკურ პარტიაზე“, რომელიც ხორციელდება არა მარტო ყბადაღებული „ნაციონალური მოძრაობისგან“, არამედ კოალიციის ფარგლებშიც...

– კოალიცია საკმაოდ მრავალფეროვანია...

– და ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ამ კოალიციაში „რესპუბლიკურ პარტიას“ პრივილეგირებული პოზიცია აქვს?

– მითხარით, რამდენი რესპუბლიკელია პრივილეგირებული? მე ვარ მინისტრი, უსუფაშვილი – სპიკერი... კიდევ რა?

– ვისთვის ხართ თქვენ საშიშროება?

– იმ ბოღმა ხალხისთვის, ვინც თავისას ვერ აღწევს. მას, ხედავს რა წარმატებულ ადამიანს, ამ წარმატებული ადამიანის მიმართ უჩნდება გაღიზიანება. ამის მშვენიერი მაგალითია კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. იქ მეფე გიორგი არ ამბობს, საკმარისია, ერთი ვიღაცა წინ წავიდეს, მას მაშინვე დავკორტნითო? ეს კლასიკური ფორმულაა. ეს ფორმულა ყველა ეპოქაში მოქმედებს. თავის დროზე ილია ჭავჭავაძეც იყო დევნილი. დედაჩემს სკოლაში არ ასწავლიდნენ ილია ჭავჭავაძეს. ასე რომ, ეს პროცესი არ არის რესპუბლიკელების წინააღმდეგ, ეს წარმატებულის წინააღმდეგ მიმართული აქციები და მოქმედებებია. არსებობს მშვენიერი არაბული გამოთქმა – ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზურაბ ხარატიშვილის უკან

ქეთი ხატიაშვილი

ვინ მართავს ზურაბ ხარატიშვილს? რატომ გადადგა არჩევნებამდე ორი თვით ადრე ცესკოს თავმჯდომარის პოსტიდან, რა ინტერესები აქვს მას და როგორია შეფასებები?

ვერსიები – ჭორები

ზურაბ ხარატიშვილი გადადგა იმიტომ, რომ სააკაშვილმა დააძალა; იმიტომ რომ მასზე ბიძინა ივანიშვილმა მოახდინა ზეწოლა; იმიტომ რომ ღარიბაშვილთან შეხვედრა იყო მძიმე და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მიიღო... ამ ჩამონათვალში არ არის მხოლოდ დავით უსუფაშვილი. როგორც ჩანს, ჭორების ამგორებლები (ასეთი პროფესიაც არსებობს) პარლამენტის თავმჯდომარეში მოძალადეს ვერ ხედავენ. თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ დავით უსუფაშვილი ითვლება ერთ-ერთ იმ მთავარ ფიგურად, ვინც ყოველთვის და მუდმივად ძალადობს ბიძინა ივანიშვილზე და მას მხოლოდ რესპუბლიკელებისთვის მისაღებ გადაწყვეტილებებს კარნახობს. თუმცა, ეს სულ სხვა ისტორიაა.

ზურაბ ხარატიშვილის შემთხვევაში:

სააკაშვილმა მას არჩევნების გაყალბება დაავალა, მან კი უარი უთხრა და თანამდებობა დატოვა;

ბიძინა ივანიშვილმა არჩევნებზე მასზე მუშაობა ურჩია;

ღარიბაშვილმა კი მას ძველი ცოდვები გაუხსენა და არჩევნების გაყალბებაზე კომპრომატები დაუდო...

ამ ჭორების არ ვიცი, მაგრამ ქართველები გამოირჩევიან მითოლოგიური აზროვნების თავისებურებებით და ფანტაზიაში განსაკუთრებული უნარები აქვთ...

და მერე რა, რომ ზურაბ ხარატიშვილმა როგორც ბიძინას, ისე მიხეილს მადლობა გადაუხადა საჯაროდ, თანაც რამდენჯერმე და იქვე დასძინა: არანაირი ზეწოლა არ ყოფილაო... ეს ის შემთხვევაა, როცა მისი ბევრს, უბრალოდ, არ სჯერა, ზოგიერთებს კი სურთ, რაც შეიძლება ბევრმა არ დაიჯეროს.

სხვა თემაა ფაქტი – ზურაბ ხარატიშვილი სწორედ ის პირველი ცესკოს თავმჯდომარეა, რომლის დროსაც მოხდა ხელისუფლების გადაცემა. ის ცესკოს თავმჯდომარედ წინა მოწვევის პარლამენტმა 2010 წელს დაამტკიცა. სწორედ მან ჩაატარა ჯერ ადგილობრივი არჩევნები, რომელიც იმავე 2010 წელს ჩატარდა და მოგვიანებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიც.

სხვათა შორის, ზურაბ ხარატიშვილს რესპუბლიკელებმა მხარი მერაბიშვილის ფაქტორის გამო არ დაუჭირეს. მათ მაშინ ხარატიშვილი შს მაშინდელი მინისტრის ვანო მერაბიშვილის კაცად მონათლეს და „დაბრაკეს“.

ვერსიები – პოლიტიკა

ზურაბ ხარატიშვილს ჩვენ არ ვიცნობთ, მას ახასიათებენ, როგორც პროფესიონალს. ანუ ის შორს იყო ინტრიგებიდან, პოლიტიკური ინტერესებიდან და რადგანაც სწორედ მასზე დაიდო თავის დროზე ფსონი, ეს იმასაც ნიშნავს, ალბათ, რომ ის დამოუკიდებელ თამაშს არ დაიწყებდა. როგორც დღემდე მიიჩნევენ, ამ თანამდებობაზე ის ვანო მერაბიშვილმა დაალობირა. ცესკო საკმაოდ საპასუხისმგებლო სტრუქტურა იყო და ლოგიკურია იფიქრო, რომ, თუ ლობირება ნაციონალებმა, კერძოდ კი მერაბიშვილმა გაუწია, ესე იგი ის და მთლიანად პოლიტიკური გუნდი დარწმუნებული იყო, რომ ხარატიშვილი დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშებს არ დაიწყებდა, არც ინტრიგებით გაირთობდა თავს და არც ბინძურ გარიგებებში შევიდოდა.

თუმცა, მეორე მხრივ, ცესკოს რეფორმირებაში საკმაოდ დიდი ფული ჩაიდო. დასავლეთმა ტრენინგებსა და სტრუქტურის რეფორმირებაზე დიდი თანხები დახარჯა. და ბუნებრივია, ხარატიშვილი პასუხისმგებელი, პირველ რიგში, სწორედ საკუთარ საქმიანობაზე იქნებოდა. ანუ აქ მერაბიშვილი ვერ იქნებოდა „ერთპიროვნული მმართველი“.

თუმცა, ვერსია, რომ ახალი ქართული პოლიტიკური ცენტრი მერაბიშვილის პროექტია, მაინც გაჩნდა. ზოგიერთების აზრით, ყოფილი პრემიერი ალტერნატიულ პოლიტიკურ საყრდენს იმზადებს. რატომ? იმიტომ რომ ჯერ კიდევ გაუგებარია ნაციონალებში ვითარება; იმიტომ რომ ჯერ კიდევ უცნობია, ვის დარჩება პარტია – ბაჩო ახალაიას თუ ვანო მერაბიშვილს. ციხიდან გამოსული ახალაია ქვეყანას დატოვებს თუ პოლიტიკაში დარჩება? ამ კითხვაზე ჯერ ოფიციალური პასუხი არ არსებობს. არც ბაჩოს მომავალი გეგმებია ჯერ ცნობილი და არც მიხეილ სააკაშვილის.

ასე რომ, თუკი ნაციონალებს გაყოფა მაინც მოუნევთ, ზურაბ ხარატიშვილის მიერ ინიცირებული პოლიტიკური ცენტრი შევსებისთვის მზად იქნება. რა თქმა უნდა, ინიციატივის გამოჩენა არ ნიშნავს ამბიციას ლიდერობაზე. ხარატიშვილი არ ჩანს პრეტენზიული. ვარაუდობენ, რომ ცენტრი მას თავისთვის არც სჭირდება. არამედ, ეს არის დასაწყისი ახალი პოლიტიკური თამაშის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პროდასავლური ძალები. ანუ, როგორც ხარატიშვილმა დაახასიათა, ისინი, ვინც არ არიან რადიკალები და მარგინალები.

– ყველა იმ ძალასთან, ვინც არ არის პოლარიზებული, ვინც არ არის მარგინალური შეხედულებების მქონე, ალბათ, იქნება გარკვეული თანამშრომლობა, – განმარტა ხარატიშვილმა.

ცესკოს ახლა უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ ის პარტიებიც ჩამოთვალა, ვისთანაც კონსულტაციები დაიწყო. ესენი არიან: პაატა დავითაიას „ევროპელი დემოკრატები“; ბაჩუკი ქარდავას „ედპ“ და „ახალი მემარჯვენეები“.

პოლიტიკოსებმა ახალ ცენტრს წარმატებები არ უწინასწარმეტყველეს. არც ხარატიშვილია პოლიტიკური ფიგურა და გამოცდილი საარჩევნო მარათონში და არც ის პარტიები არიან გავლენიანები. შედეგების მიხედვით, 2012 წლის არჩევნებზე „ედპ“-მ 0.14% მიიღო, „ახალმა მემარჯვენეებმა“ – 0.43% „ევროპელმა დემოკრატებმა“ კი – 2.04%. ეს შედარებით მაღალი მაჩვენებელია, იმიტომ რომ ის „ქრისტიან-დემოკრატებთან“ იყო ბლოკში.

ამ პარტიებსაც არაერთხელ წამოაძახეს ნაციონალებთან, კერძოდ კი ვანო მერაბიშვილთან მჭიდრო ურთიერთობა. ამიტომაც ზოგიერთებს ღრმად სწამთ, რომ ხარატიშვილი მერაბიშვილის პროექტია. თუმცა, ზოგიერთებმა ამ პარტიებშიც დაინახეს მსხვერპლი. ისინი ხომ ნაცებმა „გადააგდეს“, – ამბობენ ისინი. ასე რომ, ამ მხრივ, ხარატიშვილსა და ამ პარტიას საერთო ნამდვილად აქვთ.

ანუ ისინი, ვისთვისაც მერაბიშვილი არც მისი შს მინისტრობის დროს წარმოადგენდა რამეს და მით უფრო ახლაც არაფერში ეწერება, ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ის, რაც მოხდა, უბრალო რეაქცია იყო. ანუ ხარატიშვილი ნაციონალებმა გადააგდეს და მან პოლიტიკაში „გაქცევით“ უშველა თავს.

ნაციონალები ხომ გადამგდებები არიან? ჰოდა, ხარატიშვილიც მიატოვეს. მან კი შესანიშნავად იცოდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ისედაც შეცვლიდნენ. მერე კი, რა უნდა ექნა? ჰოდა, პოლიტიკაში წავიდა.

რატომ ახლა და არა არჩევნების შემდეგ? თუნდაც იმიტომ რომ საპრეზიდენტო არჩევნები არჩევანი მხოლოდ მარგველაშვილისთვის ან ბაქრაძისთვის შეიძლება გახდეს, დანარჩენებისთვის ეს მაინც სტარტია ადგილობრივი არჩევნებისთვის. ხარატიშვილიც თავისი გადადგომით სასტარტო ნიშნულზე დადგა.

თუმცა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ხარატიშვილს სხვა „გასაქცევი“ არ ჰქონდა.

შეფასებები

ზურაბ ხარატიშვილი აიძულეს, პოლიტიკაში ზუსტად ახლა, არჩევნების წინ წასულიყო. ღარიბაშვილმა რომ დაიბარა და ივანიშვილმა რომ ურჩია, მიხვდა, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადაედგა და საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა საპრეზიდენტო მარათონზე. ამით ის ხმებს გაუყოფს ნაციონალებს. ასეთია ზოგიერთების გათვლა.

როგორ გაუყოფს? NDI-ს კვლევების მიხედვით, ზურაბ ხარატიშვილი რესპონდენტთა 7%-ს მოსწონს. 2012 წლის შემდეგ კი მისადმი დადებითი განწყობა 16%-ს ჰქონდა. გამოკითხულთა უმეტესობა მას არ იცნობს. გაიცნობს და ხმასაც მისცემს? ეს ჯერ მხოლოდ უპასუხო შეკითხვაა. ყველაფერი მის პოლიტიკურ გუნდსა და საარჩევნო კამპანიაზე იქნება დამოკიდებული.

თუმცა, შეფასებებს თუ შევხედავთ, ბიძინა ივანიშვილი ხარატიშვილის წასვლას ნაციონალების რაღაც თამაშს უწოდებს, რომელიც მათ ჩაიფიქრეს.

– წავიდა და წავიდეს, – განმარტა ბიძინა ივანიშვილმა. მაგათი (პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი პარტიის) გუნდის წევრია და რაღაც ინტრიგა ააგორეს კიდევ. ვერაფერს ვეღარ იზამენ. არაფერი აღარ მოხდება. ხარატიშვილიც წავიდეს და სხვებიც გაჰყვნენ, ვისაც სურვილი აქვს. ცუდ დროს წავიდა, არასწორ დროს წავიდა და გასაგებია ყველასთვის, რომ პოლიტიკურად კიდევ პატარა ინტრიგა ჩააგდეს.

მაშ ასე, ინტრიგა ჩაგდებულია.

თეა წულუკიანმა ხარატიშვილის გადაწყვეტილებას დასანანი და გაუგებარი უწოდა.

– თუკი ამგვარი მნიშვნელოვანი პოზიციის ადამიანი უნდა გადადგეს, ის უნდა გადადგეს ან მანამდე, როდესაც მიმდინარეობდა, მაგალითად, წინა არჩევნები აბსოლუტურად არათავისუფალ გარემოში; ამ წუთში მისი გადადგომა არის აბსოლუტურად გაუგებარი და მე ვფიქრობ, რომ მან არასწორად შეარჩია მომენტი, თუკი მისთვის მთავარი იყო საქმის ინტერესი, იმიტომ რომ ახლა არ იყო ამის დრო. მე გამოვრიცხავ იმას, რომ მასზე იყო რაიმე ზეწოლა. პირიქით, ჩვენთვის ცნობილია, რომ, ბოლოს და ბოლოს, მან შეძლო, როგორც ცესკოს ხელმძღვანელმა, ყველა პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობა და კონსტრუქციული დიალოგი. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი და უადგილოა, დროის მხრივ, მისი ამგვარი გადაწყვეტილება...

დავით უსუფაშვილის განმარტებით:

– ეს გადაწყვეტილება, ცოტა არ იყოს, გაუგებარია იმიტომ, რომ, თუ მას მოსწყინდა ეს სამსახური და რამე სხვაზე ფიქრობს, ალბათ, აქამდე უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, ან არჩევნები ჩაეტარებინა და შემდგომ გადამდგარიყო.

თინა ხიდაშელმა კი ხარატიშვილის გადაწყვეტილებას „უპასუხისმგებლო“ უწოდა.

– მას ძალიან სერიოზული არგუმენტები უნდა ჰქონდეს, რატომ იღებს ამ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას. იმედი მაქვს, რომ მას აქვს რაღაც ძალიან სერიოზული მიზეზი ამისთვის. მინდა დავარწმუნო მთელი საზოგადოება, რომ არავითარი პრობლემა არ იქნება, არჩევნები ჩატარდება მშვიდად, კონკურენტულ გარემოში და სამაგალითოდ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვანო მერაბიშვილი დგას?

ლევან ალაფიშვილი: „არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე კულუარული კონფლიქტის გამოძახილი... ძველი თაობა, როგორც ვიცით, არ არის თანახმა, რომ ახალ თაობას მისცეს სრული თავისუფლება“

ნაციონალებიც თავის შეფასებებში გაკვირვებას გამოხატავენ.

გოკა გაბაშვილი ყურადღებას დროზე ამახვილებს:

– პირადად ჩემთვის ეს გადაწყვეტილება გაუგებარია, იმიტომ რომ არჩევნებამდე დარჩა რამდენიმე თვე და ვფიქრობ, ეს არ არის საუკეთესო დრო... დაველოდოთ მის მოტივაციას. ჩვენი მხრიდან ყველანაირ ზეწოლას აბსოლუტურად გამოვრიცხავ. თუ იყო ხელისუფლების მხრიდან რაიმე სახის ზეწოლა, ამის შესახებაც უნდა გავიგოთ.

დავით ბაქრაძემ ყურადღება ხარატიშვილის პროფესიონალიზმზე გამახვილა და ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებას სამწუხარო უწოდა. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე დადებითად დაახასიათა: შარშან მან დემოკრატიული არჩევნების ჩატარება მოახერხა, რის შედეგადაც ქვეყანაში პირველად ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა მოხდა...

ნაციონალების ახალმა ენერგიულმა სახემ გიორგი ვაშაძემ საინტერესო მინიშნებები გააკეთა:

– შუა საარჩევნო ფაზაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადადგომა ცალსახად ნეგატიურად იმოქმედებს საარჩევნო პროცესის საორგანიზაციო საკითხებზე. ალბათ, იყო რიგი მიზეზები, რის გამოც ამ ადამიანმა ვერ შეძლო ფუნქციონირების გაგრძელება არჩევნების დროს – რატომ ვერ შეძლო, ეს აღარ დაუკონკრეტებია.

განცხადებებს თუ გადავავლებთ თვალს, ცხადი გახდება, რომ „ქართული ოცნება“ ხარატიშვილის წასვლაში ნაციონალების ხრიკებს ხედავს, ნაციონალები კი მინიშნებებს იმ დისკომფორტზე აკეთებენ, რაც ხარატიშვილს ზეწოლის სახით შეიძლება ჰქონოდა.

ინფორმაციისთვის:

ზურაბ ხარატიშვილი 2010 წელს აირჩიეს ცესკოს თავმჯდომარედ 5 წლის ვადით. 2008 წლის თებერვლიდან იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი, ცესკოში იმ ჯგუფში მუშაობდა, რომელმაც 2008 წლის არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსები დაამონიტორინგა. ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატად არასამთავრობო ორგანიზაცია „ალპემ“ დაასახელა. კენჭისყრების დროს კონკურენციას ორი კანდიდატი უწევდა – ლევან თარხნიშვილი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ოთარ სიჭინავა.

პასუხისმგებლობა

კიდევ ერთი ვერსია, ცესკოს თავმჯდომარის არჩევნებში ოპოზიცია არასოდეს მონაწილეობდა. ხარატიშვილის არჩევნებში მონაწილეობა ქრისტიან-დემოკრატებმა არ მიიღეს. არასაპარლამენტო ოპოზიციამ კი ამ გადაწყვეტილებას ბოიკოტი გამოუცხადა. რესპუბლიკელებს ახლა უკვირთ ხარატიშვილის გადაწყვეტილება, თუმცა თავის დროზე სწორედ მათ უწოდეს ხარატიშვილს ვანო მერაბიშვილის პროექტი და იმ პარტიებს შორის იყვნენ, ვინც გაყალბებაზე საუბრობდა.

თუმცა, ახლა, როცა ხელისუფლებაში მოხვდნენ, არც კანონმდებლობა შეცვალეს და არც სიების გადახედვა მოითხოვეს, ცესკოს თავმჯდომარესაც გაუგრძელეს ვადა. როგორც ჩანს, მომგებიანი და კომფორტული იყო, თუკი, მაგალითად, არჩევნებში წაგებული ნინო ბურჯანაძე ისევ ნაციონალების კრიტიკას მოჰყვებოდა – ისინი აკონტროლებდნენ ცესკოს და შედეგებიც გასაგებია, როგორი დაიდო, ბაქრაძე გაიყვანეს მეორე ადგილზეო. აჯანყებისთვისაც, რაც მისმა მომხრეებმა უკვე დააანონსეს, მზად იყო საბაბი...

ასე რომ, ახლა გადაწყვეტილების მიღება „ქართულ ოცნებას“ მიუწევს და პასუხისმგებლობასაც თვითონ აიღებს.

მოკლედ, ხარატიშვილის გადაწყვეტილების უკან ზოგიერთები ვანო მერაბიშვილის პოლიტიკურ ინტერესებს ხედავენ; სხვები – „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გეგმას, გაუყოს ხმები ბაქრაძეს; ზოგიც ხარატიშვილის წასვლას პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირებს – ვინც ხელისუფლებაშია, პასუხიც იმან უნდა აგოსო...

ექსპერტ ლევან ალაფიშვილის მოსაზრებით კი, ხარატიშვილი „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე კონფლიქტის შედეგია.

– ვერსია ძალიან ბევრი შეიძლება იყოს ხარატიშვილთან მიმართებაში. რეალურად ყველაზე დიდი გამოცდილება, რაც ხარატიშვილმა დააგროვა, ეს არჩევნებია. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება და მისი კაპიტალდაბანდებაა, მით უმეტეს საკუთარი მიზნებისთვის მათი გამოყენება მომგებიანი და კარგად გაყიდვადია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყველაზე წარმატებული ბიზნესი პოლიტიკაა, არასამთავრობო სექტორში ან თუნდაც ბიზნესში გადანაცვლებას მან ისევ პოლიტიკაში წასვლა ამჯობინა. ის, რომ მის უკან ვინმე კონკრეტული მოიაზრებოდეს, ჯერჯერობით არ ჩანს. როგორც მინიმუმ, მისი მიზანი იქნება პოლიტიკურ სფეროში დამკვიდრება ოთხწლიანი პერსპექტივით. გრძელვადიან პერსპექტივაში კი არ ვფიქრობ, რომ რაიმე სერიოზული გეგმები ჰქონდეს. ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე კულუარული ინფორმაციის გამოძახილი, ვგულისხმობ ძველ და ახალ თაობას შორის მიმდინარე დაწმენდის პროცესს. ნაციონალების ეგრეთწოდებული ძველი თაობა, როგორც ვიცით, არ არის თანახმა, რომ ახალ თაობას მისცეს სრული თავისუფლება და არ გამოვრიცხავ, ამ კონფლიქტის შესახებ ინფორმირებული ყოფილიყო ხარატიშვილი. შესაბამისად, არ გამოვრიცხავ, რომ ახალგაზრდული ფრთა ან მისი ნაწილი სწორედ ხარატიშვილის ირგვლივ ვიხილოთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პატიმარ კობა აფხაიძის გარდა

მარიამ ნადირაძე

სუბარი შეცდომას შეცდომაზე უშვებს

არსებობს ორი აქტუალური თემა – ქაოსი პენიტენციარულ სისტემაში და რაღა თქმა უნდა, პატიმარ კობა აფხაიძის ბურუსით მოცული გარდაცვალება.

ამიტომაც ქვემოთ შემოთავაზებული სტატიაც, შეიძლება ითქვას, ორი განყოფილებისგან შედგება.

თავი მოიკლა, თუ მოკლეს?

39 წლის კობა აფხაიძე ადიგენში სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო 13 მარტს დაიჭირეს. დედას კი შეატყობინეს, რომ ის უკვე ქუთაისის #2 დაწესებულებაში იყო გადაყვანილი. კობა საზღვარგარეთ სამსახურის საძებრად მიდიოდა.

ბუნებრივია, რომ ეს დიდი ელდა იყო ოჯახისთვის, მაგრამ ისიც სხვა პატიმრების მშობლების მსგავსად ჩადგა „პერედაჩების“ რიგში.

მას შემდეგ, რაც პროკურატურამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ გეგუთის დაწესებულებაში გარდაცვლილი ლევან კორტავას საქმე გახსნილია და დამნაშავე პირებიც „გამოავლინა“, როგორც ჩანს, ეს ერთგვარი სტიმული გახდა აფხაიძის დედისთვისაც და მან საზოგადოებას აუწყა, რომ მისი ვაჟი ციხეში მოკლეს.

თუმცა ეს ვერსია გამოძიების მიერ ჯერ არ არის დადგენილი. ოფიციალურად ირკვევა, რომ პატიმარი ზეწრით ჩამომხრჩვალი საკანში 1-ელ მაისს აღმოაჩინეს. აფხაიძის დედა არ ენდობა ამ ვერსიას და აცხადებს, რომ მისი ვაჟი 30 აპრილს მოკლეს: „3 მაისს უნდა ყოფილიყო სასამართლო სხდომა. ციხეში 30 აპრილს მივედი. შეიქმნა ნივილ-კივილი შიგნით, რომ პატიმარი შენუხდაო. მე ვკითხე, ჩემს შვილზე ხომ არ არის რამე-მეთქი. მე მგონია, რომ მე რომ ვიყავი, მაშინ იყო ჩემი შვილი გარდაცვლილი... მოგუდულიაო, ყველამ ასე თქვა. უარესი ხდება, რაც ხდებოდა აქამდე ციხეში. ყოველდღე თურმე ხან პატიმრები კვდებიან ზეწოლით. ჩემი ბიჭი რომ მომისვენეს პირველში, 4-ში ნარკოტიკით მოკვდა 36 წლის ბიჭი. საიდან შედის? გარედან ის ვერ შევა და ალბათ, ციხის თანამშრომლებშია. აბა, საიდან გაჩნდებოდა?“ – აცხადებს მანანა აფხაიძე.

არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, სადაც წერია, რომ მსჯავრდადებულის დაღუპვის მიზეზი მექანიკური ასფიქსია გახდა, რომელიც განვითარებულია კისრის ორგანოზე მარყუჟის ზეწოლის შედეგად. გარდა ამისა, გვამს აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები მრავლობითი სისხლჩაქცევების სახით, განვითარებული სიკვდილისწინა პერიოდში ბლაგვი საგნის გამოყენებით. თუმცა ექსპერტი იქვე მიუთითებს, რომ ეს არ გამხდარა სიკვდილის მიზეზი.

ირაკლი კერესელიძე

მანანა აფხაიძე ამბობს, რომ მისი შვილი სასტიკი წამებით არის მოკლული.

იგივე ეჭვს იზიარებს გარდაცვლილი პატიმრის დეიდაც, ლამარა ნანიკაშვილი:

„დღეს ციხეებში უარესი ხდება, ვიდრე ადრე. ყელგამოჭრილი მოგვიყვანეს სახლში, თავის ჩამოხრჩობის არანაირი კვალი არ ეტყობოდა. მე ვფიქრობ, რომ გაგუდულია და გულის უკანა მხარეს, ზურგზე სილურჯე ჰქონდა“, – განმარტავს ის.

ლამარა ნანიკაშვილი მისი დისშვილის ვალების გამო თვითმკვლელობას გამორიცხავს. მას ეჭვი აქვს, რომ კობაზე ზეწოლა პატიმრებმა და ციხის თანამშრომლებმა განახორციელეს.

ეს, რაც გიამბეთ, გარკვეულწილად უკვე ცნობილია ინფორმირებული საზოგადოებისთვის, თუმცა „პრაიმტაიმს“ მომხდართან დაკავშირებით სკანდალურ ინფორმაციას აწვდის რესპონდენტი, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ.

ირაკლი კერესელიძე, უფლებადამცველი:

– წყაროს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ აფხაიძესთან დაკავშირებით არსებობს ასეთი ინფორმაცია: მას სისტემაში მიუგზავნეს კონკრეტული „მაყურებლები“, რომლებმაც მასზე გარკვეული ზეწოლა მოახდინეს.. იქ ერთმა შეაგინა...

– რატომ მიუგზავნეს?

– ასე ვთქვათ, გარკვეულ დისკომფორტს ქმნიდა ზონაში. რაღაცებს წერდა, ანუ, მათი ენით რომ ვთქვათ, „საერთო პალაჟენიეს აფუჭებდა“.

– საჩივრებს წერდა ადმინისტრაციაზე?

– დიახ. მათივე ტერმინოლოგიით რომ გითხრათ, კლიაოზნიკობდა. ამის გამო, მე როგორც ვიცი, მას ადმინისტრაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ხელიც კი დაარტყა. მერე კი ეს ყველაფერი აქამდე მივიდა.

– რომ თავი მოიკლა?

– მოიკლა, თუ მიეხმარნენ, ეს კაცმა არ იცის. ერთი ასეთი უცნაურობაც აქვს ამ საქმეს: ეს ადამიანი იმ ადგილას არ უნდა ყოფილიყო, სადაც ის ჩამომხრჩვალი ნახეს. ის ცხოვრობდა აბსოლუტურად სხვა ადამიანებთან ერთად სხვა საკანში.

– როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ მინისტრი მისი გარდაცვალების მიზეზად ასახელებს ციროზს, როცა არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მისი გარდაცვალება გამოიწვია ყელის არეში მარყუჟის წაჭერით მიღებულმა მექანიკურმა დაზიანებამ?

– რა უნდა ვთქვა იმაზე, როცა მინისტრი ასფიქსიასა და ციროზს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს? სხვათა შორის, არასამთავრობოების ერთმა ნაწილმა სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელებს სთხოვეს, აეხსნათ, რატომ მოხდა ეს ყველაფერი აფხაიძესთან დაკავშირებით. პასუხად კი მოსწერეს, რომ, სანამ ძიება მიმდინარეობს, ისინი ვერაფერს განმარტავენ და მათი ოფიციალური პოზიცია არის სამინისტროს საიტზე. ანუ, იმ ადამიანებმაც კი, ვინც თავის დროზე არასამთავრობო სექტორს ფართოდ გაუღეს კარი სისტემაში, ეს ხალხი გადაამისამართეს საიტზე. როგორც კი ასეთი მიდგომა იწყება, ბუნებრივია, მაშინვე ჩნდება რაღაც კითხვები, მით უმეტეს, როდესაც აფხაიძე არ არის პირველი პატიმარი, რომელიც საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა და უკვე ყველასთვის ცნობილია, რა მოხდა პატიმარ ლევან კორტავას საქმეზე. მის შემთხვევაშიც ცდილობდა სამინისტრო სიმართლის დამალვას.

– თითქოს ისიც გაუღერდა, რომ მინისტრს, უბრალოდ, შეეშალა აფხაიძე სხვა პატიმარში, სვანიძეში, რომელიც მის გარდაცვალებამდე 4 დღით ადრე გარდაიცვალა და მისი დიაგნოზი ნამდვილად იყო ციროზი...

– ასეთი რამ მინისტრს არ უნდა ეშლებოდეს. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია, რომ კორტავაც, აფხაიძეც, სვანიძეც მხოლოდ სისტემის სიმპტომებია. ეს სიმპტომები კი მიუთითებს „ავადმყოფობაზე“.

ციხის ავადმყოფობა

ვაგრძელებთ ინტერვიუს ირაკლი კერესელიძესთან:

– ამ ავადმყოფობას ჰქვია ქაოსი სისტემაში. მართალია, არ არის ორგანიზებული წამებები, მაგრამ სისტემას დაკარგული აქვს ორგანიზაციული ერთეულის ყველანაირი ფორმა. ვერც კი მიხვდება ადამიანი, საერთოდ კანონი თუ არსებობს ამ სფეროში. სიტუაციას მართავენ „მაყურებლები“. ზოგჯერ არის ნახევრად კომიკური თუ არა ტრაგიკული სიტუაცია, როცა ერთ ზონაში სამი სხვადასხვა „მაყურებელია“ და ერთმანეთში მიდის დაპირისპირება, რადგან ვიღაც ძველია, ვიღაც – ახალი, ვიღაც კი – პრეტენზიული და ა.შ. ადმინისტრაცია კი იყენებს მინიმალური ჩარევის პრინციპს. აფხაიძისა და კორტავას შემთხვევები, სამწუხაროდ, გამონაკლისი არ იქნება ამ სისტემაში.

– რატომ?

– მე არ ვამტკიცებ, რომ ადმინისტრაცია ვიღაცას ჩამოახრჩობს, ან მოკლავს, თუმცა ამასაც არ გამოვრიცხავ, რადგან იქ არაკანონიერი და არალეგიტიმური ინტერესები იკვეთება პატიმარსა და ადმინისტრაციას შორის. ადმინისტრაციამაც რომ არ მოახდინოს ეს ძალადობა, მარტო ის ფაქტი, რომ ყველა ზონაში ქაოსია და ეს ქაოსი იმართება ე.წ. „მაყურებლების“ მიერ, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ხვალ და ზეგ ეს ინტერესები უფრო გაძლიერდება. იქ, სადაც არის ფულის ინტერესი, სადაც არის წამლის ინტერესი, სადაც არის უკანონო აქტივობის ინტერესი იგივე თამაშებისა და ე.წ. საერთოსი, ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფრის ხელისშემშლელებად ჩაითვლებიან, აუცილებლად განადგურდებიან.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ პენიტენციარული სისტემა თავზე გვენგრევა – პატიმარი შიმშილობს, პატიმარი პირს იკერავს, კვდება, ბოლოს და ბოლოს, და ეს ყველაფერი უკვე სისტემატურ სახეს იძენს...

– მოდი, დავფიქრდეთ ერთ რამეზე: პატიმრები ძირითადად პროტესტს გამოთქვამენ „უდო“-ს (პირობით ვადამდე განთავისუფლება. – მ.ნ.) პრობლემაზე. ამის დარეგულირება მატერიალურ რესურსს არ ითხოვს. საჭიროა დადგინდეს მხოლოდ ნათელი, მკვეთრი და გამჭვირვალე პრინციპები, რომ არავის გაუჩნდეს უსამართლოდ დაჩაგრულის განცდა. ეს განცდა კი ნამდვილად არის, რადგან ვიღაცა, ვისაც სხვასთან შედარებით ჰქონდა ბევრად მძიმე სასჯელი, ჰქონდა ბევრად არაადეკვატური ქცევა, ძალიან მალე გავიდა გარეთ. ის კი, რომელსაც არც მძიმე სასჯელი აქვს და ნორმალურადაც იქცევა, ვერ გადის გარეთ. იცით, რატომ ხდება ეს? იმიტომ,

„ჩემთვის საერთოდ წარმოუდგენელია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს აქვს ფორმალური ორგანიზაცია, რომელსაც გენერალური ინსპექცია ჰქვია და მისი ხელმძღვანელი მინისტრის ბიძაშვილია...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცვალების სკანდალური ვერსია!

„ციხე ისეთი ფსიქოლოგიური მუხტის მატარებელი ადგილია, რომ ბუნტის წამოწყება ნებისმიერ დროს შეიძლება, ყველაზე სულელური მიზეზითაც კი“

„აფხაიძესთან დაკავშირებით არსებობს ასეთი ინფორმაცია: მას სისტემაში მიუგზავნეს კონკრეტული „მაყურებლები“, რომლებმაც მასზე გარკვეული ზეწოლა მოახდინეს.. იქ ერთმა შეაგინა...“

კობა აფხაიძე

EXCLUSIVE

„ეს ადამიანი იმ ადგილას არ უნდა ყოფილიყო, სადაც ის ჩამომხრჩვალი ნახეს. ის ცხოვრობდა აბსოლუტურად სხვა ადამიანებთან ერთად სხვა საკანში“

– ის ისტერია, რაც დღეს პენიტენციარული სისტემის მისამართით და თავად სისტემაში არსებობს, ექსპერტების მხრიდან სხვადასხვანაირად აიხსნება. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეს არის რეალური სურათი. მეორენი ამ ყველაფერს უწყებებს შორის დაპირისპირებას აბრალებენ. არსებობს მოსაზრება, რომ, როცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ე.წ. „მაყურებლებს“ შეუთანხმდა აბობოქრებული პატიმრების მოთოკვაზე, ეს პროცესები სპეცსამსახურებმა სათავისოდ გამოიყენეს და პირიქით, დარტყმა მიაყენეს სუბარის უწყებას იმით, რომ ახალი შეტევა განახორციელეს ე.ნ. ქურდულ სამყაროზე. ამ მოსაზრების გამზიარებლები ფიქრობენ, რომ ამ ხერხით სხვა უწყება გეგმავს ციხეებზე კონტროლის მოპოვებას.... არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომ ვიღაცას სუბარის მინისტრობა არ აწყობს და ეს ქაოსი გარედან არის ორგანიზებული. თქვენ რომელ პოზიციას იზიარებთ?

– მე იმ ადამიანების რიცხვს განვეკუთვნები, რომლებიც წუხან, რომ სუბარი შეცდომას შეცდომაზე უშვებს. ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს ამ სისტემასთან და ჩემთვის საერთოდ წარმოუდგენელია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს აქვს ფორმალური ორგანიზაცია, რომელსაც გენერალური ინსპექცია ჰქვია და მისი ხელმძღვანელი მინისტრის ბიძაშვილია...

– თუმცა ამ ხელისუფლებაში, ამ მხრივ, სოზარ სუბარი გამონაკლისი არ არის...

– მერე ეს კარგია? რაც შეეხება ვერსიას იმის შესახებ, რომ ვიღაც სასჯელაღსრულების მინისტრის წინააღმდეგ წყალს ამღვრევს. მე ვფიქრობ, სუბარის მთავარი მოწინააღმდეგე არის თვითონ სუბარი.

– უკვე დიდი ხანია, პერიოდულად გვაუწყებენ, რომ ციხეებში მზადდება ბუნტი. არ ფიქრობთ, რომ ეს შეიძლება მართული პროცესი იყოს?

– ციხე ისეთი ფსიქოლოგიური მუხტის მატარებელი ადგილია, რომ ბუნტის წამოწყება ნებისმიერ დროს შეიძლება, ყველაზე სულელური მიზეზითაც კი, რადგან იქ ადამიანებს, როგორი ჰუმანური რეჟიმიც არ უნდა იყოს, მუდმივად აქვთ არასრულყოფილების განცდა. ახლა რასაც ვიტყვი, ამაზე მთელ პასუხისმგებლობას ვიღებ: მინისტრმა ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც 2 თვის დანიშნული იყო და დღის წესრიგში რუსთავის დაწესებულების ხელმძღვანელის, აბურჯანიას მოხსნის საკითხი დადგა. მაშინ სუბარმა დაუშვა ფატალური შეცდომა, რადგან გამოვრიცხავ, რომ ვინმეს სისტემაში ეს მინისტრის გარეშე გაეკეთებინა. საუბარია იმაზე, რომ მეშვიდე დაწესებულებიდან დაახლოებით რვა თუ ცხრა კანონიერი ქურდი რამდენიმე საათით გადაიყვანეს სხვადასხვა ზონებში. შეახვედრეს ადგილობრივ „მაყურებლებს“ და ე.წ. კაი ბიჭებს, „ხარაშნიაკებს“ და ქურდებს „დაალაგებინეს“ სისტემა. ამის ბევრი მტკიცებულება არსებობს და არავინ მითხრას, რომ ეს არ მომხდარა. კონკრეტული ბადრაგები ვიცი, ვისაც ეს ქურდები გადაჰყავდათ და კონკრეტული დრო ვიცი, რომელ საათზე, რომელ დაწესებულებებში შედიოდა ეს „ვარონკები“.

– ამბობენ, რომ სისტემის „დალაგებაში“ იგულისხმებოდა პატიმრებისთვის მოწოდება, რომ არ მიეღოთ ფსიქოტროპული საშუალებები და არ ეჩხუბათ ერთმანეთში. ასე არ იყო?

– ვთქვათ, ეს ყველაფერი კეთილი მიზნებით გაკეთდა. ასეც რომ იყოს, როგორც კი შენ სამართლებრივ ველზე შემოგყავს კრიმინალური მენტალობა და ამ მენტალობით იწყებ სამართლებრივი მიზნების მიღწევას, იქ დამთავრებულია სისტემა.

– მაგრამ არ გეჩვენებათ, რომ სისტემის არევაში მაინც ვიღაცის მმართველი ხელი ურევია გარედან?

– შეიძლება აქ ბევრი ინტერესი იკვეთებოდეს. ამბობენ, რომ თითქოს ციხეებზე შინაგან საქმეთა სამინისტრო ცდილობს გავლენის მოპოვებას, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს გავლენა ამ სისტემაში ყოველთვის არსებობდა ახალაიას დროსაც, ჭაკუას დროსაც. ახლა კი, ასეთი სუსტი მინისტრის პირობებში გავლენის მოპოვებაზე უკვე აღარ არის საუბარი, უკვე თვითონ მართავენ ყველაფერს. კონკურენცია სისტემებს შორის ყოველთვის იქნება. უბრალოდ, ეს არ უნდა გადავიდეს უმართავ პროცესებში, რაც მთლიანად მართლმსაჯულების იდეას დააზარალებს. აქ უფრო მეტი პრობლემაა „მაყურებლებს“ შორის დაპირისპირება ძალაუფლებისთვის. მათ თითოეულს თავისი მფარველი ჰყავს, თანაც ფორმიანი. როდესაც ასეთი პრობლემა არ წყდება სამართლებრივად გამართლებული მეთოდებით და სახელმწიფო თავის როლს გადააკისრებს მესამე პირებს, მით უმეტეს, კრიმინალური მენტალობის პირებს, იქ უკვე ყველაფერი მთავრდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით საგანელიძე: „ერთ პირობას გაძლევთ, მე ნამდვილად არ ვიქნები იმ ხელისუფ

ხათუნა მგალობლიშვილი

„ბურჯანაძის პარტიიდან გაცხადდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ტოვებენ ადამიანები და უწყვეტ ნაკადად მიედინებიან „დემოკრატიულ მოძრაობაში“. ბუნებრივია, ასეთ განცხადებას სჭირდება დადასტურება. როდესაც ჩვენ კონკრეტული გვარებისა და სახელების დასახელება მოვითხოვეთ, აქ დამთავრდა მათი ილუზიები“

„ოცნებაში“ უარყოფენ კოალიციის შემცირების ფაქტს. უმრავლესობის საპარლამენტო ლიდერმა პირადად ჩაატარა მინიგამოძიება და დაადგინა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით არც ერთ რეგიონში არ დაწერილა განცხადება პარტიის დატოვების შესახებ. არის მეორე მხარე, რომელიც აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ირწმუნება. ეს მეორე მხარე ნინო ბურჯანაძეა და ის ამაყობს იმით, რომ თვით ბიძინა ივანიშვილს წაართვა აქტივისტები. კოალიცია ბურჯანაძის ილუზიებს აღშფოთების ნაცვლად შეშფოთებით უყურებს, ისინი კი პიარხრიკს ძველ ნაციონალურ მეთოდს უწოდებენ და ამბობენ, რომ „დემოკრატიულ მოძრაობას“ თავისი ძველი, სამოცამდე მხარდამჭერი დაუბრუნდა, რის გამოც არც ზეიმი ღირს და მით უფრო, არც ნერვიულობა...

რაც უფრო მოახლოვდება 27 ოქტომბერი, მით მეტი მსგავსი პოლიტჭორი თუ დეზინფორმაცია გავრცელდება. უმრავლესობის ლიდერები ამისთვის მზად არიან და როგორც აცხადებენ, ვერც ერთი შექმნილი თუ ჯერშეუქმნელი ოპოზიციური კოალიცია მათ კანდიდატს ხმებს ვერ დააკლებს...

დავით საგანელიძე, უმრავლესობის ლიდერი:

– ბურჯანაძის პარტიიდან გაცხადდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ტოვებენ ადამიანები და უწყვეტ ნაკადად მიედინებიან „დემოკრატიულ მოძრაობაში“. ბუნებრივია, ასეთ განცხადებას სჭირდება დადასტურება. როდესაც ჩვენ კონკრეტული გვარებისა და სახელების დასახელება მოვითხოვეთ, აქ დამთავრდა მათი ილუზიები. აღმოჩნდა, რომ პარტიის წევრებს კი არ გულისხმობდნენ, არამედ საუბარი ყოფილა მხარდამჭერებზე. კოალიცია არ დაუტოვებია პარტიის არც ერთი წევრს. საბოლოოდ გაირკვა, რომ ორად ორი ადამიანია გურიაში, რომლებსაც სიტყვიერად განუცხადებიათ, რომ შეიძლება მხარი დაუჭირონ ბურჯანაძეს. პარტიას ჰყავს რამდენიმე ათასი წევრი და მილიონ-ნახევარი მხარდამჭერი. მილიონ-ნახევარი ადამიანიდან დღეს ყველა სხვადასხვა პარტიას უჭერს მხარს. ნინო ბურჯანაძეს ამ მილიონ-ნახევრიდან, ალბათ, მართლაც ჰყავდა 700 მხარდამჭერი. მაშინ მისმა მხარდამჭერებმა ჩვენ მოგვცეს ხმა, რადგან თავად არ მონაწილეობდა არჩევნებში. სავარაუდოდ, ეს ადამიანები, ვინც თავიდანვე მისი მხარდამჭერები იყვნენ და ან ბურჯანაძეები, ან ბიწაძეები, ან კიდევ მათი მონათესავე გვარები არიან, კვლავ ნინოს უბრუნდებიან. ისინი ოჯახის ახლობლები, პარტიის წევრების ნათესავები არიან. ამაში მოულოდნელი არაფერია. მე მეგონა, იტყოდნენ, რომ ჩვენს მხარეს გადმოვიდა 20 ათასი ან თუნდაც 25 ათასი და ეს ნამდვილად იქნებოდა მნიშვნელოვანი საკითხი. რეალურად ამ 20 ათასის ნაცვლად 60 ადამიანი გამოიკვეთა.

– ეს თქვენ როგორ გაარკვიეთ?

– პარტიაში, ყველა რეგიონში მოვიკითხე და დავინტერესდი, თუ შევიდა სადმე განცხადება პარტიის დატოვების შესახებ. მსგავსი განცხადება არსად არც ერთი არ შესულა მთელი საქართველოს მასშტაბით. თუ მათ ამის სურვილი აქვთ, ეს სხვა საკითხია. მინდა ვთქვა, რომ ეს არის უკვე გაცვეთილი, ბევრჯერ დატრიალებული პიარის ნაწილი, რომელიც თავის დროზე ჰქონდა ბურჯანაძესა და მის გუნდს, ნაციონალებს. ამის შემდეგ ეს კარგად და წარმატებით გადაიღო სააკაშვილმა და მოგვიანებით პიარში გადაუსწრო კიდეც ბურჯანაძეს. ეს ყველაფერი არის ერთი თემა, რომლის უკანაც გამოსროლილი სიტყვის მეტი არაფერი დგას. საakაშვილის პიარიც ასე იყო აგებული, მთავარი იყო, ეთქვა, რომ ყველაფერი შენდებოდა, კეთდებოდა, რეალურად ქვეყანა თავზე გვენგრეოდა. ასე მოიქცა ბურჯანაძეც ამ შემთხვევაში. მე არ ვიცი, ბურჯანაძე იყენებს ნაციონალების მეთოდებს, თუ თავად ნაციონალები იყენებდნენ თავის დროზე ნინოსგან ნასწავლ ხრიკებს. ფაქტი ერთია, რომ ეს ინფორმაცია ტყუილია. ამ საარჩევნო პერიოდში მსგავსი ტყუილებისა და არასამართლიანი პიარის ატანა მოგვიწევს, თუმცა მოვუწოდებ ყველას, რომ სჯობს, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ვებრძოლოთ ერთმანეთს, თუ აქვთ ამის თავი, რა თქმა უნდა.

– როგორც თქვენ ამბობთ, ბურჯანაძემ აპრობირებული პიარ-მეთოდი გამოიყენა. როგორ ფიქრობთ, რამდენად იყო ეს განპირობებული იმით, რომ საზოგადოებაში ახალი ხელისუფლების მიმართ იმედგაცრუება უკვე შეიმჩნევა, თუნდაც იგივე ახალაიას სასამართლოებიდან გამომდინარე, ასევე, შეუსრულებელი დაპირებების გამო...

– მართალი გითხრათ, ბურჯანაძის საქციელს ამას ნამდვილად არ ვუკავშირებ, თუმცა იმედგაცრუება, წყენა და გაბრაზებაც კი არის და რეალურია, თუნდაც ჩვენი პარტიის წევრებისგანაც კი. კოალიციის შემადგენელი პარტიების დიდ ნაწილს არ მოსწონს საერთოდ სიტყვა კოჰაბიტაცია და ყველაფერი ის, რაც ამ სიტყვას უკავშირდება. ძალიან არ მოსწონთ ის, რომ პროკურატურა ძალიან მკაცრი ნაბიჯებით არ მიდის წინ, არ მოსწონთ ის, რომ მოქალაქეების დიდ ნაწილს არ დაუბრუნდა წართმეული ქონება. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ამ ყველაფრის მიღწევა ძალიან მარტივად და სწრაფად შეიძლება. თუმცა ნებისმიერი ადამიანი რომ დააკავო, მხოლოდ ინფორმაცია არ არის საკმარისი. თუ ობიექტური ხარ, სანამ ყველა მასალას არ შეკრებ, არ დაადასტურებ, ვერ დაიჭერ, მარტო იმიტომ, რომ დაჭერა გინდა და დაიჭირო, ასე სახელმწიფო არ შედგება და იგივე გზაზე წავალთ, რომელიც ქვეყანამ უკვე გაიარა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში.

– თუმცა ახალაიაზეც და მერაბიშვილზეც სწორედ ეს ბრალდება იყო ოპონენტებისგან, რომ სანამ ბრალდებები დადასტურდებოდა, სწორედ იქამდე და შესაბამისად, უსამართლოდ მოხდა მათი დაკავება.

– ახალაიას თემაზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ იქ არის ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელშიც მოხდა მისი გამართლება. არის სხვა მძიმე ეპიზოდებიც. ერთ პირობას გაძლევთ, რომ მე ნამდვილად არ ვიქნები იმ ხელისუფლებაში, სადაც შეიძლება ახალაია გამართლდეს და თავისუფლად დადიოდეს ქუჩებში.

– დატოვებთ კოალიციას?

– ახალაია არ დატოვებს საპყრობილეს, რა თქმა უნდა. ის გამართლდა ერთ-ერთ ყველაზე მსუბუქ ეპიზოდში...

– წამების ბრალდება მოეხსნა, არ დადასტურდა, თქვენ რომელ ეპიზოდებზე საუბრობთ?

– სხვა ეპიზოდში არის ძალიან სერიოზული თემები და მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ახალაია გამოვა ციხიდან.

– თუ განთავისუფლდება, თქვენ აღარ იქნებით კოალიციაში?

– ახალაიამ შეიძლება ისეთი მასალები დადოს და ისეთი ინფორმაციები მიაწოდოს გამოძიებას, რომ დადგეს საკითხი საპროცესო შეთანხმების...

– როგორც ბედუკაძის შემთხვევაში?

– ეს სხვა თემა და სხვა შემთხვევა იქნება, ასე ბედუკაძის შემთხვევაშიც მოხდა. თუმცა იმას, რომ ახალაია დამნაშავეა და არსებობს სხვა ეპიზოდები, ვერავინ გაექცევა. თუმცა ხალხის გაღიზიანება ამ საკითხზეც და კიდევ სხვა საკითხებზეც მე პირადად კარგად მესმის. გაბრაზებულები არიან ადამიანები, ვინც აქციებზე იდგა და დღეს სამსახურები არ აქვთ. ის, რომ ერთი ხელის მოსმით გაიყაროს ყველა დასაქმებული სხვადასხვა უწყებებიდან, დიდი შეცდომა იქნება და სწორედ ამან დაღუპა ქვეყანა თავის დროზე. 2003 წლის რევოლუციის შემდეგ და 2004 წლის არჩევნების შემდეგ ყველა გაყარეს სამსახურებიდან, მაშინ საჯარო მოხელეების 99% გამოიცვალა.

– თუმცა, როგორც ამბობენ, სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყება მასობრივი განთავისუფლებები საჯარო სამსახურებიდან...

– ეს რომ ყოფილიყო ჩვენგან გადაწყვეტილი და მოწონებული, დამიჯერეთ, დღეს ფაქტები და ნიშნები უკვე იქნებოდა. მთავარი პროფესიონალიზმია, შესაბამისად,

„სავარაუდოდ, ეს ადამიანები, ვინც თავიდანვე მისი მხარდამჭერები იყვნენ და ან ბურჯანაძეები, ან ბიწაძეები, ან კიდევ მათი მონათესავე გვარები არიან, კვლავ ნინოს უბრუნდებიან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



„ყველა პოლიტიკური ძალა რომ შეიკრიბოს, რაც არსებობს, „ქართულ ოცნებას“ იმხელა მხარდაჭერა აქვს, მაინც ვერ გაუწევს კონკურენციას“

„ახალაიამ შეიძლება ისეთი მასალები დადოს და ისეთი ინფორმაციები მიაწოდოს გამოძიებას, რომ დადგეს საკითხი საპროცესო შეთანხმების“

EXCLUSIVE

უწყებები განთავისუფლდება და გაიწმინდება ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც უშუალოდ ნაციონალების ინტერესების გამტარებლები იყვნენ. განსაკუთრებით ეს არა საპრეზიდენტო, არამედ ადგილობრივი არჩევნებისთვის მოხდება, რადგან ეს არჩევნები ბევრი კუთხით იქნება გადამწყვეტი. სწორედ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შეიცვლება საკრებულოების შემადგენლობა, რაიონულ გამგეობებშიც გამოჩნდება ახალი სახეები.

– არასაპარლამენტო ოპოზიცია ცდილობს, ერთიანი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანდეს, როგორ ფიქრობთ, რამდენად გამოუვათ და ასეთ შემთხვევაში რა ძალის მატარებლები გახდებიან?

– ძალაზე არაფერს ვიტყვი... ის ილუზია, რომ საქმე მეორე ტურამდე მივა, როგორი გაერთიანებაც არ უნდა შედგეს არასაპარლამენტო ოპოზიციაში, ამის ნიშნებს მე ნამდვილად ვერ ვხედავ. თუმცა, რა თქმა უნდა, სწორი იქნება, თუ იდეოლოგიურად ერთნაირი ძალები გაერთიანდებიან და უფრო სერიოზულ კანდიდატებს წამოაყენებენ, წინაარმდეგ შემთხვევაში უკვე ძალიან სასაცილო სახეს იღებს საპრეზიდენტო კანდიდატების სიმრავლე. ზოგადად, ქვეყანა ძლიერია მაშინ, როცა ძლიერი ოპოზიცია ჰყავს. ნამდვილად მინდა და პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ძლიერი ოპოზიცია არსებობდეს ქვეყანაში. თუმცა ოპოზიცია უნდა იყოს სამართლიანი და მისი საქმიანობა ტყუილზე არ უნდა იყოს აგებული, როგორც ახლაა.

– ბურჯანაძეს აღიქვამთ სერიოზულ კანდიდატად?

– არ ვფიქრობ, რომ „ნაცმოძრაობა“ მეორე ადგილზე გავა, მათ ნამდვილად არ აქვთ იმხელა რეიტინგი, რომ ეს ადგილი დაიკავონ. ვერ ვიტყვი, ნინო იქნება თუ კიდევ სხვა, მაგრამ ფაქტია, რომ ნაციონალებს მეორე ადგილზე გასვლის პოტენციალი ნამდვილად არ გააჩნიათ.

– გამოდის, ავტომატურად ბურჯანაძეს აღიარებთ მეორე ძალად?

– თუ რეალობას შევხედავთ და საპრეზიდენტო კანდიდატების სიას გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ასეა, ერთადერთ საშიშროებას ხარატიშვილი წარმოადგენს... ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. ისე, თქვენ მეკითხებით, ვინ იქნება მეორე ადგილზე, მაგრამ არ მეკითხებით, რამხელა იქნება სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე გასულებს შორის. მეორე ადგილზე შეიძლება იყოს კანდიდატი 1%-ით. ყველა პოლიტიკური ძალა რომ შეიკრიბოს, რაც არსებობს, „ქართულ ოცნებას“ იმხელა მხარდაჭერა აქვს, მაინც ვერ გაუწევს კონკურენციას. შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნები ყოველგვარი ვნებათაღელვისა და მოულოდნელი შედეგების გარეშე ჩაივლის.

– პარტიაზე მინდა გკითხოთ, როცა საუბარია პრემიერის პოლიტიკიდან წასვლაზე, ხდება გახილვა, რა ელის ივანიშვილის პარტიას?

– შეიძლება პირადი საუბრები ყველას გვქონდეს ერთმანეთთან, თუმცა აღნიშნული საკითხი პარტიის დღის წესრიგში ნამდვილად არ დამდგარა. არ ვთვლი საჭიროდ ჯერ ამაზე საუბარს. მომავალი გვანახვებს ყველაფერს, თუმცა მიმაჩნია, რომ პრემიერის წასვლა ნაადრევად არ ივარგებს, თუნდაც ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე ის უნდა დარჩეს თავის თანამდებობაზე. იმასაც გეტყვით, რომ ბიძინა ივანიშვილის თანამდებობიდან წასვლა არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკიდან წავა. ჩვენ გარკვეული გზა გვაქვს გასავლელი და გარკვეულ სტრუქტურებს მისი ხელი და გაძლიერება ჯერ კიდევ სჭირდება.

– ანუ თანამდებობიდან რომ გადადგეს, პარტიას არ დატოვებს?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. თანამდებობიდან წასვლა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ პარტიაში აღარ იქნება. ის იმდენად აქტიური პიროვნებაა, რომ სადაც არ უნდა იყოს, მისი სიტყვა და მისი გავლენა მაინც ყველგან შესამჩნევი იქნება.

„ახალაია არ დატოვებს საპყრობილეს, რა თქმა უნდა. ის გამართლდა ერთ-ერთ ყველაზე მსუბუქ ეპიზოდში...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ შეცვლის ხარატიშვილს და ვინ აგებს პასუხს არჩევნებზე

ნინო დათაშვილი

EXCLUSIVE

ვახტანგ ხმალაძე: „თუ ცესკომ კანონით განსაზღვრულ ვადაში ვერ აირჩია კანდიდატებისგან ერთ-ერთი, მაშინ ეს საქმე უკვე გადადის პარლამენტში, რომელიც იმავე კანდიდატებისგან 7 დღის ვადაში ირჩევს ცესკოს თავმჯდომარეს“

სერგო რატიანი: „ზურა ხარატიშვილმა, თავისი გადაწყვეტილებით, პრობლემურ სიტუაციაში ჩააყენა არჩევნების მიმდინარეობის პროცესი“

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ცესკოს ახალი თავმჯდომარის კანდიდატურაზე კონსულტაციები უკვე დაიწყეს. მათ კიდევ ერთი კვირა აქვთ პრეზიდენტთან ერთად სამი კანდიდატურის შესარჩევად. კონკრეტული გვარები ჯერჯერობით არ სახელდება. ერთადერთი ვინც საკუთარ გვარს ასაჯაროებს, ეს ლადო ბოჟაძეა, თუმცა ილუზია, რომ ბოჟაძის გვარი სერიოზულად განიხილება, თავად კანდიდატსაც ნაკლებად აქვს.

კანონმდებლობის მიხედვით, არასამთავრობოებისა და პრეზიდენტის მიერ სამი კანდიდატურის შერჩევის შემდეგი მთავარი ეტაპი ცესკოში განვითარდება. კანდიდატებზე ცესკოს შემადგენლობამ უნდა იმსჯელოს. შემადგენლობაში კოალიციის ცალკეული პარტიები იგულისხმებიან. არჩევანის გაკეთება სწორედ მათ მოუწევთ. ექვსი პარტიიდან მინიმუმ ოთხმა უნდა მისცეს ხმა ერთ კანდიდატს, არჩეულად რომ ჩაითვალოს. თუ ცესკო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, შემდეგი ეტაპი უკვე პარლამენტია. პარლამენტს მიღებული დავალების შესასრულებლად ზუსტად 7 დღე ექნება. ერთკვირიან ვადაში საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეძლოს სამიდან ერთი კანდიდატის არჩევა. თუ უსუფაშვილი თავის უმრავლესობასთან ერთად მიზანს პირველივე მცდელობაზე ვერ მიაღწევს, მათ დამატებით კიდევ ერთკვირიანი პერიოდი მიეცემათ. თუმცა არჩევანი არც ამ შემთხვევაში გაიზრდება. ანუ ცესკოს ახალი თავმჯდომარის არჩევა ისევ შეთავაზებული სამი კანდიდატიდან მოუწევთ. ხელმეორე მარცხის შემთხვევაში პროცედურა კვლავ თავიდან დაიწყება...

წრეზე ტრიალის გამო, დიდი შანსია, ქვეყანა არჩევნებს ცესკოს ხელმძღვანელის გარეშე შეხვდეს. მის მოვალეობას კი მოადგილე – დავით კირთაძე შეასრულებს. ჯერჯერობით ორივე მხარე, მოქმედი ხელისუფლებაც და ნაციონალებიც, ერთმანეთისკენ იშვერს ხელს. თუმცა რეალურად თავმჯდომარის არჩევის ყველა ეტაპზე გადამწყვეტ ხმას სწორედ მოქმედი ხელისუფლება იძლევა.

ვახტანგ ხმალაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– როგორ განვითარდება სიტუაცია, დამოკიდებულია იმაზე, რა კანდიდატურებს წარმოადგენს პრეზიდენტი. ყველაფერს თავისი დრო და პროცედურები სჭირდება. პრეზიდენტმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს არანაკლებ სამი კანდიდატურა. შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისიის პარტიული წევრებისგან იმ ნაწილმა, რომლებიც წინა საპარლამენტო არჩევნების დროს პირველ ადგილზე არ იყვნენ და არ აჩვენეს საუკეთესო შედეგი, უნდა აირჩიონ წარდგენილი კანდიდატურებიდან ერთ-ერთი, რომელსაც, სულ ცოტა, ოთხი ხმა უნდა ჰქონდეს. ამის შემდეგ მას პრეზიდენტი დანიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. თუ ცესკომ კანონით განსაზღვრულ ვადაში ვერ აირჩია კანდიდატებისგან ერთ-ერთი, მაშინ ეს საქმე უკვე გადადის პარლამენტში, რომელიც იმავე კანდიდატებისგან 7 დღის ვადაში ირჩევს ცესკოს თავმჯდომარეს. ამ ეტაპზე სავარაუდო კანდიდატების შესახებ ცნობილი არაფერია.

ცესკოს ხარატიშვილის მოადგილე, დავით კირთაძე ხელმძღვანელობს და როგორც ამბობენ, არ არის გამორიცხული, არჩევნების პროცესიც სწორედ მან წარმართოს. თავად ხარატიშვილი აცხადებს, რომ კირთაძეს ცესკოში მუშაობის ბევრად დიდი გამოცდილება აქვს და შესაბამისად, მის პროფესიონალიზმს კითხვის ნიშნები არც ერთმა მხარემ არ უნდა დაუსვას.

სერგო რატიანი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:

– ზურა ხარატიშვილმა, თავისი გადაწყვეტილებით, პრობლემურ სიტუაციაში ჩააყენა არჩევნების მიმდინარეობის პროცესი. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე ამის გაკეთება მიზანშეწონილი არ იყო, რადგან ახლა საჭიროა საარჩევნო კომისიის აწყობილი სისტემა. რაც შეეხება ახალ კანდიდატურას, ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, არანაირ კანდიდატურაზე საუბარი არ არის. ვფიქრობ, უნდა დაიწყოს კონსულტაციები პარლამენტსა და არასამთავრობოებს შორის. პარლამენტის გადაწყვეტილებაზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

თავის მხრივ, ხარატიშვილმა პირველივე საჯარო გამოსვლისას განაცხადა, რომ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, პრემიერიდან დაწყებული დეპუტატებით დასრულებული, ყველა გაფრთხილებული ჰყავდა. გარდა ამისა, უკვე ყოფილი ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ კარგად გამართული სისტემა დატოვა და მისი ჩამოსვლის არანაირი საფრთხე არ არსებობს. ასე არ ფიქრობს უმრავლესობა. ირინა იმერლიშვილს მიაჩნია, რომ ცესკოს თავმჯდომარემ პოსტი შუაგულ არჩევნებში მიატოვა და ამაზე უარეს დროს, უბრალოდ, ვერ შეარჩევდა.

ირინა იმერლიშვილი:

– მე ვფიქრობ, რომ ახლა სწორი პერიოდი არ არის, როდესაც უნდა გადამდგარიყო. თუ მას წასვლა უნდოდა, არჩევნების გამოცხადებამდე უნდა გადამდგარიყო, ან არჩევნების შემდეგ. მე რამდენადაც ვიცი და თავადაც არაერთხელ უთქვამს, მას ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პრობლემა არ ჰქონია. რაც შეეხება არჩევნებს, ხარატიშვილი იქნება თუ არა, პრემიერმა და დღევანდელმა ხელისუფლებამ არაერთხელ თქვეს, რომ ეს არჩევნები გამჭვირვალედ, დემოკრატიულად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა ჩატარდეს და ამ დანაპირებს ჩვენ შევასრულებთ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს მიაჩნია, რომ ხარატიშვილი კონკრეტულ შეთავაზებას ელოდა და სწორედ ეს გახდა მისი გადადგომის მიზეზიც. გარდა ამისა, უმრავლესობაში მეორე ვერსიასაც განიხილავენ. იგივე საგანელიძე აცხადებს, რომ ახალ თავმჯდომარეს ოპოზიცია ირჩევს და შესაბამისად, ხარატიშვილის გადადგომის ხრიკს ნაციონალების ფარულ გეგმებს უკავშირებს.

დავით საგანელიძე:

– ხარატიშვილს თუ გადადგომა უნდოდა, ადრე უნდა გადამდგარიყო. ახლა რამ აიძულა, არ ვიცი, ვისგან ელოდება რაიმე შეთავაზებას, ეგ ნამდვილად არ ვიცი. ფაქტი ერთია – გამომდინარე იქიდან, რომ ცესკოს თავმჯდომარეს ოპოზიციური ფლანგი ნიშნავს პრეზიდენტის წარდგინებით, ალბათ, ოპოზიციას გარკვეული მოსაზრებები აქვს და ცესკოს ხელმძღვანელობასთან რა თამაშშიც იყო „ნაცმოძრაობა“ ჩართული, ეგ ვიცით. ახლა კიდევ რას თამაშობენ, ვერ გეტყვით.

რეალურად, ახალი თავმჯდომარის არჩევაში მთავარ როლს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოალიციაში შემავალი პარტიები ასრულებენ თავად ცესკოშიც და პარლამენტშიც. ერთადერთი ეტაპი, სადაც ნაციონალები ერთვებიან, ეს პრეზიდენტის მიერ კანდიდატების შეთავაზების მომენტია. ვერ ვიტყვით, რომ ეს საფეხური ნაკლებ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ახალი თავმჯდომარის არჩევა ერთადერთ შემთხვევაში მოხდება – თუ ორი დაპირისპირებული მხარე თანამშრომლობას მოახერხებს.

ბაჩუკი ქარდავა, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი:

– აქ არ არის მარტო ცალკე აღებული პარლამენტის საკითხი. ეს რეალურად იმ პოლიტიკური პროცესის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს. რამდენად მოახერხებს ახალი და ძველი ხელისუფლება თანამშრომლობას იმაზე, ვინ უნდა იყოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ეს რთული სათქმელია. ამ შეთანხმების გარეშე ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება იყოს არჩეული ცესკოს თავმჯდომარე. რამდენად მოახერხებენ შეთანხმებას, ეგ მათი პრობლემაა.

ირინა იმერლიშვილი

სერგო რატიანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილმა იცის, რომ დაიჭერენ

ნინო დათაშვილი

კახი კახიშვილი: „სააკაშვილი პირველი იქნება, ვინც თვითმფრინავში ჩაჯდება და საზღვარგარეთ გაფრინდება“

EXCLUSIVE

„მიშა სააკაშვილი ყველა შემთხვევაში შეეცდება, რომ დარჩეს პოლიტიკაში. რომც წავიდეს და გაფრინდეს“

ორი ვარიანტია – ან ქართველი ექსპერტები უფრო სუსტები არიან, ვიდრე ქართველი პოლიტიკოსები, ანდა ექსპერტებიც ისეთივე დაინტერესებული მხარეა, როგორც პარტიების აქტივისტები.

თუმცა, სააკაშვილის შემთხვევაში არის კიდევ ერთი ვერსია. ის ხომ გაუთვლელია. იმიტომ კი არა, რომ ძლიერია და მაგარია, უბრალოდ, თვითონაც არ იცის, რა უნდა, – ასეთია ექსპერტების მოსაზრება ყოველთვის, როცა ისინი ვერ ახერხებენ სააკაშვილის ქმედებების განსაზღვრას.

დიდი მკითხაობა იყო ატეხილი საპარლამენტო არჩევნების წინ. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ წაგების შემთხვევაში სააკაშვილი სისხლს დაღვრიდა, საკუთარ მოსახლეობას ესროდა. ისიც კარგად იცოდნენ, რომ გამარჯვებას მას არავინ აპატიებდა.

ასე რომ, როცა მშვიდი სააკაშვილი არჩევნების ღამესვე გამოჩნდა, წაგება აღიარა, „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება მიულოცა და ხელისუფლების გადაბარების პროცესი „გახსნილად“ გამოაცხადა.

ახლა ასეთივე ორომტრიალს იწვევს სააკაშვილის მომავალი. თავად სააკაშვილი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. ერთხელ თქვა საგანმანათლებლო საქმით უნდა დავკავდეო, მეორედ თქვა, არსადაც არ მივდივარ, აქ ვრჩები და ბრძოლა გრძელდებაო.

ქართული პოლიტიკოსების ნაწილი მოითხოვს მის დაკავებას, ბევრიც დარწმუნებულია, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ მას აუცილებლად დაადებენ ბორკილებს.

სხვების აზრით კი, ამერიკა, ისევე როგორც 2008 წლის ომის დროს შესთავაზა თავშესაფარი, ახლაც წაიყვანს და ლექციების წაკითხვით „გაართობს“.

ძალიან ცოტა მიიჩნევს, რომ ის პოლიტიკაში დარჩენას გაბედავს.

თუმცა, კულისებში იმასაც ამბობენ, სააკაშვილმა იცის, რომ დაიჭერენ და ამიტომაც წასვლაზე უკვე თანხმობა განაცხადაო.

ასე რომ, როგორც ახლა ბაჩო ახალაიას პროცესის გამო მოითხოვეს არჩილ კბილაშვილის გადადგომა, ისე სააკაშვილის დაკავება-არდაკავების თემაზე მოუწევს პროკურატურას დიდი სკანდალებისა და ხმაურის გადატანა. არჩილ კბილაშვილს ან „გმირს“ დაუძახებენ, იმიტომ რომ კადრში ნახავენ, როგორ დააპატიმრეს ყოფილი პროკურორი, ან გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც შეეცდებიან ხალხის აბუნტებას და კბილაშვილის გადაყენებას.

ასე რომ, ვითარება მარტივი არ იქნება.

როგორ ესახება სააკაშვილის მომავალი პოლიტიკური ცხოვრება ექსპერტ კახი კახიშვილს? ამ თემაზე „პრაიმტაიმმა“ ინტერვიუ ჩაწერა.

კახი კახიშვილი:

– საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ რა პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეს მიხეილ სააკაშვილს?

– ვფიქრობ, ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილი აქტიურად ზრუნავს ინდულგენციაზე, რომ რამენაირად მოიპოვოს გარანტიები იმისთვის, რომ მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ მის მიმართ არ დადგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. თქვენ, ალბათ, ნახეთ კბილაშვილის კომენტარი, სადაც მან თქვა, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს საფუძვლები სააკაშვილის პასუხისმგებლობაში მიცემის თაობაზე. თუ პროკურატურამ ასე გააგრძელა საქმიანობა, ალბათ, არც არაფერი მოხდება. თუმცა თუ დღეს ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ სისასტიკესთან და არაადამიანურ მოპყრობასთან გვქონდა საქმე, მაშინ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა მიხეილ სააკაშვილი, რომლის ბრძანებებისა და მითითებების გარეშე არაფერი არ მოხდებოდა. თუ ვისაუბრებთ იმაზე, რომ საქართველოში უნდა იყოს კანონის უზენაესობა, მაშინ კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, მიშა სააკაშვილის მიმართ ნამდვილად უნდა არსებობდეს კითხვები სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან. თუ საუბარი იქნება შერჩევით სამართალზე და ინდულგენციის მოპოვებაზე, მაშინ შესაძლებელია, ვიხილოთ, რომ მიშა სააკაშვილი, უბრალოდ, წავიდეს საქართველოდან. გარკვეული დროის განმავლობაში იქნება საზღვარგარეთ, სავარაუდოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში და როდესაც ნახავს, რომ ხალხს მისი სისასტიკე დაავიწყდა, შემდგომში ჩამოვა. რამდენიმე ვარიანტია. რას მოიმოქმედებს მიშა სააკაშვილი, ზუსტად არ ვიცი, რადგან არ ვიცი, რას იზამს პროკურატურა. სააკაშვილს რომ ჰქონდეს სრული ინფორმაცია, რომ მან ვერ მიიღო ინდულგენცია, გარანტიები და პროკურატურა მას აუცილებლად დაკითხავს და შემდგომში მას კონკრეტულ საქმეზე პასუხისგებაში მისცემს, მაშინ მიხეილ სააკაშვილი პირველი იქნება, ვინც თვითმფრინავში ჩაჯდება და საზღვარგარეთ გაფრინდება. არ ვიცი, რას გეგმავს პროკურატურა. ეს, ალბათ, მიშამ უკეთესად იცის.

– რამდენად სავარაუდოა, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში დარჩეს და პოლიტიკური საქმიანობა გააგრძელოს?

– მიშა სააკაშვილი ყველა შემთხვევაში შეეცდება, რომ დარჩეს პოლიტიკაში. რომც წავიდეს და გაფრინდეს, დარწმუნებული ვარ, იქიდანაც თავს არ დაგვანებებს, კვირაში ერთხელ გამოჩნდება და რაღაც ჭკუის დარიგებას დაგვიწყებს. ხომ ხედავთ, დღესაც საუბრობს რაღაც წარმატებებზე, არ საუბრობს შეცდომებზე. თურმე ყველაფერი კარგი მიშა სააკაშვილის გაკეთებულია, ხოლო რაც ცუდი იყო – დაჭერები, ცემა, წამება, ეს თურმე მას არ სცოდნია. თურმე არც ახალაიებს იცნობდა, არც ადეიშვილთან ჰქონდა ისეთი ურთიერთობა, რომ ბოლომდე გაეკონტროლებინა მისი მოქმედება. სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკის რეალობა არის ის, რომ ხალხს მალე ავიწყდება კონკრეტული პოლიტიკოსების დანაშაულებრივი ქმედებები. ამიტომ ის ამის იმედად არის. ის ფიქრობს, რომ ორ-სამ წელიწადში ხალხს ეს დაავიწყდება იმ ფონზე, როდესაც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები იქნებიან ხალხის მიმართ ანგარიშვალდებულები და ხალხს მათ მიმართ გაუჩნდება კითხვები. ასე რომ, შემდგომში ის შეეცდება, ისევ და ისევ გამოჩნდეს ქართულ პოლიტიკაში.

კახი კახიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართულ სოფელში მცხოვრები 26 წლის გოგონა ცხინვალში ბიოლოგიურ დედას ეძებს

ნინო ჩიბჩიური

26 წლის მარინა გიორგაშვილმა ბიოლოგიური დედის ძებნა ქმართან დაშორების შემდეგ გადაწყვიტა. ორ შვილთან ერთად, ის ამჟამად გორის რაიონის სოფელ ახალდაბაში ბიძაშვილთან ცხოვრობს. ერთ-ერთი შვილი, 8 წლის დავითი, დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა და საუბარი არ შეუძლია. მარინა ამბობს, რომ მისი მეუღლე სისტემატურად ეჩხუბებოდა და არ მოსწონდა, რომ უნარშეზღუდული ბავშვი ჰყავდა. ცოლთან ერთად, ის ბავშვებზეც ძალადობდა და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. მარინა ძალადობისგან დაცვის მსხვერპლთა თავშესაფარშიც იყო, თუმცა შემდეგ ქმარს დაუბრუნდა. ერთი წლის შემდეგ კი ოჯახი ისევ მიატოვა. ამის მიზეზად ის ქმრისგან და მამამთილისგან მისი ბიოლოგიური დედის უშვერი სიტყვებით მოხსენიებას ასახელებს. მარინამ 12 წლის ასაკში დედობილისგან შეიტყო, რომ აყვანილი იყო. თუმცა ბავშვობის პერიოდს იხსენებს და ამბობს, რომ ბიოლოგიური დედა ხშირად ნახულობდა. ფიქრობს, რომ, რომ არა ხელის შემშლელი ფაქტორები, დედას უფრო მარტივად მოძებნიდა. მთავარ პრობლემას ამაში ტერიტორიები და საზღვრები უქმნის.

„ჩემი ქმარი და მისი ოჯახი, სხვა შეურაცხყოფებთან ერთად, მაძახებდნენ, ბოზიშვილი ხარო, არც კი იცი, ვინ ხარ და საიდან მოდიხარო. როცა ქმრისგან წამოვედი, ზუსტად ამ სიტყვებმა მაიძულა, რომ გამერკვია, ვისი შვილი ვარ“

მარინა გიორგაშვილი

EXCLUSIVE

„ეს არის საიდუმლოება, რომელსაც ორივე მხარე უნდა იცავდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რამდენად კანონიერად მოხდა შვილად აყვანა“

მარინა გიორგაშვილი: „ჩემი ქმარი და მისი ოჯახი, სხვა შეურაცხყოფებთან ერთად, მაძახებდნენ, ბოზიშვილი ხარო, არც კი იცი, ვინ ხარ და საიდან მოდიხარო. როცა ქმრისგან წამოვედი, ზუსტად ამ სიტყვებმა მაიძულა, რომ გამერკვია, ვისი შვილი ვარ. მახსოვს, დედობილი მუდამ აგრესიული იყო ჩემ მიმართ. მამობილი შედარებით ლმობიერად მექცეოდა, ახლა ორივე გარდაცვლილია და მათგან დეტალებს ვეღარ გავიგებ ჩემი ნამდვილი დედის შესახებ. მხოლოდ რამდენიმე მეზობლისგან ვიცი, რომ ჩემს ბიოლოგიურ დედას, რომელიც მაშინ ცხინვალის რაიონის სოფელ დგვრისში ცხოვრობდა, მკვდარი ვგონივარ. ერთ-ერთმა მეზობელმა მითხრა, რომ ჩვენმა თანასოფლელმა ირინამ უშუამდგომლა დედას და ცხინვალის სამშობიაროში ისე მოაწყვეს, თითქოს ჩემმა გამზრდელმა დედამ იმშობიარა, ბიოლოგიური დედა კი 9 დღე იყო საავადმყოფოში და აქედანვე მომხდარა ჩემი გაშვილება. ჩემი ნამდვილი დედა ლია ქოქოევია. ის, სავარაუდოდ, ახლაც ცხინვალში ცხოვრობს, ჰყავს ოჯახი და ერთი ქალიშვილი, რომელიც თურმე ძალიან მგავს. შევეცადე, რაიმე გამერკვია ჩემი რუსულენოვანი დაბადების მოწმობით. მაგრამ, როცა ნოტარიუსს ვათარგმნინე, აღმოჩნდა, რომ ცხინვალის მატჩის ბიუროშია ის რეგისტრირებული, სადაც ჩემი სახელისა და გვარის ნაცვლად წერია გოდერძი გიორგაშვილი. ანუ ყველანაირი კვალი, რაც დედაჩემამდე მიმიყვანდა, წაშლილია. მახსოვს, რომ სკოლაში მაკითხავდა ერთი ქალი, მერე მითხრეს, რომ ის დედაჩემი იყო. ჩემმა გამზრდელმა კი ის დროთა განმავლობაში თანდათან დამაშორა და ხალხს ათქმევინა, რომ თითქოს მოვკვდი. ჩემი ბიოლოგიური დედის მხოლოდ გაცნობა მინდა, თუნდაც არ მიმიღოს, ის მაინც მეცოდინება, ვისი შვილი ვარ. მე მას არანაირად არ გავკიცხავ. გავიგე, რომ შეყვარებულთან უკანონო ქორწინებაში იმყოფებოდა და როცა გაიგო, რომ ფეხმძიმედ იყო, იმ კაცს მიუტოვებია. შემდეგ კი უცდია, ურთიერთობა აღედგინა, მაგრამ დედას აღარ მიუღია, რადგან უკვე გაშვილებული ვყავდი და სხვა კაცზე იყო გათხოვილი. არავინ არ იცის, ვის რას უმზადებს ცხოვრება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ პრობლემას წარმოვადგენდე ახლაც მის ცხოვრებაში, მაგრამ მეზობლებმა მითხრეს, რომ თურმე ბებია და პაპა, რომლებიც უკვე მოხუცდნენ, ისევ იმ სოფელში ცხოვრობენ. იმედს ვიტოვებ, რომ თქვენი მეშვეობით რაიმე გამოხმაურება ექნება ჩემს მონათხრობს“.

ქეთი ბებიაშვილი

მარინა გიორგაშვილის დასახმარებლად ჯერ გორის გენდერულ რესურსცენტრს მიაკითხა, შემდეგ კი – საია-ს გორის ოფისს. იურისტების შეფასებით, საქმეში სამართალდამცავები უნდა ჩაერთონ, ოფიციალურად უნდა იქნას შესწავლილი ეს საქმე და მასში მონაწილე პირები.

ქეთი ბებიაშვილი, საია-ს გორის ოფისის თავმჯდომარე: „მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია გარემოება შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნებასთან დაკავშირებით, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხია. ეს არის დასჯადი ქმედება და წარმოადგენს დანაშაულს. მიზანშეწონილია, რომ ეს საკითხი სამართალდამცავების მიერ იყოს გამოკვეთილი და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნას მიღებული. ეს არის საიდუმლოება, რომელსაც ორივე მხარე უნდა იცავდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რამდენად კანონიერად მოხდა შვილად აყვანა“.

როგორ უნდა შეძლოს მარინა გიორგაშვილმა ბიოლოგიური დედის მოძებნა და შემდეგ მასთან შეხვედრა, არასამთავრობო ორგანიზაციებს საუბარი უჭირთ, თუმცა ამბობენ, რომ ეს ინფორმაცია უშუალოდ იმ პირებს უნდა ეცნობოთ, ვისაც კავშირი აქვთ ცხინვალის რეგიონთან. ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები მარინა გიორგაშვილის, უფლებებზე მიუთითებენ, მისი ბიოლოგიური დედის მხრიდან განხორციელებულ ქმედებებს, გაშვილებასთან დაკავშირებით, დღემდე ფესვმოკიდებული სტერეოტიპების არსებობის შედეგს უწოდებენ, რადგან ლია ქოქოევმა, როგორც მარინა გიორგაშვილი ყვება, ორსულობა სწორედ იმ მიზეზით დამალა, რომ ოჯახი მას აღარ მიიღებდა და „სახელიც გაუტყდებოდა“.

მარიამ თედლიაშვილი

მარიამ თედლიაშვილი, კარალეთის ქალთა სოლიდარობის ცენტრის წარმომადგენელი: „ეს ძალიან საფრთხილო საქმეა. შესაძლოა, არც უნდოდეს იმ დედას ასეთ ინტიმურ ურთიერთობებზე საუბარი, რადგან ამჟამინდელ ოჯახში სიტუაცია არ გაურთულდეს. შესაძლოა, პირიქითაც აღმოჩნდეს, იქნებ მართლა მკვდარი ეგონა შვილი და ძებნა ამ მოტივით აღარ გააგრძელა. თავის მხრივ, მარინა გიორგაშვილსაც აქვს უფლება, იცოდეს, ვინ არის მისი ბიოლოგიური დედა. იმის მიზეზი, რომ საქართველოში დღემდე ხდება ჩუმად მშობიარობა ან შვილის მიტოვება, არის ის, რომ საზოგადოების ნაწილი გაგრიყავს და „მიუღებელი“ პიროვნება გახდები. ეს ნათელი მაგალითია იმისა, რა შედეგის მოტანა შეუძლია ასეთ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას“.

მარიამ გიორგაშვილის ისტორია ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე მომუშავე ორგანიზაცია „ქართლოსს“ ვაცნობეთ, რომლის ხელმძღვანელმა **მეგი ბიბილურმა** აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნობა საქმის ირგვლივ არსებულ ვითარებას და მის ხელთ არსებული კონტაქტების მეშვეობით შეეცდება, მარინა დედასთან დააკავშიროს. აღნიშნული ისტორიის უფრო მეტი დეტალის გარკვევა ამ დროისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მარინას სოფელში ამ თემაზე საუბარი არც ერთმა მეზობელმა არ ისურვა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა მოხდა საკრებულოში

სანდრო ბრეგაძე: „რიგიერ შეიძლება, რომ ივანიშვილის კოალიციაში „რესპუბლიკური პარტიის“ სახით იყოს ძალა, რომელიც ებრძვის ეროვნულ გმირს“

EXCLUSIVE

ნინო დათაშვილი

ახალი ხელისუფლება მთავარ პრიორიტეტად უცნაურ საკითხებს აყენებს. მაშინ როდესაც ოპონენტები შეუსრულებელ დაპირებებს უთვლიან და ჩამონათვალში უკვე ოცდამეათე შეუსრულებელ დაპირებასაც კი ასცდნენ, ამ დროს მთავრობაში იმაზე დაობენ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტს უნდა შეეცვალოს თუ არა სახელწოდება.

საკრებულოში დიდი გაუგებრობაა. ერთი მხარე ირწმუნება, რომ ახლად დანიშნული თავმჯდომარე წინააღმდეგია, აეროპორტი ზვიად გამსახურდიას სახელობის გახდეს. თავად უმრავლესობა კი ირწმუნება, საკითხი არათუ ჩავარდა, უბრალოდ, დროებით გადაიდო.

გავრცელებული ინფორმაციით, აეროპორტისთვის ყოფილი პრეზიდენტის სახელის მინიჭების საკითხი დაიბლოკა. როგოც ირკვევა, პროექტი დღის წესრიგიდან „რესპუბლიკური პარტიის“ მოთხოვნით მოიხსნა. მოტივაცია პროექტის უკეთ მომზადება იყო. „ეროვნულების“ ლიდერის სანდრო ბრეგაძის თქმით, საკითხის დაყენების წინააღმდეგი საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი იყო, რის გამოც საკომისიო მოსმენაზე ეს ინიციატივა დაიბლოკა.

სანდრო ბრეგაძე, „ეროვნულების“ ლიდერი:

– დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის სულში მხედრიონელობამ ხელახალი ძალით იფეთქა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე უარი თქვა. მე რამდენადაც გავიგე, ეს ადამიანი ამ საკითხის დაყენების მონინააღმდეგე იყო. აეროპორტის სახელის დარქმევა-გადარქმევა საკრებულოს მხედრიონელმა თავმჯდომარემ შეგნებულად გააკეთა, რათა როგორმე დაეკნინებინა ზვიად გამსახურდიას სახელი. მეორე მხრივ, როგორც ირკვევა, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ და საკრებულოში თავმოყრილმა „ნაც-მხედრიონის“ გუნდმა ერთი ცეცხლი დაანთო, რათა ეს საკითხი არ გასულიყო. ამ შემთხვევაში მაინტერესებს ერთი რამ, როგორ შეიძლება, რომ ივანიშვილის კოალიციაში „რესპუბლიკური პარტიის“ სახით იყოს ძალა, რომელიც ებრძვის ეროვნულ გმირს. მე ეს არასოდეს მითქვამს, არც ვაპირებდი თქმას, მაგრამ რესპუბლიკელების თავხედობისა და ამაზრზენი საქციელის შემდგომ უფლება მაქვს, განვაცხადო, რომ ივანიშვილმა, ჩვენი შეხვედრებისას, არაერთხელ მოგვცა პირობა, რომ არც რესპუბლიკელებს და არც სხვას, ვინც კოალიციაში იყო გაერთიანებული, არ მისცემდა იმის საშუალებას, რომ ებრძოლა გარდაცვლილი პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ. ხელისუფლებაში მოიყვანეს ის მტრული ძალა, რომელიც ებრძვის გარდაცვლილ პირველ პრეზიდენტს. ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილი სიტყვის კაცია. დიდი იმედი მაქვს, რომ „ეროვნული მოძრაობის“ ხალხთან ნათქვამ სიტყვას შეასრულებს და სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია საკითხის ჩავარდნას უარყოფს და აცხადებს, რომ მსგავსი ფაქტი საკრებულოს სხდომაზე არ დაფიქსირებულა. მისი განმარტებით, საკითხის განხილვა, უბრალოდ, გადაიდო. სამუშია არ გამორიცხავს, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭოს.

ჯაბა სამუშია: „საკითხი არ ჩავარდნილა. აქ საუბარია იმაზე, რომ მთავარ სხდომაზე უნდა მოხდეს ამის განხილვა“

ჯაბა სამუშია, საკრებულოს წევრი:

– საკითხი არ ჩავარდნილა. აქ საუბარია იმაზე, რომ მთავარ სხდომაზე უნდა მოხდეს ამის განხილვა.

– თუ ახლა ჩავარდა, მთავარ სხდომაზე როგორღა განიხილება?

– რიგგარეშე სხდომაზე უნდა გასულიყო საკითხი. უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ მთავარ სხდომაზე წამოვწევთ ამ თემას, რომელიც იქნება თვის ბოლოს.

– დღევანდელ სხდომაზე ვინ დააყენა ეს საკითხი?

– აქ საუბარია იმაზე, რომ ფრაქციებს შორის მომავალშიც გაგრძელდეს მსჯელობა. ამის გამო გადავწყვიტეთ, რომ ეს თემები განსახილველად დადგეს არა რიგგარეშე სხდომაზე, რომელიც ორშაბათს უნდა გაიმართოს, არამედ თვის ბოლოს პლენარულ სხდომაზე.

– ანუ გამორიცხული არ არის, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი დაერქვას?

– არ არის გამორიცხული.

რატომ ეშინიათ

ხათუნა მგალობლიშვილი

კახა კუკავა: „არასაპარლამენტო ოპოზიციამ რომ ერთიანი კანდიდატი დააყენოს, მეორე ადგილი გარანტირებული ექნება, ბაქრაძე ვერანაირად ვერ დაეწევა“

პრაიმერისის ჩატარების საკითხი არასაპარლამენტო ოპოზიციაში კვლავ აქტიურად განიხილება. როგორც იდეას, დღემდე ცოტა მომხრე და ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მოწინააღმდეგეების სია უკვე წლებია შეუცვლელია. ასეთ დროს ბურჯანაძე ყოველთვის ერთ პოზიციას ინარჩუნებს. ის თვლის, რომ მის ზერეიტინგს გამოკვლევა და შემოწმება არ სჭირდება. დაახლოებით ასეთივე ამაღლებული წარმოდგენისაა საკუთარ პროცენტებზე ლეიბორისტების ლიდერი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო არჩევნებში ნათელაშვილის პარტიამ სამარცხვინოდ დაბალი პროცენტი აიღო, აღნიშნულ თემაზე ის მაინც ტრადიციულ პასუხს იძლევა: „აქეთ შემომიერთდნენ...“

შეერთების იმედი არც თავად ლეიბორისტების ლიდერს აქვს, თუმცა ისიც, კუკავას მსგავსად, იხტიბარს არ იტეხს და მაინც სთავაზობს საკუთარ თავსაც და გზასაც ყველა დანარჩენს.

შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტების ლიდერი:

– პრაიმერისი ტარდება მთელ მსოფლიოში ერთი პარტიის ჩარჩოებში. მრავალპარტიულ პრაიმერისს ჰქვია არჩევნები.

– ანუ არ ხართ მომხრე, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციას ჰყავდეს ერთიანი კანდიდატი?

– მე ვარ მომხრე, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციამ მასობრივად დამიჭიროს მხარი, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს შანსი, დავიკავოთ საქართველოს პრეზიდენტის პოსტი და შემდგომ შევქმნათ საპარლამენტო ბლოკი ყველა პარტიის ერთობით და ამის შემდეგ გავიდეთ ეროვნული ერთიანობის მთავრობაზე. ეს არის ყველაზე რეალური გზა.

– თავის მხრივ, იგივე მოთხოვნას აყენებს ბურჯანაძეც. ამბობს, რომ მის ირგვლივ უნდა გაერთიანდნენ, რადგან ისიც ყველაზე ძლიერად თვლის თავს არასაპარლამენტო ოპოზიციაში. თუ თქვენ დარწმუნებული ხართ საკუთარ სიძლიერეში, რა ლოგიკით ამბობთ უარს პრაიმერისზე?

– პრაიმერისზე დათანხმების შემთხვევაში, გამოდის, კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებ საკუთარ რეიტინგს და თანაც კურთხევისთვის უნდა მივაკითხო იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ამას არ იმსახურებენ, საკუთარი განვლილი პოლიტიკური გზის გამო.

არასაპარლამენტო პარტიებიდან პრაიმერისის ჩატარების იდეით „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, კახა კუკავა გამოდის. ის მიიჩნევს, რომ პრაიმერისში მონაწილეობა სერიოზული გადაწყვეტილებაა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა პოსტსაარჩევნო პერიოდისთვის ექნება. თუმცა პრაიმერისს ერთი მთავარი მინუსი აქვს. ეს მინუსი ყველასთვის ერთია – მონაწილეობის შემთხვევაში ნებისმიერი მოთამაშე ბოლომდე წესების ერთგული უნდა დარჩეს. ანუ თუ კონკრეტული კანდიდატი ნააგებს, ის ვალდებული იქნება, მხარი დაუჭიროს იმ კანდიდატს, რომელიც მას სულაც არ ეხატება გულზე...

კუკავა თავადვე გამოთქვამს ეჭვს, რომ პრაიმერისი არ შედგება. ესეც ტრადიციად იქცა, იშვიათი გამონაკლისების გარდა. თუმცა შეთავაზება მაინც კეთდება და ის ძალაში მანამ იქნება, სანამ მისი ჩატარების ვადები იმოქმედებს...

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

– პრაიმერისის შეთავაზებას ის აზრი აქვს, რომ ქართულმა საზოგადოებამ უნდა დაინახოს, ვინ მონაწილეობს არჩევნებში წაგებისთვის და ვინ – მოგებისთვის. ვინც პრაიმერისში მონაწილეობაზე თანხმობას განაცხადებენ, მათ რეალურად სურთ მოგება, ვინც პრაიმერისზე უარს იტყვიან, ისინი არჩევნებში წაგებისთვის მიდიან. ეს ძალიან მარტივი ლოგიკაა. ხშირად ამბობენ პრაიმერისზე უარს იმ ლოგიკით, რომ: აი, მე ისედაც ყველაზე მაღალი რეიტ-

შალვა ნათელაშვილი: „პრაიმერისზე დათანხმების შემთხვევაში, გამოდის, კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებ საკუთარ რეიტინგს და თანაც კურთხევისთვის უნდა მივაკითხო იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ამას არ იმსახურებენ, საკუთარი განვლილი პოლიტიკური გზის გამო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

„დღეს ოპოზიციურ პარტიებს არც ერთს არ აქვს ნდობის მაღალი რეიტინგი“

„პრაიმერისი არის, პრინციპში, იგივე სოციოლოგიური კვლევა. უბრალოდ, მას ატარებს პოლიტიკური ძალა და თავისავე ჩატარებულ კვლევას ხომ უნდა ენდონ?“

ინგი მაქვს... ლოგიკურია, ვისაც ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, სწორედ მას უნდა აწყობდეს პრაიმერისის ჩატარებაც. შესაბამისად, ყველაზე მეტად წინააღმდეგი ის უნდა იყოს, ვისაც ყველაზე ნაკლები რეიტინგი აქვს. ვფიქრობ, ქართული საზოგადოებისთვის ეს ძალიან საინტერესო იქნება. დღეს ოპოზიციურ პარტიებს არც ერთს არ აქვს ნდობის მაღალი რეიტინგი. ხალხი მათ მხარს თუ დაუჭერს, დაუჭერს მხოლოდ ერთადერთი იდეის გამო – არასაპარლამენტო კანდიდატი მოვიდეს ხელისუფლებაში და ამით ზღვარი დაუდოს „ქართული ოცნების“ უუნარობასა და კორუფციას. ეს იდეაა საზოგადოებისთვის მომხიბვლელი და არა სხვა რომელიმე.

– კობა დავითაშვილი მზად არის, მონაწილეობა მიიღოს პრაიმერისში. ბურჯანაძის პოზიცია ასეთ დროს ყოველთვის ერთნაირია. მას მიაჩნია, რომ მის პოლიტიკურ რეიტინგს გაზომვა არ სჭირდება, ასევე ფიქრობს შალვა ნათელაშვილიც...

– ჩვენ ვნახეთ, რომ შალვა ნათელაშვილმა, მაგალითად, ბოლო არჩევნებში აჩვენა 3%. შუალედურ არჩევნებზე ყველამ ვნახეთ, ვინ რა როლს ასრულებდა, მე არ მინდა ურთიერთობა დავძაბო და ჩავშალო წინასწარვე, მაგრამ რეალურად ნაძალადევში არჩევნების მოგების შანსი მხოლოდ მე მქონდა. სხვადასხვა კანდიდატი ამ არჩევნებში ასრულებდა ერთ დავალებას, რომ ჩემთვის ხმები წაერთმია. ეს ხშირ შემთხვევაში გაცნობიერებული ნაბიჯი იყო, ზოგჯერ კი – გაუცნობიერებელი ქმედება. ვინც ამას გაცნობიერებულად აკეთებდა, ძალიან კარგად ვიცით, მას იბარებდნენ ერთ-ერთ სამინისტროში, დავალებებს აძლევდნენ, ფულსაც აძლევდნენ...

– ვის გულისხმობთ?

– ვისაც ვგულისხმობ, თავადაც მიხვდება და საზოგადოებაც... იყვნენ კანდიდატები, რომლებიც ამას გაუცნობიერებლად აკეთებდნენ.

– ახლა ვინ იმოქმედებს ასე შეგნებულად და დავალებით?

– არ მინდა ამის დასახელება, უბრალოდ, ვიტყვი, რომ ასეთებიც არიან და ისეთებიც, თუმცა შედეგი ხალხისთვის ორივე შემთხვევაში ერთნაირია. სულელი და ბოროტი პრეზიდენტად არც ერთ შემთხვევაში არ არის კარგი. აქედან გამომდინარე, ვისაც მოგება უნდა, ვინც რეალურად უყურებს პროცესს, რომ ეს უნდა მოხდეს ოპოზიციის ერთობით, ის უნდა გახდეს პრაიმერისის მონაწილე. ერთი კონტრარგუმენტი მაინც დამისახელოს ვინმემ, რატომ არ უნდა ჩატარდეს პრაიმერისი. საერთოდ, ბევრ ადამიანს აქვს სხვადასხვა ფაქტორები. ზოგს, უბრალოდ, აწუხებს გაუცნობიერებელი შიში. ამიტომ მე არ შევალ იმის განხილვაში, ვინ რატომ არიდებს თავს პრაიმერისს. ამ თემაზე დებატები რომ გაიმართოს, ვერავინ ოპონირებას ვერ გამიწევს. ერთი კონტრარგუმენტი მაინც ხომ უნდა არსებობდეს, რატომ არ უნდა გაიმართოს პრაიმერისი?

– მეთოდიკა რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მიზეზად?

– მეთოდიკაზე არ ვდაობთ, ჩვენ არ ვამბობთ, რომ მაინცდამაინც ერთი კონკრეტული მეთოდიკით უნდა გაიმართოს პრაიმერისი. 2010 წელს ჩვენ ჩავატარეთ პრაიმერისი და მაშინ მეთოდიკა იყო ძალიან დახვეწილი. გამოიკითხება, ვთქვათ, 5 ათასი ადამიანი, ყველა თავის საცხოვრებელ ბინაზე, და გამოიკვეთება რეალური სურათი.

– პრობლემაც ეს არის, რომ შემდეგ უნდა მოხდეს აღიარება...

– სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკით უნდა ჩატარდეს. აღიარების პრობლემა არის იმაში, რომ სოციოლოგიურ კვლევას აკეთებს ცალკე ადმინისტრაცია. პრაიმერისი არის, პრინციპში, იგივე სოციოლოგიური კვლევა. უბრალოდ, მას ატარებს პოლიტიკური ძალა და თავისავე ჩატარებულ კვლევას ხომ უნდა ენდონ? როცა თავად დამოუკიდებელი კანდიდატები ამბობენ, პირველ ადგილზე ვართ რეიტინგებშიო, ამ რეიტინგებს ხომ ადგენენ რაღაც კვლევებით? ჰოდა, ახლა ვთავაზობთ იგივე კვლევის ჩატარებას, უბრალოდ ერთობლივად.

– ერთმანეთისადმი ნდობა რამდენად ექნებათ ამ ძალებს, საცხოვრებელ ბინებზე ყველა პარტიის წარმომადგენელი ერთად ხომ არ ივლის?

– ყველა არა, შესაძლებელია, სამმა ან ოთხმა ადამიანმა იაროს. პრაიმერისის ერთადერთი კონტრარგუმენტი შეიძლება გახდეს ის, რომ მასში მონაწილეობისას შეიძლება წააგო და შემდეგ იძულებული გახდები, წესებს დაემორჩილო და მხარი დაუჭირო იმ კანდიდატს, რომელიც გაიმარჯვებს. არასაპარლამენტო ოპოზიციამ რომ ერთიანი კანდიდატი დააყენოს, მეორე ადგილი გარანტირებული ექნება, ბაქრაძე ვერანაირად ვერ დაეწევა. ასეთ შემთხვევაში მეორე ტურიც გარანტირებულია, პრინციპში.

– თქვენ აპირებთ, რომ პირადად შესთავაზოთ პრაიმერისი კანდიდატებს, თუ დაელოდებით მათ გამოხმაურებას?

– ეს იდეა მათთვის ცნობილია, თუ მათ მოტივაცია არ აქვთ, მე ვერ დავარწმუნებ მონაწილეობის აუცილებლობაში და მართალი რომ გითხრათ, ეს არც არის ჩემი ამოცანა. „თავისუფალი საქართველო“ ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება და ჩვენ ვფიქრობთ, ქართველმა ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ჩვენი პარტია არის ერთადერთი ძალა, რომელიც საზოგადოების ინტერესების გამტარებელია და არ არის ჩართული კორუფციულ და პარტიულ თამაშებში.

„ზოგს, უბრალოდ, აწუხებს გაუცნობიერებელი შიში. ამიტომ მე არ შევალ იმის განხილვაში, ვინ რატომ არიდებს თავს პრაიმერისს. ამ თემაზე დებატები რომ გაიმართოს, ვერავინ ოპონირებას ვერ გამიწევს. ერთი კონტრარგუმენტი მაინც ხომ უნდა არსებობდეს, რატომ არ უნდა გაიმართოს პრაიმერისი?“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ გახდება ივანი

ნინო დათაშვილი

ვინ დატოვებს მინისტრთა კაბინეტს

გია ხუხაშვილი: „პრემიერ-მინისტრის პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვეტილი საკითხი არ არის. მგონი, ძალიან ადრეა ამაზე საუბარი“

ვინ გახდება ბიძინა ივანიშვილის მემკვიდრე, ვინ ჩაიბარებს მისი წასვლის შემდეგ ეკონომიკურ გუნდს და როგორი იქნება ეს გუნდი? ვინ აგებს პასუხს ეკონომიკურ ვარდნაზე და ვინ არის ხელისუფლებაში სუსტი რგოლი?

ბიძინა ივანიშვილმა რამდენჯერმე, თანაც ოფიციალურად, თქვა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ წავა. სოციალურ ქსელში შესაძლო მემკვიდრედ ორი ფიგურა დასახელდა – ირაკლი ღარიბაშვილი და კახი კალაძე. კალაძე არაოფიციალურად საპრეზიდენტო კანდიდატადაც კი იყო დასახელებული.

თუმცა, მოულოდნელად ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ პრემიერის პოსტზე, სხვებთან ერთად, მისი კანდიდატურაც შეიძლება იყოს განხილული. ამით მან ისიც დაადასტურა, რომ ბიძინა ივანიშვილის წასვლას „ქართულ ოცნებაში“ უკვე სერიოზულად განიხილავენ, თუმცა ხმამაღლა საუბარს მაინც ერიდებიან.

ეკონომიკური გუნდის გარდა, საუბარია სხვა მინისტრების შეცვლაზეც. მაგალითად, თეა წულუკიანის, სოზარ სუბარის... აკრიტიკებენ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილსაც.

წულუკიანს – ეგრეთწოდებული სასამართლოს რეფორმების გამო; სოზარ სუბარს – ციხეებში მძიმე მდგომარეობის გამო; კბილაშვილს – ბაჩო ახალაიას გამართლებისთვის... მოკლედ, ყველას რაღაც აქვს „მოსაკითხი“. კითხვის ნიშნები აქვთ ეკონომიკური გუნდის მიმართაც. თუმცა, ექსპერტები ეკონომიკურ გუნდზე (ამ სფეროში მაჩვენებლების ვარდნის მიუხედავად) საუბრისას ზედმიწევნით კორექტულები არიან. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პასუხისმგებლობაზე რომ ვერაფერს იტყვიან, პასუხისმგებლობას აბსტრაქტულად აყენებენ.

ასეა თუ ისე, კვირიკაშვილის განმარტების მიუხედავად, ექსპერტები ბიძინა ივანიშვილის წასვლასთან დაკავშირებითაც ფრთხილობენ. ქართველი ექსპერტების სუსტი წერტილი პროგნოზია. ტრადიცია ჯერ უცვლელია: რასაც ისინი პროგნოზირებენ, როგორც წესი, არ ხდება. ამიტომაც, ახლა ურჩევნიათ, მოვლენებს წინ არ გაუსწრონ. მით უფრო, როცა საქმე თვით ბიძინა ივანიშვილს ეხება.

მაშ ასე, ქართველი ექსპერტების შეფასებები პრემიერის მემკვიდრესა და ეკონომიკურ გუნდზე.

გია ხუხაშვილი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:

– რამდენად შესაძლებელია პრემიერ-მინისტრის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, მისი თანამდებობა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დაიკავოს?

– პრემიერ-მინისტრის პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვეტილი საკითხი არ არის. მგონი, ძალიან ადრეა ამაზე საუბარი. ასეთი გადაწყვეტილება ასე ადრე არ მიიღება. პრემიერის წასვლა არცთუ ისე ახლო პერსპექტივაა. მით უმეტეს, კანდიდატურებზე საუბარი ნაადრევია.

– რაც შეეხება ეკონომიკურ ვარდნას, რომელიც ქვეყანაშია? ვინ შეიძლება ამაზე იყოს პასუხისმგებელი?

– პასუხისმგებელი, ნებისმიერ შემთხვევაში, ეკონომიკური გუნდი და საერთოდ, მთლიანად ხელისუფლებაა.

– როგორ ფიქრობთ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შესაძლებელია, შეიცვალოს ეკონომიკური გუნდი?

– პოლიტიკა უნდა განვიხილოთ დინამიკაში. პოლიტიკაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუმცა ჯერჯერობით ამის საჭიროებასა და ნიშნებს ვერ ვხედავ. საპრეზიდენტო არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი. მანამდე კიდევ ბევრი რამ მოხდება, ეკონომიკურ პროცესშიც ბევრი რამ შეიცვლება. არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. დღეის მდგომარეობით, ეს საკითხები, რაც, თქვენ მითხარით, ჯერჯერობით აქტუალური არ არის. თუმცა, რა ვითარება იქნება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, იქიდან გამომდინარე, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. პროგნოზის გაკეთებას დღეს ვერ დავიწყებ. ეს ყველაფერი დამოკიდებულია სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე.

– ყველაზე სუსტ რგოლად ვინ შეიძლება მივიჩნიოთ ეკონომიკურ გუნდში?

– გამიჭირდება ამაზე პასუხის გაცემა. ერთადერთი ჩემი თავი შემიძლია დავასახელო, თვითკრიტიკული ვარ, მაგრამ მე არ ვარ ეკონომიკური გუნდის წევრი. რაც შეეხება სამინისტროებსა და მინისტრებს, მე ყველა მომწონს ჯერჯერობით. ასე, კონკრეტიკაზე რომ ვილაპარაკოთ, მთავრობა არის სოლიდარული პასუხისმგებლობის ორგანიზმი და არ არსებობს ვიღაცის პასუხისმგებლობა ისე, რომ ის არ გადადიოდეს სხვებზეც. აქედან გამომდინარე, თავს შევიკავებდი, რომ ვიღაც უფრო სუსტად მოვიაზრო და ვიღაც – უფრო ძლიერად. საბოლოო ჯამში, ყველა პასუხისმგებელია ეკონომიკურ პროცესზე, ვინც ამაში მონაწილეობს.

– ეკონომიკური ვარდნის მიზეზი რა შეიძლება იყოს?

– ამას ძალიან ბევრი მიზეზი აქვს. პირველ რიგში, იმის მიზეზი, რაც დღეს ხდება, არის ის მძიმე მემკვიდრეობა, რაც ჩვენ დაგვიტოვეს. ქვეყანაში ჩამოყალიბებული იყო მახინჯი ეკონომიკური ურთიერთობები, რასაც გრძელვადიანი პერსპექტივა არ ჰქონდა. მოკლე ვადაში ფასადური კეთილდღეობის ჩვენება შეეძლოთ, მაგრამ სისტემური პრობლემები იყო. ეკონომიკური ურთიერთობები გრძელვადიან პერსპექტივაზე არ იყო გათვლილი. ეკონომიკა არ იყო ჯანსაღი და ამის რეკონსტრუქციას დიდი დრო სჭირდებოდა. ეს დრო იმან წაიღო, რომ ნორმალური და ჯანსაღი ურთიერთობები დამყარებულიყო ბიზნესსეგმენტსა და ხელისუფლებას შორის, შექმნილიყო კონკურენტული გარემო და პოლიტიკური რისკები ჩამოშორებოდა ამ ურთიერთობებს. ეს მოსამზადებელი სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია და მე ვფიქრობ, რომ უახლოეს პერიოდში ეკონომიკა გამოცოცხლებას დაიწყებს.

ემზარ ჯგერენაია, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:

– სიმართლე გითხრათ, მგონია, რომ კვირიკაშვილის შესაძლო გაპრემიერება ჯერჯერობით ჭორია. შესაძლებელია, რომ სხვა კანდიდატებიც იყვნენ.

– მაგალითად, ვინ?

– ვერ გეტყვით. ალბათ, ძალოვნებიდან. ჯერ გიორგია ვიცე-პრემიერი. პრემიერის თანამდებობა არ არ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ

ᲔᲛᲖᲐᲠ ᲯᲒᲔᲠᲔᲜᲐᲘᲐ:
„ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ“

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

EXCLUSIVE

ის, უბრალოდ, ეკონომიკური გუნდი, პრემიერის თანამდებობა, ახალი კონსტიტუციის თანახმად, საკმაოდ პოლიტიკურია, რომელსაც უფრო დიდი პოლიტიკური გამოცდილება და პოლიტიკური ალღო სჭირდება, ვიდრე გიორგის აქვს.

– გავრცელებული ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურაც განიხილება...

– ალბათ.

– უნდა ველოდოთ თუ არა, ეკონომიკური გუნდის ცვლილებას და ვინ შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე სუსტი რგოლი, ვინც შეიცვლება?

– ამ ეტაპზე ამას გამოვრიცხავ.

– არჩევნების შემდეგ მოსალოდნელი არ არის ეკონომიკური გუნდის ცვლილება?

– 2013 წლის განმავლობაში, მგონი, არ შეიცვლება და 2014-ში ვნახოთ.

– რაც შეეხება ეკონომიკურ ვარდნას, ამ შემთხვევაში ვინ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი?

– ამ შემთხვევაში ეს მარტო ერთი მინისტრის პრობლემა არ არის. ეს არის მთელი გუნდის პრობლემა და ეკონომიკური ზრდის საკითხები მთელი მთავრობის მასშტაბით უნდა განიხილებოდეს და არა ერთი რომელიმე პიროვნების მაგალითზე. აქ ლაპარაკია ფუნდამენტურ საკითხებზე, რომელსაც ღრმა კვლევა და საკმაოდ სერიოზული მუშაობა სჭირდება. ეკონომიკის ვარდნა ერთი მინისტრის დონეზე არ ხდება.

– სწორედ ამიტომ ხომ შეიძლება მოხდეს ეკონომიკური გუნდის ცვლილება?

– მარტო ეკონომიკური გუნდი არ არის პასუხისმგებელი ამაზე. ეკონომიკური გუნდი ორი-სამი ადამიანია.

– თქვენ რას უკავშირებთ ეკონომიკურ ვარდნას?

– ამას ძალიან ბევრი გარე და შიდა მიზეზი აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანია ორხელისუფლებიანობა, მოლოდინის რეჟიმი, გარე ინვესტიციების არარსებობა და შიდა ეკონომიკური რეფორმების განხორციელების დაგვიანება. ეს საკმაოდ ღრმა საუბრის თემაა. ეს ერთი და ორი ფაქტორით არ არის გამოწვეული. თუ პოლიტიკურ პროპაგანდაზეა ლაპარაკი, ეს სხვა რაღაცაა. თუ არადა, ეს ფუნდამენტური პრობლემებია, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული და ბუნებრივია, სერიოზულ სტრუქტურულ ცვლილებებს მოითხოვს.

კახი კახიშვილი, საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დირექტორი:

– რამდენად შესაძლებელია, პრემიერ-მინისტრის წასვლის შემდეგ მისი თანამდებობა გიორგი კვირიკაშვილმა დაიკავოს?

– რამდენად შესაძლებელია, ამას ვერ გეტყვით. დღეს ვერ ვიმსჯელებ ამაზე. შესაძლებელია, კვირიკაშვილმაც დაიკავოს და შესაძლებელია, ბევრმა სხვა ადამიანმაც დაიკავოს. მე ამაზე ვარაუდს ვერ გამოვთქვამ.

– რამდენად მოსალოდნელია საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ეკონომიკური გუნდის ცვლილება?

– მე ვფიქრობ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არა მხოლოდ ეკონომიკური გუნდის ცვლილება იქნება საჭირო, არამედ მთავრობის გადახალისების საკითხი დადგება დღის წესრიგში. რომელ მინისტრს დატოვებენ და რომელს – არა, ჯერ არ ვიცი. ფაქტია, რომ გარკვეული მინისტრები აღარ იქნებიან წარდგენილი მინისტრების პოსტზე.

– ეკონომიკური ვარდნის გამო, რაც ქვეყანაშია, ვისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს?

– რაც შეეხება თვითონ ვარდნას, მე ამას ვუკავშირებ იმ გარდამავალ პერიოდს, რომელიც არის ქვეყანაში. კერძოდ, ცხრა წლის განმავლობაში საშუალო ფენა მიზანმიმართულად მოისპო „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, ხოლო ის ბიზნესმენები, რომლებიც საქართველოში ეკონომიკურ ამინდს ქმნიდნენ, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული „ნაცმოძრაობის“ ელიტასთან და, ფაქტობრივად, მათი ქოლგის ქვეშ მუშაობდნენ. აქედან გამომდინარე, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ბუნებრივია, ის ბიზნესმენები შემდეგ დაიბნენ. აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ნაწილმა დაიწყო თავისი აქტივების გაზიდვა საზღვარგარეთ, ნაწილმა მოძებნა ახალი გზები და ახალი წყაროები, ნაწილი დაბნეულია. ჩემი აზრით, ამან გამოიწვია ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ბიზნესელიტა დღეს დაბნეულია.

– როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, ამ დროს ეკონომიკის მინისტრის დაწინაურება რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა?

– მე არ ვარ ეკონომიკის ექსპერტი, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, ვხედავ, რა ხდება ჩემ გარშემო. ჩემ გარშემო ხდება ის, რომ ბანკები, რომლებიც უნდა კვებავდნენ ბიზნესმენებს, ახლა არანაირ კრედიტს არ იძლევიან. საიდან უნდა განვითარდეს ბიზნესი? ერთი მხრივ, საქართველოს მოსახლეობა გაკოტრებულია „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობის გამო, საშუალო ფენა გაანადგურეს და ფული თვითონ ჩაიდეს ჯიბეში. ახლა მითხარით, რა უნდა გაეკეთებინა ეკონომიკის მინისტრს რვა თვის განმავლობაში? რატომ შეიძლება დადგეს კვირიკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი, ამას მე ვერ გეტყვით. ამაზე ეკონომიკის ექსპერტებმა უნდა იმსჯელონ.

კახი კახიშვილი: „ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არა მხოლოდ ეკონომიკური გუნდის ცვლილება იქნება საჭირო, არამედ მთავრობის გადახალისების საკითხი დადგება დღის წესრიგში“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!

სიახლე ავიაკომპანია
აირზენასგან!

1 აგვისტოდან
ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფეხმოკვეთილ, დასნეულებულ ქალს პირველი ჯგუფის ინვალიდის სტატუსს არ აძლევენ

ნანა დათაშვილი

72 წლის ვენერა კარიბოვი 8 წელია, შვილთან ერთად, ავლაბარში, ერთ ოთახში, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. მათი ყოველთვიური შემოსავალი, მხოლოდ მოხუცის პენსია და დედა-შვილის სოციალური დახმარებაა, რომელიც ჯამში 150 ლარს შეადგენს. ოჯახი აქედან 100 ლარს ქირაში იხდის. ვენერა კარიბოვი მეორე ჯგუფის ინვალიდია, რის გამოც შვიდი წელია მერია მას ბინით უზრუნველყოფაზე უარს ეუბნება. იმისთვის, რომ კარიბოვამ ბინა მიიღოს პირველი ჯგუფის ინვალიდის საბუთია საჭირო, რომელსაც ის 7 წელია უშედეგოდ ელოდება. მოხუცს, რომელსაც მოკვეთილი აქვს ფეხი, ამოჭრილი აქვს კუჭი, გადატანილი აქვს ინსულტი, რის გამოც მას მეტყველება და ზოგჯერ აზროვნება უჭირს, უარს ეუბნებიან პირველი ჯგუფის ინვალიდის სტატუსის მინიჭებაზე. ეუბნებიან, რომ ის არ აკმაყოფილებს პირველი ჯგუფის ინვალიდისთვის საკმარის კრიტერიუმებს. ბოლო იმედი კარიბოვისთვის ახალი ხელისუფლება და ჯანდაცვის ახალი მინისტრი დავით სერგეენკო იყო. მოხუცი ჯანდაცვის სამინისტროში რამდენჯერმე მივიდა, თუმცა მინისტრთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. სერგეენკოს უწყებაში მისულს განუცხადეს, რომ მინისტრი ქვეყანაში არ იმყოფებოდა.

- ჩემი ოჯახის გაჭირვება 2007 წლის დეკემბერში დაიწყო. 9 დეკემბერს გავიკეთე კუჭის ოპერაცია, ათი დღის შემდეგ კი - ფეხის, განგრენა მქონდა. ფეხი მომაჭრეს. იქიდან გამომდინარე, რომ ოპერაციის გასაკეთებლად სახსრები არ გვქონდა, ბინა გავყიდეთ. შემდეგ ინსულტმა დამარტყა. ამის გამო მეტყველებაც მიჭირს. ყოველ სამ თვეში ერთხელ მიკროინფარქტის გადატანა მიწევს. ამ ყველაფრის შემდეგ ბინა ვიქირავეთ. მეტის გადახდის საშუალება რომ არ გვქონდა, ამ ოთახში შემოვსახლდით. თქვენც ხედავთ, რომ აქ არანაირი პირობები არ არის საცხოვრებლად. ზამთარში ისე წვიმს აქ, როგორც გარეთ. სოციალურ დახმარებაზე და ჩემს პენსიაზე ვართ, რაც ქირაში და დენის გადასახადში გვეხარჯება. ფაქტობრივად მშივრები ვართ. ჩემი შვილი უმუშევარია. სადმე კერძო სამუშაო თუ გამოჩნდება, იქ მუშაობს. ახლა მკერდზე მაქვს კისტა და ამის ოპერაციაც მჭირდება, მაგრამ არანაირი სახსრები არ მაქვს. თან, არა მგონია, 72 წლის ქალმა კიდევ ერთი ოპერაცია გავიკეთო. თავის დროზეც არ გავიკეთებდი სხვა ოპერაციებს, თუ მეცოდინებოდა, რომ ასეთ უკიდურეს გაჭირვებაში ვიცხოვრებდი.

- მერიიდან თუ იყვნენ თქვენთან მოსულები? ნახეს რა პირობებში ცხოვრობთ?

- ბევრჯერ იყვნენ მოსულები. ფოტოებიც გადაიღეს, მაგრამ უშედეგოდ. 2007 წლიდან ვდგავარ მერიაში... რაღაც მიზეზებს ეძებენ და მომიყვანეს აქამდე სახლ-კარის გარეშე. ბოლოს რომ ვიყავი, გია მამრიკიშვილმა მკითხა, პირველი ჯგუფის ინვალიდი ხარო? ვითომ არ იცოდა, რომ მეორე ჯგუფი ვიყავი. მითხრა, პირველი ჯგუფის ინვალიდი რომ იყო, შეგიყვანდი ბინაშიო. 1990 წლიდან ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი.

- რა მიზეზით არ გაძლევენ პირველი ჯგუფის ინვალიდის საბუთს?

- რამდენი წელია ვწვალობ, რომ ეს საბუთი მომცენ. სხვადასხვა მიზეზებს მისახელებენ. ბოლოს, მერიიდან გამაგზავნეს, თვითონ მომცეს მისამართი, სადაც უნდა ამეღო საბუთი, რომ პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ. როდესაც მივედი, დაინახეს, რომ ფეხი არ მქონდა, თან მქონდა დამადასტურებელი მოწმობა, რომ კუჭი მქონდა ამოჭრილი. მოვიდა ჩემთან ერთი ადამიანი, ალბათ, ვისაც უნდა მოეცა ჩემთვის პირველი ჯგუფის ინვალიდის მოწმონა და მკითხა, მეორე ფეხზე რამე ხომ არ გჭირსო? ვაჩვენე, რომ დაწითლებული მქონდა. მითხრა, კიდევ რაიმე ავადმყოფობა რომ ყოფილიყო, მაშინ მოგცემდით პირველი ჯგუფის ინვალიდის საბუთსო. ახლა არ გეკუთვნითო. მითხარით, როგორი უნდა ვიყო, რომ ეს საბუთი მომცენ. ამაზე უარესად როგორ უნდა ვიყო?

- ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ თუ მიმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს თქვენი პრობლემის თაობაზე?

- ვიყავი მისული ჯანდაცვის სამინისტროში. სერგეენკოსთან მინდოდა გასაუბრება. მითხრეს, ამერიკაშიაო. არ ვიცი, მართალი მითხრეს თუ არა. აღარც ახალი მთავრობის იმედი არა მაქვს.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გუგული მაღრაძის თქმით, ამ ეტაპზე კანონში, რომელიც ინვალიდების უფლებების დაცვას არეგულირებს, ცვლილება არ იგეგმება. შესაბამისად, ჯერჯერობით არ გადაიხედება კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელი ჯგუფის ინვალიდის სტატუსი უნდა მიენიჭოს ამა თუ იმ ადამიანს.

გუგული მაღრაძე, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე:

- ვენერა კარიბოვის საქმეს პირადად მე არ ვიცნობ. თუ ეს ადამიანი თვლის, რომ უსამართლოდ არ აძლევენ პირველი ჯგუფის ინვალიდის საბუთს, მოგვმართოს განცხადებით. პარლამენტში მოიტანოს მისი ავადმყოფობის მოწმობები, პასუხები, თუ რატომ უთხრეს უარი პირველი ჯგუფის ინვალიდის სტატუსის მინიჭებაზე, შემოიტანოს ეს ყველაფერი პარლამენტში გუგული მაღრაძის სახელზე და გპირდებით, რომ მე პირადად განვიხილავ მის საქმეს. თუ ვერ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რაც კანონით დადგენილია პირველი ჯგუფის ინვალიდისთვის, მაშინ ამ კრიტერიუმებს ვერავინ გადაახტება.

- ამ ადამიანს მოკვეთილი აქვს ფეხი, არ აქვს კუჭი, გადატანილი აქვს ინსულტი... ამ შემთხვევაში შეიძლება თუ არა, რომ მას ჰქონდეს პირველი ჯგუფის ინვალიდის სტატუსი?

- არ ვიცი, ვერ გეტყვით. ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამინისტროში არის კომისია, რომელიც ადგენს ინვალიდობის ჯგუფს.

- ხომ არ იგეგმება ინვალიდების დაცვის კანონის გადახედვა და იმ კრიტერიუმების შეცვლა, რომლითაც დგინდება თუ ვინ შეიძლება იყოს პირველი ჯგუფის ინვალიდი?

- კრიტერიუმის შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლია. იმ შემთხვევაში თუ დაგროვდება მსგავსი შემთხვევები, როდესაც მეორე ჯგუფის ინვალიდებს ექნებათ, მეორე ჯგუფის ინვალიდისთვის დამაკმაყოფილებელ კრიტერიუმზე მეტი, შეიკრიბება სახელმწიფო კომისია და იმსჯელებს კრიტერიუმების შეცვლაზე. ამ კრიტერიუმების დადგენაზე თავის დროზე მთელი სამინისტრო მუშაობდა. ეს არის ძველი კრიტერიუმები. თუ სამინისტრო ამას საჭიროდ ჩათვლის, შესაძლოა, იმსჯელონ მის შეცვლაზე. ერთი ადამიანის გამო ეს ვერ მოხდება. ეს ძალიან რთული პროცესია, რასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. თუ ეს ქალბატონი მეორე ჯგუფის ინვალიდის კრიტერიუმებზე მეტს აკმაყოფილებს, მაშინ დაწეროს წერილი ჩვენს სახელზე და გპირდებით, პირადად მე განვიხილავ მის საქმეს.

ვენერა კარიბოვი: „მითხრეს, კიდევ რამე დაავადება რომ გჭირდეს, მოგცემდითო, კუჭი მაქვს ამოჭრილი, ფეხი მოკვეთილი და კისტაც მაქვს მკერდზე“...

გუგული მაღრაძე: „კრიტერიუმის შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლია. იმ შემთხვევაში თუ დაგროვდება მსგავსი შემთხვევები... შეიკრიბება სახელმწიფო კომისია და იმსჯელებს კრიტერიუმების შეცვლაზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

bazarr

„სიმინდის კუნძული“ წყალსაცავმა დაფარა

„2 წელი ვეძებდი 14-15 წლის გოგონას. საქართველოს მასშტაბით ყველა ამ ასაკის გოგო მე მგონი ნანახი მყავს. მერე ინტერნეტში ფოტოზე ვნახე... და ერთკვირიანი გამოძიების შედეგად, როცა უკვე პოლიციაც და განათლების სამინისტროც ჩავრთეთ ძებნაში, ვიპოვე. მარიამი ცხინვალთან, კონფლიქტის ზონასთან ახლოს ცხოვრობს“. ბაბუას როლში თურქი ილიას შაუმანი თამაშობს. რეჟისორმა ახლახან მეორე თურქი მსახიობიც აარჩია. კამერ ლევენტი ფილმში აფხაზების ოფიცერთა მეთაურს ითამაშებს.

მთელი ფილმი ტყიბულის წყალსაცავზე მიმდინარეობს. გადამღები ჯგუფი შემოდგომის დადგომას ელოდება, სიმინდის აღების დროს. გადაღება შუა სექტემბერში განახლდება. წინ 35 გადასაღები დღე ელით.

თამარ გონგაძე

„გაზაფხულზე მდინარე ენგურში წყალდიდობისას პატარა კუნძული წარმოიქმნება. აფხაზი გლეხი გადაწყვეტს, რომ ამ კუნძულზე სიმინდი მოიყვანოს. და თავის შვილიშვილთან ერთად მიწის დამუშავებას და სიმინდის მოყვანას იწყებს. ფილმში, მოგვიანებით, ჩნდება მესამე მთავარი გმირი, ქართველი სასაზღვრო პოლიციელი, რომელიც კუნძულზე დაჭრილი ხვდება. სამივე პატარა ჩაკეტილ სამყაროში აღმოჩნდება - კუნძულზე. ძირითადი დრამატურგიული კონფლიქტიც ამ სამ პერსონაჟს შორის ვითარდება“, - ფილმის ანოტაციას გვიყვება გიორგი ოვაშვილი, რომელსაც გადაღება დაწყებული აქვს. ახლა ისევ კასტინგს აწყობს. უნდა, რომ მეორეხარისხოვანი როლებისთვის ტიპაჟები აარჩიოს. „სიმინდის კუნძული“ - ასე ჰქვია ფსიქოლოგიურ დრამას, რომელიც კოპროდუქციაა და მის გადაღებაში, საქართველოს გარდა ჩართულია ფრანგული, გერმანული, ყაზახური და შვეიცარიული მხარე, ასევე, „ევრიმაჟი“. ფილმის სცენარის ავტორი (ნუგზარ შატაიძესთან ერთად) რეჟისორი გიორგი ოვაშვილია. გიორგის კარგად იცნობს ქართველი (და არა მხოლოდ) მაყურებელი ფილმით „გაღმა ნაპირი“, რომელმაც უამრავი კინოფესტივალი მოიარა და ბევრი პრიზის მფლობელია. რეჟისორი „სიმინდის კუნძულისთვისაც“ დიდი ხანი ეძებდა მთავარი როლის შემსრულებელს, ამჯერად გოგონას. მარიამ ბუთურიშვილის ფოტო გიორგიმ, ორწლიანი ძებნის შემდეგ, შემთხვევით, ინტერნეტში იპოვა.

გიორგი ოვაშვილი: „უხვნალექიანობის გამო წყალსაცავში წყლის დონემ აიწია და ჩვენი კუნძული წყლის ქვეშ მოექცა. ეს ფაქტი გარკვეულწილად გვაფერხებს. იმედი გვაქვს, სექტემბერში დონე დაიწევს. წყლის დონის რეგულირებაში „ენერგო პრო ჯორჯია“ გვეხმარება“.

- შეგიძლიათ რაიმე უწინასწარმეტყველოთ ამ ფილმს? წარმატების მხრივ „გაღმა ნაპირის“ ბედს გაიზიარებს?

- ამ საკითხებზე საერთოდ არ ვფიქრობ. მთავარია სამუშაოზე ვიყო კონცერტირებული და ასეთმა ფიქრებმა ჩემი კონცენტრაცია არ გაფანტოს. ვცდილობ, პროგნოზები არ გავაკეთო.

ფილმი ეკრანზე 2014 წლის შემოდგომაზე გამოვა.

ლიზა ბაგრატიონი და ქართველი

my View
დეა თავგერიძე

მაყურებელი ფეხზე იდგა, დარბაზში კი შეძახილები არ წყდებოდა... უკრაინამ ლიზა ბაგრატიონი პირველივე სიმღერით შეიყვარა. თითქმის ყველა კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა. „ეს ქართველთა გენის ბრწყინვალეებაა, თავიდან აღმოვაჩინეთ ეს ქვეყანა“! -აღფრთოვანებას ვერ მალავდა ქართველი შემსრულებლების მოსმენის შემდეგ თეატრში მისული მაყურებელი. ლიზასთან ერთად სცენაზე იდგნენ ნატო მეტონიძე, დავით შამანაური (საყვირი), ლევან დეისაძე (ბასი) და „შვიდკაცა“. სევასტოპოლისა და იალტის ცნობილ დარბაზებში ქართველი კლასიკოსი კომპოზიტორების: რევაზ ლაღიძის, ბიძინა კვერნაძის, გია ყანჩელის, გიორგი ცაბაძისა და ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები ყირიმის აკადემიური სიმფონიური ორკესტრის თანხლებით შესრულდა. სადირიჟორო პულტთან ნიკოლოზ რაჭველი იდგა. ასევე შესრულდა უკრაინული სიმღერები, რუსული რომანსები და ლიზა ბაგრატიონისთვის საგანგებოდ შექმნილი რამდენიმე ბრიტანული ბალადა.

ლიზა ბაგრატიონი: „უკრაინის ტურნეში ჩვენ ქართულ კულტურას წარმოვადგენთ, ძალიან მახარებს ეს ერთობლივი მუშაობა და ქართული და უკრაინული კულტურის დაკავშირება. ვიმედოვნებ, რომ ეს ურთიერთობა გაღრმავდება, მახარებს ის ფაქტი, რომ ასე სიყვარულით მიგვიღეს. პატარა გოგოსავით ვღელავდი, თითქოს სცენაზე პირველად გავდიოდი. ყირიმის სიმფონიურ ორკესტრთან სულ სამი რეპეტიცია გვქონდა, მაგრამ პირველივე რეპეტიციიდან მივხვდით, რომ ჩვენ ერთმანეთს გავუგეთ. სიმღერაში ყველაზე მთავარი გულწრფელობაა და ჩვენ, ვინც ამ სცენაზე ვდგავართ დიდი სიყვარულით ვმღერით. ჩვენ მოვახერხეთ ამ დიდი სიყვარულის განაწილება. მიხარია, რომ შესანიშნავი საღამოები ჩატარდა. ჩემთან ერთადაა უნიჭიერესი და გენიალური მუსიკოსი ნიკოლოზ რაჭველი. ასევე არაჩვეულებრივი და როგორც მე მას ვუწოდებ, ჩემი ყველაზე საყვარელი მომღერალი ნატო მეტონიძე, ბრწყინვალე ანსამბლი „შვიდკაცა“, ისინი უკრაინულ სიმღერებსაც შეასრულებენ. ჩვენი მთავარი მესიჯი**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გეორგ კიახიდი: „ასეთი მუსიკის მოსმენის საშუალება რომ მოგეცა, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა არ დამივიწყა!“

EXCLUSIVE



გეორგ კიახიდი: „აღფრთოვანებული ვარ ლიზა ბაგრატიონით, მისი დახვეწილი სასიმღერო კულტურით, ნატო მეტონიძის გასაოცარი ხმით, „შვიდკაცათი“, რომელმაც საუკეთესოდ წარმოუდგინა მსმენელს ქართული ფოლკლორი, როგორ მოუარეთ ქართველებმა ასე თქვენს საგანძურს“...

სიყვარულია, რომელსაც ყველა იმ ენაზე გადმოვცემთ, რომელზეც სიმღერა შეგვიძლია. ეს სიყვარულისა და სიმღერის ზეიმია“.

ასეთივე ზეიმის მოწყობა ლიზა ბაგრატიონმა რამდენიმე თვის წინ ესტონეთშიც შეძლო. მსმენელის ოვაცია და ხმამაღალი ბრავოები ტალინშიც უხვად იყო. ესტონეთში გამგზავრებამდე კი ნიკოლოზ რაჭველი ამბობდა: „დარწმუნებული ვარ, რომ პირველი ბგერა, რომელსაც ლიზა აუდიტორიას გაუზიარებს, ისეთი თბილი და მუსიკალური იქნება, რომ ამ ყველაფერს დარბაზიდან სწორედ ასეთივე სითბოთი, ოვაციითა და მოწონებით დავიბრუნებთ“. მართლაც, ესტონეთის დედაქალაქში ლიზა ბაგრატიონის სოლო კონცერტი იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ მალევე უკრაინული ტურნეც დაიგეგმა.

ლიზა ბაგრატიონი: „ტალინის კონცერტი, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენთაგანისთვის დასამახსოვრებელი იყო, საღამოს ჩვენი უსაყვარლესი გია ყანჩელი დაესწრო, რაც ჩვენთვის უდიდესი ბედნიერება და მხარდაჭერა გახლდათ, როდესაც მისი ნაწარმოები შესრულდა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ასე გამოხატა პატივისცემა ბატონ გიას მიმართ. ასევე შთამბეჭდავი იყო, როდესაც კონცერტის დასასრულს ნიკა რაჭველი წარადგინეს, ძალიან მოეწონათ მისი საორკესტრო ვერსიები და როგორც მაესტროს, განსაკუთრებული პატივი მიაგეს“...

მაესტროს, სხვა ქართველ შემსრულებლებთან ერთად პატივის მიგება არც უკრაინაში დაჰკლებია. როგორც თეო ჯორბენაძე ამბობს, საკმაოდ თბილი და მადლიერი აღმოჩნდა აქაური მაყურებელი.

თეო ჯორბენაძე: „პირველივე აკორდიდან ისეთი ოვაციით დააჯილდოვეს ჩვენი მაესტრო ნიკოლოზი, რომ ყველა მონაწილეს ერთ წამში გადაედო ეს განწყობა. ლიზა ისეთი ლამაზი იყო, რომ დიდძალი აპლოდისმენტები გამოსვლისთანავე, სიმღერის დაწყებამდე მიიღო. კონცერტის შემდეგ კი ავტოგრაფისთვის თეატრის ფოიეში რიგი ჩაუმწკრივდა. ნატო მეტონიძე, დათო შამანაური, ლევან დეისაძე და „შვიდკაცა“ რომ გვასახელებდნენ ეს ისედაც ცხადია. ყირიმის სიმფონიური ორკესტრის ჩელომ კონცერტის შემდეგ მითხრა – დღევანდელმა საღამომ დამარწმუნა, რომ ასეთი მუსიკის მოსმენის საშუალება რომ მომეცა და ასეთი შესრულებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა არ დამივიწყაო“.

ნატო მეტონიძე: „დიდი ხანია ასეთი თბილი მაყურებელი არ შემხვედრია. ველოდი ემოციებს, მოწონებასაც, მაგრამ ასეთს ნამდვილად არა. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო ამ სცენაზე გამოსვლა. ძალიან თბილები აღმოჩნდენენ, თითქოს ძალიან დიდი ხანი არ მოუსმენიათ ქართული სიმღერა, მონატრებულები იყვნენ. არაჩვეულებრივ ფორმაშია ლიზა, ძალიან საინტერესო რეპერტუარით. რამდენიმე ახალი სიმღერა დაუმატებიათ და კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო. მაგრამ ხალხის ემოცია იყო ჩემთვის მოულოდნელად შთამბეჭდავი“.

ნიკოლოზ რაჭველი: „ყოველთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რა პუბლიკა ზის დარბაზში. ჩვენი რეპერტუარი ეს არის მუსიკა, რომელიც ყველაზე მეტად კლასიკური მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას უყვარს. ორკესტრმა, კონცერტამდე გამაფრთხილა - სევასტოპოლში არაჩვეულებრივი მუსიკალური საზოგადოებაა. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო ის დადებითი რეაქციები, რომელიც დარბაზიდან გვიბრუნდებოდა. დიდი ბედნიერებაა, როდესაც შეიგრძნობ, რომ იმ ენერგიას, რომელსაც სოლისტებთან და ორკესტრთან ერთად დებ და დარბაზში უშვებ, შემდეგ სიყვარულით უკანვე გიბრუნდება“.

გეორგი კიახიდი, რასტრაპოვიჩის მოსწავლე, ყირიმის სიმფონიური ორკესტრის კონცერტმეისტერი: „უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ ასეთი მუსიკა მოვისმინე, ძალიან მიყვარს საქართველო და მის კულტურასაც კარგად ვიცნობ, მაგრამ ასეთ მაღალ მუსიკალურ რანგს არ ველოდი, აღფრთოვანებული ვარ ლიზა ბაგრატიონით, მისი დახვეწილი სასიმღერო კულტურით, ნატო მეტონიძის გასაოცარი ხმით, „შვიდკაცათი“, რომელმაც საუკეთესოდ წარმოუდგინა მსმენელს ქართული ფოლკლორი, როგორ მოუარეთ ქართველებმა ასე თქვენს საგანძურს... საერთოდ, კონცერტის ყველა მონაწილემ უდიდესი სიხარული მომანიჭა. არც ისე ახალგაზრდა ვარ და ჩემი კარიერის მანძილზე არა ერთ მუსიკოსთან და დირიჟორთან მომიწია თანამშრომლობა, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ კიდევ მომიწევდა ისეთ უდიდეს ტალანტთან და პროფესიონალთან შეხება, როგორიც თქვენი მაესტრო ნიკოლოზ რაჭველია. იგი თავისი დამოკიდებულებით მუსიკისადმი და თითოეული ორკესტრანტისადმი მაესტრო რასტრაპოვიჩს მაგონებს, ნამდვილად არ მეგონა, რომ დიდ მაესტროს ოდესმე ვინმე მომაგონებდა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ დღეს მოვესწარი, ეს იმას ნიშნავს რომ ღმერთს ჯერ არ დავვიწყებივარ“.

თეატრში შეკრებილმა მაყურებელმა ქართული ღვინო „ბადაგონიც“ დააგემოვნა და საღამოს დასასრულს ბევრმა მათგანმა კონცერტის მონაწილეებისა და საქართველოს სადღეგრძელოც შესვა. განსაკუთრებული ოვაციები „თბილისოს“ შესრულებას მოჰყვა, მსმენელი საკუთარ ემოციას აღფრთოვანებული შეძახილებითა და ხანგრძლივი აპლოდისმენტებით გამოხატავდა. იალტაში კონცერტს ქალაქის მერი, ყირიმის კულტურის მინისტრი და უკრაინის შსს მინისტრის ოჯახი დაესწრო.

ტურნეს ფარგლებში პირველი კონცერტი 14 აგვისტოს სევასტოპოლის ლუნაჩარსკის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართა, 16 აგვისტოს იალტის ჩეხოვის სახელობის აკადემიურ თეატრში, 17 აგვისტოს კი ქართველ შემსრულებლებს პორტო დი მარეს საკონცერტო არენამ უმასპინძლა.

ნიკა რაჭველი: „ბედნიერებაა, როდესაც შეიგრძნობ, რომ იმ ენერგიას, რომელსაც სოლისტებთან და ორკესტრთან ერთად დებ და დარბაზში უშვებ, შემდეგ სიყვარულით უკანვე გიბრუნდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სვანეთი - ტურისტებ

my View
დეა თავგერიძე

სვანეთში მოგზაურობა თვეების წინ დავთქვით, როგორ სვანეთი არ გინახავს?! – მკითხა ლაშა ონიანმა. შემდეგ კი გიდობაც ითავა. უამრავი შოუ-პროგრამის რეჟისორი და სცენოგრაფი, უკვე ათეული წლებია, უცხოეთში დადგმული სანახაობებით, უცხოელებს საქართველოს აცნობს. სწორედ მის მიერ ორგანიზებულმა ქართულმა ცეკვებმა და სიმღერებმა „აიძულა“ ბევრი საქართველოში ჩამოსულიყო. ერთ-ერთმა კი უშგულის ნახვის შემდეგ თურმე იქ დასახლებაც მოისურვა... „თავი ზღაპარში მეგონა, ღრუბლებში მეძინაო“,- უზიარებდა თურმე გერმანიაში ჩასული შთაბეჭდილებებს მეგობრებს“ ... სწორედ ამ უცხოელის საოცნებო უშგულისკენ გვაქვს აღებული გეზი... სულ ხუთნი ვართ - მე, ლაშა, თინი, მათი შვილი ლუკასი და ლაშას მეგობარი, ცნობილი ფრანგი ფოტოგრაფი ფრენსისი. რომელსაც სვანებმა, სვანეთის სიყვარულისა და სვანური ადათ-წესების პატივისცემის გამო გუჯუ გაბრიანი შეარქვეს... ონიანები კი ლაშხეთიდან არიან, ქვემო სვანეთში, ლენტეხიდან 30 კმ-ის დაშორებით 4 სოფელია სადაც ეს გვარი ცხოვრობს.

„ბავშვობაში სვანეთში ხშირად დავდიოდი და თითქმის ყველა დეიდასთან თითო კვირით ვრჩებოდი“.- იხსენებს ლაშა ონიანი და მანქანიდან ხარბად გაჰყურებს მონატრებულ სვანეთს... გზადაგზა ისტორიებს იხსენებს - ეს სოფელი ხოფურია, აქაც ცხოვრობდა ჩემი ერთ-ერთი დეიდა. ამ სოფლის ნაწილი მდინარე ცხენისწყალმა წაიღო... ცურვა აქ, სვანეთში ვისწავლე... ეს სოფელი ყვედერია... ჩემი ნათესავები აქაც ცხოვრობენ...

- როგორი შეგრძნებაა, როცა იმ მიწაზე ხარ სადაც ბავშვობა გაატარე და ახლა ასე მოგეძალა მოგონებები?

- იცი, როგორა ვარ? ძალიან მაგრად, იმდენად რომ ვერც ვსუნთქავ...

-სვანური იცი?

-6 წლის ვიყავი, როცა სამი თვით დამტოვეს მამის სახლში. იმ სამ თვეში რაც სვანური ვისწავლე, ის ვიცი დღემდე...

ჟახუნდერში, ლაშას მამაპაპისეული სახლის მონახულებას მონატრებული დახვედრა, სვანური სუფრა, უხვი სადღეგრძელოები და დაჟინებული მოთხოვნა მოჰყვა, - ერთი ღამით დარჩი სახლში! სვანები უარს რთულად ეგუებიან. მაგრამ მონატრებულ ბიძაშვილს გზას ულოცავენ და სვანური ქუდით დამშვენებულს უშვებენ...

სვანეთში განსაკუთრებული სტუმარმასპინძლობა იციან. უხვ სუფრას ერთი ხელის მოსმით შლიან და თან გიბოდიშებენ, გვაპატიეთ საკადრისად ვერ დაგხვდითო. სუფრას კი ამშვენებს სვანური კუბდარი, ჭვიშდარი, ხაშლამა, ჩაქაფული, ლორი, ხაჭაპური, სულგუნი პიტნით ... გემრიელი ღვინო, ჭაჭა, ლიქიორი, ისინი კი მაინც გიბოდიშებენ... ასე იყო ჟახუნდერში ნუგზარ ონიანის ოჯახში, მესტიაში გელა ჯაფარიძესთან და უშგულში გიო ნიჟარაძესთან... არადა ყველგან სახელდახელოდ გაიშალა სუფრა...



„მაოცებს ჩემ წინ გადაშლილი სილამაზე, ცამდე აზიდული მწვერვალებით, სიმწვანეში შეფენილი სოფლებითა და შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრეებით... გზადაგზა კი, ტყიან ხეობებში, მდინარეები მიიკლაკნება“

დალი ფალიანი

ცას მიბჯენილი მწვერვალები, თვალწარმტაცი ხედები, ოღრო-ჩოღრო გზები, საუკუნოვანი კოშკები, ქვით ნაშენი სახლები, ხასხასა ჰაერი და ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძლები - ეს უშგულია, ევროპის ყველაზე მაღალი დასახლება. ძირძველი ისტორიითა და მართლმადიდებლობას შეზავებული ძველი, მთის საკულტო რელიგიური ელემენტებით... სვანების საამაყო, უბატონო უშგული, ველური და დამატყვევებელი ბუნებით...

გზა მესტიამდე

მანქანიდან ცამდე აზიდულ კლდეებს შევყურებ და ვხვდები რატომ არის ქართველი ასე ამაყი. ისიც კი, რომელსაც ეს სილამაზე არ უნახავს. ვხვდები რატომ იგერიებდნენ მტრებს ასე მამაცურად ჩვენი წინაპრები. რატომ არ ეთმობოდათ სამშობლო და ვერ ვხვდები ახლა რამ შეცვალა ერი?.. ახლაც ხომ ისევ ისე ცამდეა აკიდული ეს მწვერვალები... სად გაქრა სიამაყე, ბრძოლის ჟინი... რატომ დავკარგეთ გამარჯვების რწმენა... რატომ დავჩაჩანაკდით ასე... ამ ფიქრებით მივუყვები გრძელ და ვიწრო გზას მესტიისკენ... მაოცებს ჩემ წინ გადაშლილი სილამაზე, შეფენილი სოფლებითა და შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრეებით და მეც, ჩემი წინაპრების მსგავსად, ამაყი ვარ... გზადაგზა კი ტყიან ხეობებში მდინარეები მიიკლაკნება...

გუჯუ გაბრიანი და ნუგზარ ონიანი

მესტიის მუზეუმი და დადეშქელიანის ხმალი

სვანეთში ყველაზე დიდი მუზეუმი მესტიაშია. ამ მუზეუმში ბევრ ღირებულ ექსპონატს ნახავ, რომელსაც საოცარი ისტორია აქვს. მათ შორისაა ოქროთი მოხატული სასწაულმოქმედი ხატები, ჯვრები, ოქროს მელნით დაწერილი სახარების ოთხთავები, რომლებიც მე-5-9-13-ე საუკუნით თარიღდება. ერთ-ერთი მათგანი ცეცხლში ჩავარდნილი დაწვას გადაურჩა. მესტიის ოთხთავი კი ტაო კლარჯეთის მხატვრული სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული პირველი ხელნაწერია, რომელშიც მახარებელთა კლასიკური პორტრეტებია გამოსახული... იგი ოქკის ლავრაშია გადაწერილი. მუზეუმში ასევე დაცულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად სვანეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები, სარიტუალო ნივთები, უძველესი ხელნაწერები, სამკაულები, საომარი აღჭურვილობა, ასევე ძველი სვანეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები... აქვეა ხმალიც, რომლითაც სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე გაგარინი მოკლა. დადეშქელიანის ამგვარი ქმედება ცარიზმის მიერ სვანეთის სამთავროს გაუქმებასა და მთავრის საქართველოდან გასახლების განზრახვას მოჰყვა. სვანეთის უკანასკნელი მთავარი 1857 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით ქუთაისში დახვრიტეს... მესტიის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გიდობას დალი ფალიანი გვიწევს.

დალი ფალიანი, მუზეუმის წამყვანი გიდი: - ოქრომჭედლები სვანი ქალებიც იყვნენ, მაგრამ ხატსა და ჯვარს ქალს არ აკარებდნენ. თუმცა, ქალი მედიატორიც(მომრიგებელი) იყო და მახშვიც(ოჯახის უფროსი). ანუ გენდერული პრობლემა ჩვენთან არ არსებობდა. ქალები ძალიან პატივცემულები იყვნენ სვანეთში. განსაკუთრებული უნაგირიც კი ჰქონდათ. უნაგირს მხოლოდ ერთი აბჟანდი აქვს. გვერდულად სხდებოდნენ. სვანი ქალებისთვის დამახასიათებელი სამკაულები დღესაც გამოიყენება. ამას წინ ტელევიზორში ვნახე ნინო სუხიშვილს კებზარი ეკეთა...

თხილმარი

ეს კი თოვლზე სასიარულო თხილმარებია. შესაძლებელია თხილამურების ფუძე სვანურიდან მოდიოდეს. შიგნით ალპური ზონის თივაა ჩაფენილი. ამ ფეხსაცმელს თვითონვე იკერავდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს სვანს რომელსაც ეს თივა ჰქონდა ჩაფენილი ფეხი არ მოყინვია.

საკურცხილი

ეს მახშვის საკურცხილია(სავარძელი), სვანური სახლისთვის დამახასიათებელი ძირითადი ინვენტარი. მახშვი ოჯახის უფროსი იყო, რომლის ოჯახშიც 6 თაობა შედიოდა. შრომას ძირითადად მახშვი ანაწილებდა და განაგებდა. ეს მე-20 საუკუნის 50-იან წლამდე შემორჩა სვანეთს. მახვშს კარგად ჰქონდა გათვლილი თუ როგორ უნდა ეცხოვრა დიდ ოჯახს. საკურცხილი კერიის წინ იდგა. იქ სადაც თემის და გვარის საკითხები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის ზღაპრული სავანე

ციალა ჩართოლანი:
„ქურდები, რომლებიც ეკლესიებს ძარცვავდნენ მირეკავდნენ და მაფრთხილებდნენ, შენ არაფერი დაგიკარგავს და ნუ ეძებ იმას, რაც დაიკარგა. მოგკლავთო. ვერ შემაშინეს... ძალიან ბევრი რამ მოვძებნე და დავიბრუნე“

EXCLUSIVE

დავით ლორთქიფანიძე და ციალა ჩართოლანი

წყდებოდა. საკურცხილი ოჯახის უფროსის სტატუსის სიმბოლო იყო და ზოგჯერ საპატიო სტუმარსაც ეთმობოდა. შემკული იყო ასტრალური სიმბოლოებითა და სხვადასხვა სახის ორნამენტით. სვანეთში თითოეულ მამაკაცს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ჯოხი მიჯვრა, ერთგვარი სიძლიერის სიმბოლო.

მედიატორის ჯოხი, - მიჯვრა

საქართველოს მთაში, მათ შორის სვანეთშიც, სამოქალაქო ნებისმიერ საქმეთა საკითხს მსაჯულ-მედიატორები აღასრულებდნენ. მათ მორვილ ერქვათ. მედიატორთა არჩევა სათემო კრებაზე ხდებოდა. მათი მთავარი ფუნქცია დაპირისპირებული მხარეების შერიგება იყო, სვანების რწმენით მორვილ - ღვთის კაცად აღიქმებოდა, რადგანაც საღმრთო საქმეს, მოსისხლეობის აღკვეთას ემსახურებოდა. სამართლის აღსრულების გარანტი ხატზე დაფიცება იყო. მედიატორებს ე.წ. მიჯვრა ჰქონდათ. ყოველი საქმის შერიგებით დასრულების შემთხვევაში დასტურად ჯოხზე ნაჭდევი კეთდებოდა.

მესტიის მუზეუმს ჰყავს ადამიანი, რომელსაც მთელი სვანეთი ემადლიერება. ეს ციალა ჩართოლანია. სწორედ მან გადაარჩინა, მოიპოვა და მომავალ თაობას შემოუნახა ის სიძველეები, რაც ბევრ უცხოელ დამთვალიერებელს აკვირვებს და რომლითაც მუზეუმში შეკრებილი სვანები დღეს ასე ამაყობენ. ეს ქალბატონი დღესაც ამ კულტურული მემკვიდრეობის დაცვით, მოვლით და პოპულარიზაციით არის დაკავებული. მესტიამ ქალბატონი ციალას 80 წლის იუბილე იზეიმა.

„ბედნიერი ვარ“, - ამბობს ქალბატონი ციალა და მადლიერებას გაბრწყინებული სახითა და ცრემლით გამოხატავს, თან დასძენს: - მაინც გადაჭარბებული ვიცით ყველაფერი ქართველებმა, მე ამდენი დამსახურება ნამდვილად არა მაქვსო.

ციალა ჩართოლანი: „მთელი ჩემი სიცოცხლე მიკეთებია ის, რაც მევალებოდა. ეს კი მქონდა კარგად შეცნობილი თუ რა მევალებოდა, თუმცა ისიც ვერ გავაკეთე ბოლომდე... რთულ პერიოდში მომიხდა ცხოვრება. ეკლესიებს ძარცვავდნენ და ჩვენს ქრისტიანულ რელიკვიებს ძალიან დიდი საფრთხე ემუქრებოდათ. ღვთის შეწევნით, ბევრი რამ დავიბრუნეთ. მადლობა უფალს, იმისთვის, რომ ასეთი საპატიო საქმე მე, ქალს მომანდო. მადლობა იმათ, რომლებმაც დაგავაფასეს. სვანეთი არამარტო ჩემი კერა, ჩემი სიცოცხლეა, ჩემი სუნთქვაა...

მესტიაში, მხატვარ გელა ჯაფარიძესთან



- რა რჩევას მისცემთ მომავალ თაობას, რომელიც თქვენ წამოწყებულ საქმეს გააგრძელებს?

- დღეს ჩემსავით თითოეული ხატის რესტავრაციის ფულზე სირბილი არავის უხდება, ყველას აქვს უკვე საშუალება. ისე აშენდა ეს მუზეუმი, რომ აქაურებს არ დასდგომიათ ჯაფა. მადლობა ამისთვის დავით ლორთქიფანიძეს. ძალ-ღონე არ დაიშურა. მთავარია, ახლა მომავალი თაობა გაუფრთხილდეს... ესწავლოთ მოყვასის სიყვარული და თავდადება ქვეყნისა და სოფლისთვის, და თუ ჩვენგანაც ცოტა რამეს ისწავლიან, გამიხარდება. მე მინდა, რომ ჩვენი ტრადიციები მხოლოდ მუზეუმში არ დარჩეს, ყველგან შენარჩუნდეს.

- როგორც ვიცი, კრიმინალებთანაც გიხდებოდათ გამკლავება და სწორედ ასე შეძელით ბევრი ხატის გადარჩენა, როგორ ახერხებდით?

- ძალიან მიძნელდებოდა. ქურდები, რომლებიც ეკლესიებს ძარცვავდნენ მირეკავდნენ და მაფრთხილებდნენ, შენ არაფერი დაგიკარგავს და ნუ ეძებ იმას, რაც დაიკარგა. მოგკლავთო. ვერ შემაშინეს. მაინც ძალიან ბევრი რამ მოვძებნე და დავიბრუნე. მოპარული ხატები და ჯვრები მოსკოვიდანაც ჩამოვიტანე. დიდი მადლობა უფალს და ასევე, ყველა იმ ადამიანს, ვინც მეხმარებოდა და ასე თავდადებით იცავდა ჩვენს ძეგლებს. უსასყიდლოდ აკეთებდნენ სიკეთეს რუსები, გერმანელები, ინგლისელებიც... ყველანი იყვნენ ამ საღმრთო საქმეში ჩართულნი... დღეს კი მე იმდენად ბედნიერი ვარ ვერავინ წარმოიდგენს. მადლობა ჩემს ქვეყანას დაფასებისთვის.

უშგული და დანგრევის პირას მისული კოშკები

სვანეთის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი უშგული იუნესკოს მსოფლიო კვლევათა სიაშია შესული. თუმცა, როგორ ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან შევიტყვეთ, უშგულს იუნესკოდან არანაირი დახმარება არა აქვს, სოფლის მკვიდრთ გული წყდებათ, დღემდე ერთი სახურავი არ გამოცვლილაო. საუკუნოვან ძეგლებს აწვიმს, პატრონი კი არავინ არის. ამაში თავადაც დავრწმუნდი, როდესაც ცნობისმოყვარეობის წყალობით ერთ-ერთი კოშკის ბოლო სართულზე აღმოვჩნდი... კოშკის ბოლო სართულზე ასვლა არც არის საჭირო, შენს თვალწინ ბევრ ნახევრად დანგრეულ შენობას ნახავ... შევყურებ, მტკივა და მაკვირვებს ქართველთა უგულობა, რატომ ველოდებით იუნესკოს?! რატომ არ ვპატრონობთ?! ულამაზეს უშგულში 4 პატარა სოფელია გაერთიანებული. აქ უხვად არის ტურისტი. თუმცა, ბევრად მეტი იქნება, როცა სავალი გზა გაკეთდება, რატომღაც არც ამაზე ფიქრობს არავინ! აქ გზა დიდ კლდოვან კედლებს მიუყვება. გზადაგზა გვხვდება ნაკადულები, რომლებიც გზაზე გადმოდიან და პრობლემებს უქმნიან მძღოლებს...

სტუმართმოყვარე მასპინძლები უშგულში

ვერძობა

უშგულს დღესასწაულზე ვესტუმრეთ. აქ უნიკალურ არქიტექტურულ და ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობასთან ერთად დღემდეა შემონახული ტრადიციული დღესასწაულები. ვერძობას ზეიმობდნენ სვანები. ყველა ოჯახში ცხვარი დაეკლათ და ეკლესიის ეზოში სუფრა გაეშალათ. იაროსლავ ნიჟარაძის ოჯახმა გვიმასპინძლა და ვერძობაზეც მოგვიყვა. შინაურულად იგრძენით თავი, მწირი სუფრისთვის კი ბოდიშს გითხოვთო. ეს მწირი სუფრა კი ისეთი იყო, ქალაქებში რომ ქორწილებს იხდიან.

იაროსლავ ნიჟარაძე: „ლოცვა საყდრის კარებთან ხდება. ეკლესიაში არ შევდივართ. 60 ცხვარი დაიკლა დღეს. ცხვრები ყველამ ოჯახში დაკლა. მანამდე კი დილით ცოცხალი ცხვარი ეკლესიის ეზოში მივიყვანეთ, ჯერ ერთმანეთს შევაჯიბრეთ, მერე მთქმელმა შეწირვის ლოცვა წაიკითხა და ოჯახები დალოცა. ბოლოს ცხვრები სახლში მოვრეკეთ და შევწირეთ. ვერძობა ჩვენი გამორჩეული დღესასწაულია. დღევანდელი დღის მადლი შეგეწიოთ სტუმრებო, თქვენ და მთლიანად საქართველოს, განურჩევლად კუთხე-კუნჭულისა, ჩვენ რამ გაგვყო, ყველა ერთნი ვართ “.

სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. ეს მხარე თავისი ველური სილამაზით ანცვიფრებს ტურისტს, უძველესი კოშკებისა და ოქროს ვერძის მიწა პირველივე წუთიდანვე აჯადოებს ქართველსაც და უცხოელსაც. ჰოდა, ამ სიძველეს შენარჩუნება და გაფრთხილება უნდა, დავაფასოთ ის, რაც წინაპრებმა შემოგვინახეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება